ᲝᲠᲒᲐᲜᲝ ᲡᲐᲫ. ᲡᲝᲪ.-ᲓᲔᲛ. ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲗᲗᲔᲚ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-democrate de Géorgie.

832
1954

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲠᲝᲨᲐᲚᲘ

"NOTRE DRAPEAU"

Directeur: MICHEL STOUROUA.

N° 17

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ ᲐᲛᲐᲮᲝ Paris.
1954

ეროვნული
ბიბლიოთეკა

26 მაისისთვის.

ოცდა თექვსმეტი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც ქართველ ერმა უცხოელთა ერთი საუკუნის ბატონობას თავი დააღწია და საკუთარი დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრება აღადგინა.

ხელახლა შემოსულმა მტერმა, მეტად ბოროტმა და დაუხდობელმა, კიდევ უფრო გააღვივა ჩვენს ხალხში სიყვარული თავისუფლების, სიყვარული ეროვნულ თავისუფლების, მას ოომ მუდამ ასულდგმულებდა. ამიტომ იქ, ჩვენს ქვეყანაში, 1918 წლის 26 მაისის მომსწრენი ახლა უსიტყვოთ, მაგრამ სიყვარულით სავსე გულით, მოიგონებენ ამ დღეს: ეს დღე იყო დღე ფართო გზის მაჩვენებელი ქართველ ხალხის ეროვნულ და კულტურულ, სოციალურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებისთვის.

არც ჩვენ, უცხოეთში გადმოხვეწილებს, შეგვიძლია 26 მაისი არ მოვიგონოთ: იგი ჩვენი ნუგეშია, მთელი ქართველი ერის შეურყეველ ნებისყოფის გამომხატველი თავისუფლათ არსებობისთვის.

ამ დღეს ყველა ქართველი უდიდეს სასოებით და პატივისცემით მოიგონებს, უპირველეს ყოვლისა, მათ, ვინც ეროვნულ თავისუფლებისთვის ბრძოლაში დაეცა: ბრძოლის ველზე დაღუპულ მამულიშვილებს. შემდეგ, მწუხარებით და ტანჯვით აღსავსე მის გულში ადგილს მათ მისცემს, ვინც, ციმბირის ტუნდრებში და აზიის უდაბნოებში გადასახლებულნი, უდანაშაულოთ განაწამები არიან. დასასრულ, ყოველდღიურ სიცხადით გულდაჩაგრული ქართველი დედა თავის ოცნებაში ეალერსება იმათაც, ვინც, სამშობლოდან შორეულ ქვეყნებში გადახვეწილნი, მოკლებული არიან ყოველივე იმას, რითაც ცხოვრობს ადამიანი: ნივთიერ კეთილყოფას და სულიერ სიმშვიდით შრომას და მოქმედებას სამშობლო ქვეყნის შეჩვეულ პირობებში. ეს ჩვენ ვართ, ახლა დედამიწის ყველა კუთხეში გაბნეული ემიგრაცია.

ჩვენ არ გვივიწყებს დედა იმ იმედით, რომ მაზედ ფიქრობს შორს გადახვეწილი შვილიც!..

მივუზღოთ მას სამაგიერო და 26 მაისს, ჩვენი ერთობის ამ უდიდეს და უბრწყინვალეს დღეს, ჩვენც ჩავიხედოთ ჩვენს გულში და გულწრფელათ დავეკითხოთ ჩვენს თავს: რა გავა-

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთეთ წლიდან წლამდის, 26 მაისიდან 26 მაისამდის, ჩვენი ქვეყნის სასარგებლოთ, თითოეულ ჩვენგანმა და ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში? დიდმა და პატარამ, მოხუცმა და ახალგაზდამ, ვსთესეთ ურთიერთ შორის თესლი ერთობის, ჩვენი რაზმების მტრის წინააღმდეგ გასამჯიდროებლათ, თუ ჩვენს დაბნევას და დაქსაქსულობას შევუწყვეთ ხელი? რით ვუპასუხეთ დედის, ყველასკენ ერთნაირათ მიმართულს, ცრემლიან თვალებს?

ამაზედ გვმართებს ჩვენ დაფიქრება. ერთი მეორის ძმურათ მხილებით და არა ერთი მეორისადმი ღვარძლით თუ შურისძიებით, ჩვენი ძალების სისუსტის გათვალისწინებით—როცა მრავალ კეცათ ვართ გათიშული—და ამ ძალების გაერთიანების საჭიროების შეგნებით ჩვენ, ემიგრაცია, შევქმნით სამშობლოსთვის გამოსადეგ და დამხმარე ძალას: კულტურულს, მორალურს და პოლიტიკურს. «ერთობა ჩვენთვის ტახტია», ტახტია თავისუფლების!

26 მაისის მოგონება უნდა იყოს მოგონება ქართველი ერის გაერთიანების, როგორც 1918 წლის 26 მაისის ზეიმში, ისე 1921 წლის მარტის და 1924 წლის აგვისტოს უდიდეს მწუხარებაში.

26 მაისი უაღრესად დამაფიქრებელი წუთია, ისე, როგორც ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის სხვა ასეთივე მაგალითები: ურთიერთ გაგება, კავშირი და გაერთიანება მისი დაყოფილ ნაწილებისა ამაგრებდა საქართველოს დასერილ სხეულს და მისი თავისუფლების აუცილებელი პირობა იყო ურთიერთ შორის უთანხმოება და შური კი საქართველოს დამასუსტებელი და დამღუპავი გარემოება იყო ყოველთვის.

26 მაისს ემიგრაცია ღირსეულათ მაშინ სცემს პატივს, თუ იგი შესძლებს, თუ ემიგრაციის შემადგენელი სხვადასხვა ნაწილები შესძლებენ, ერთსულოვნათ მუშაობას ყველა იმ ქვეყნებში, სადაც ცხოვრება მათ არგუნა ბედმა; მუშაობას იმისთვის, რათა ქართველ ერს მხარი დაუჭიროს ყველამ მის ბრძოლაში უდავო უფლებათა და სამართლიან მოთხოვნილებათა აღდგენისთვის. სხვა საქმე ჩვენ არაფერი გვაქვს, საქმე მნიშვნელოვანი.

გაუმარჯოს ქართველ ერის, ყველა მის შემადგენელ ნაწილების ერთსულოვან ბრძოლას თავისუფლებისთვის!

გაუმარჯოს 26 მაისს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოე ჟორდანიას ნაწერებიდან;

26 მაისი არის ჩაჭედილი თვითეული ქართველის სულსა და გულში, მთელ ქართველ ერში და უცდის შესაფერ დროს მის აღსადგენათ.

——

26 მაისის განხორციელება მოხდა ქართველობის ერთხმათ, მისი ყველა კლასის და წოდების თანხმობით.

——

26 მაისი არის გამოხატულება ერის ერთობის, მტრის წინააღმდეგ აღმართული ერთად ერთი სიმაგრე. დიდი ნაციონალური საქმე არ გაკეთდება შინაგანი ბრძოლის გაჩაღებით.

——

26 მაისი განხორციელდა მრავალნაირი საქმიანობით, მოხდა ცვლილება ცხოვრების ყველა დარგში. შეიქნა ახალი თავისუფალი საქართველო თანხმობით ერთად დგომით.

——

დრონი მირბიან, გარემოებანი იცვლებიან, აზროვნებანი სხვავდებიან. არ იცვლება მხოლოდ ერთი გარემოება, ერთი აზროვნება, ერთი მახსოვრობა: ეს არის 26 მაისი.

——

26 მაისს ქართველობა დაეპატრონა თავის თავს, როგორც ერთი მთლიანი ერი, გამოკვეთა ერთი ხალხი ჭირში და ლხინში განუყრელი, მან სთქვა თავის საკუთარი სიტყვა ცხოვრების ყველა დარგში: პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ და ნაციონალურ ურთიერთობაში.

——

26 მაისი არის მორალური ძალა, სულიერი სიმტკიცე, ურყევი იდეალი, აუღებელი სიმაგრე. მას შეასკდება მტერთა იერიშები; ის გადალახავს ყველა დაბრკოლებებს, ისევ აღსდგება, ისევ უმეთაურებს ერის ცხოვრებას.

——

იმედი არ უნდა დაგვეკარგოს; განთიადის აჩრდილი მოახლოვებულია. დასანგრევის დანგრევა აუცილებელია და მას უნდა შევხვდეთ მხნეთ და თავდადებულათ. ამ არეულ-დარეულ ხანაში ქართველი ერის პატარა ნავი გასცურავს სამშვიდობოზე მხოლოდ მისი მთლიანობის შენახვით, მისი თავისთავის ერთგულებით, მისი 26 მაისით.

——

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 მაისი ბუდობს თვითეულ ქართველში; ის ფრიალებს გამოუჩენლათ იქ, საქართველოში.

——

26 მაისის ფესვები ღრმათ არის გადგმული ქართველი ერის სულსა და გულში. მან სამუდამოთ დაიპყრო მთელი ხალხი. ის რჩება იქ სადაც დაიბადა უცვლელად, შეუდრეკელათ, ამაყათ.

——

26 მაისი ქართველი ერის ერთადერთი თაიგულია. ის მას შეინახავს სამუდამოთ.

ჟენევის თათბირი.

ბერლინში მომხდარ «ოთხ დიდთა» თათბირის ერთადერთი შედეგი იყო მოწვევა ახალი თათბირის ჟენევაში. ჟენევის თათბირისათვის დიდ წინასწარ მზადებას ჰქონდა ადგილი. ჯერ იყო და ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა დოლესმა წარმოსთქვა დიდი სიტყვა, უმთავრესად ინდოჩინეთის და ჩინეთის შესახებ. ამას მოჰყვა მოლოტოვის ახალი ნოტა, უმთავრესად ევროპის შესახებ.

ბერლინის თათბირზე, როგორც ვიცით, მოლოტოვი ევროპის უშიშროების ხელშეკრულების დადებას მოითხოვდა, მარა ამაში არ უნდა მიეღო მონაწილეობა ამერიკას, როგორც, ვითომდა, არაევროპიულ სახელმწიფოს. ახალ ნოტაში კი ის თანახმაა შემოვიდეს ამერიკაც. იმავე ბერლინის თათბირზე ის სასტიკათ ესხმოდა თავს «ატლანტიკის კავშირს». («ნეიტო»), აცხადებდა მას აგრესიულად და სთვლიდა ერთავად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულად. ახლა კი მზათაა თვით შემოვიდეს ამ კავშირში.

ყოველივე ამის შემდეგ არაა გასაკვირი თუ ბევრნი დიდ რამეს გამოელიან ამ თათბირიდან; მით უფრო, რომ მასში პირველად იღებს მონაწილეობას წითელი ჩინეთი და ინდოჩინეთი. ამ ორი ქვეყნის მონაწილეობა ამ თათბირში დიდათ აძლიერებს მომენტის მნიშვნელობას.

ინდოჩინეთს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი თავისუფალი ქვეყნებისათვის. ქვეყანა უაღრესად მდიდარი ყოველგვარი ნედლი მასალით და სტრატეგიულათ ბევრათ უფრო მეტი მნიშვნელობის, ვინემ ჩინეთი. ვის ხელშიც იქნება ინდოჩინეთი, ის იქნება ბატონ-პატრონი მთელი აზიის. ამიტომაა რომ წითლები ასე ცდილობენ იქიდან ფრანგების გამორეკას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე რვა წელი შესრულდება, რაც ინდოჩინეთის ომი გრძელდება. პირველ ხანებში ადგილობრივი წითლების წინააღმდეგობა სუსტი და უმნიშვნელო იყო. მაგრამ როცა მათ ზურგს უკან საბჭოთა კავშირი დადგა, მდგომარეობა მეტად გართულდა.

ამერიკა თავდაპირველად ალმაცერად შეხვდა ინდოჩინეთის ამბებს. მათ ეს ომი ჩასთვალეს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლათ. ფრანგები, მათი აზრით, იყვენ კოლონიზატორები, წითლები კი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლნი. ამიტომ აიღეს პოზიცია ნეიტრალური. მაგრამ თანდათან, განსაკუთრებით კორეას შემდეგ, ეს შეხედულება სავსებით გაქრა. კორეაში დაზავების დროს აიზენაუერმა საჯაროთ განაცხადა, რომ «ზავი კორეაში უშედეგო იქნება თუ აგრესიული წითლები გადატყორცნილი იქნებიან «სხვა ადგილზე» ო. მალე გამოირკვა რომ ეს «სხვა ადგილი» იყო ინდოჩინეთი. ამ დღიდან ამერიკა დიდ დახმარებას უწევს საფრანგეთს. ცნობილია, რომ ამ ომის სამხედრო ხარჯების 80 პროც. ფარავს ამერიკის ხაზინა. ეხმარებიან სხვა მხრივაც—ავიონები, მექანიკოსები და სხ. მართალია, ამ დახმარებამ დაიგვიანა, მაგრამ ომი, ასე თუ ისე, მაინც გრძელდება.

ასეთ მომენტში და პირობებში შეკრებილი თათბირი, თათბირი სადაც თავმოყრილია სრულიად ერთიმეორისადმი მტრულად განწყობილი მონაწილენი, რომელთა პოლიტიკური მიზნები თავიდან ბოლომდე ერთიმეორეს ეწინააღმდეგება, ერთიმეორეს უარყოფს—გასაკვირი არ იქნება თუ არც ამ თათბირს მოჰყვეს რაიმე მნიშვნელოვანი დადებითი შედეგი.

ამ თათბირს თან ახლავს ერთი მეტად რთული და თავსამტვრევი საკითხი, რომელიც მას დიდათ ანსხვავებს წინეთ მომხდარ სხვა ასეთი თათბირებისაგან. ესაა საკითხი ევროპის ჯარის შექმნის.

თათბირზე, როგორც ვიცით, ერთ მხარეზეა საბჭო-ჩინელთა მონოლიტური ბლოკი, ბლოკი რომლის ერთად ერთი მიზანია დასავლეთის დემოკრატიის განადგურება, როგორც «იმპერიალისტების». მაგრამ მათ კარგად იციან, რომ ეს არც ისე ადვილი საქმეა. დასავლეთის დემოკრატია ჯერ კიდევ იმდენად ძლიერია, რომ მისი განადგურება სამხედრო ძალით, ამ ჟამად მაინც, შეუძლებელია. ამიტომ, მათი აზრით, ის უნდა დასუსტდეს თანდათანობით, სისტემატიური დიპლომატიური დამარცხებით გარედან და თავის მეხუთე კოლონის მუშაობით—შიგნიდან. და როცა ასეთი მუშაობა თავის მისიას დაასრულებს—საქმეში ჩამოერევა სამხედრო ძალა. ამიტომ წითლებისათვის ჟენევის თათბირი არის მხოლოდ ეტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პი, ეტაპი განსაზღვრული მიზნით. ეს მიზანია ევროპიული არმიის ჩაშლა. და რადგან დასავლეთის დელეგაცია არ არის მონოლიტური, არ არის ერთი რომელიმეს ბრძანების მორჩილი—მოლოტოვი ეძებს მათ შორის სუსტ და ადვილად გასარღვევ ადგილს. ასეთ ადგილად უნდა ჩაითვალოს საფრანგეთი. და მოლოტოვის ყოველივე ცდაც მიმართულია იმ მხრივ, რომ როგორმე საფრანგეთი დასავლეთის დემოკრატიის ფრონტს გამოთიშოს.

რით შეუძლია მას ამ მიზანს მიაღწიოს? რა საფასური უნდა გაიღოს მან რომ საფრანგეთმა უარი სთქვას ევროპის არმიის შექმნაზე? და თუ ეს მოხდა—როგორ შეხვდებიან მას საფრანგეთის დასავლეთის პარტნიორები?

აი ის თავსატეხი საკითხები, რომელიც ქენევის თათბირს განსაკუთრებულ საპასუხისმგებლო ხასიათს აძლევს.

დასავლეთის დელეგაციისათვის ევროპის არმიის შექმნაზე უარის თქმა—ეს იქნებოდა ის, რომ მან თვითონ, თავისი ნებით დასდოს თავი გილიოტინის ქვეშ და უცადოს თუ როდის ჩამოჰკრავს ბაწარს ჯალათი. ასე ესმის ეს ამერიკას.

ასე ესმის ეს ინგლისსაც, მარა ვერ ახერხებს, თუ არ ახერხებს, დაახწიოს თავი ძველ, თანშეზრდილ პოლიტიკას. მან ერთხელ უკვე იხსნა საბჭოთა კავშირი დაღუპვისაგან და ამით ვინ იცის რამდენი ცოდვა აიღო თავისთავზე. ის ახლაც თავის პოლიტიკით ხელს უშლის იმ ძალებს, რომლებიც ცდილობენ, სხვა თუ არაფერი, საზღვარი მაინც დაუდონ საბჭოების ექსპანსიას. ბოლშევიკურ ბლოკთან თავის ურთიერთობის აწყობით და თავის შუამავალის როლის თამაშით—ის სხვების ანტიბოლშევიკურ პოლიტიკის აქტივობასაც ადუნებს და ასუსტებს. მან ერთხელაც არ განაცხადა, რომ თუ ევროპის ჯარების შექმნით საფრანგეთს საფრთხე დაუდგებოდა, ის მასთან იქნებოდა. ასეთი განცხადებით მას შეეძლო დიდათ გაეადვილებია საფრანგეთისათვის ევროპის ჯარების იდეის გაზიარება. ამიტომ, მართალი არიან როცა ამბობენ —ინგლისმა თავის ორჭოფული პოლიტიკით დიდათ გააძლიერა საფრანგეთის ოპოზიცია ევროპის ჯარების შექმნის წინააღმდეგ.

სულ სხვა მდგომარეობაა საფრანგეთში. აქ ქენევის თათბირამდეც დიდი ოპოზიცია იყო ევროპის არმიის წინააღმდეგ. და ასეთ ოპოზიციას აწარმოებდენ არა მხოლოდ კომუნისტები, არამედ მთელი მემარჯვენე სექტორი. ფრანგების დიდი უმეტესობა ასეთი არმიის შექმნაში, მიუხედავად ადენაუერის მრავალჯერ განცხადებული მშვიდობიანი წინადადებისა, ხედავს გერმანიის ჰეგემონიის აღდგენას. გარდა ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰეგემონიის აჩრდილისა, აქ დიდ როლს თამაშობს ეს დაუსრულებელი ომი ინდოჩინეთში, რომელიც მეტად მძიმედ აწვება ფრანგის ფსიქოლოგიას და ეკონომიკას. და აი ასეთ პირობებში რომ მოლოტოვმა შესთავაზოს «ზავი ინდოჩინეთში»—რას იზამს საფრანგეთი? ყოველივე იმის მიხედვით, რაც ხდება ამ ომის ირგვლივ საფრანგეთში—სრულიად არაა გამორიცხული, რომ ფრანგები ასეთ «დათმობაზე» არ წავლენ. რა მოჰყვება ამას—ძნელია გადაჭრილი რაიმეს თქმა, მარა ის კი უდავოა, რომ ამერიკა იძულებული იქნება გადასინჯოს თავის საგარეო პოლიტიკა: შერჩეს კონტინენტალურ პოლიტიკას, დაუბრუნდეს იზოლიაციონიზმს, თუ დაეყრდნოს პერიფერიების სტრატეგიას.

საფრანგეთის უარის თქმა ევროპის ჯარის შედგენაზე, ეჭვი არაა, დიდათ შეუწყობს ხელს იზოლიაციონისტების პოზიციის გაძლიერებას. მაგრამ ავტორიტეტული პირების განცხადებით, ამერიკა ამ გზას არ დაადგება. არ დაადგება თუგინდ იმიტომ, რომ ევროპიდან წასვლა მას უშრობს მთელი რიგი სამხედრო მასალების მიღების წყაროს, ართმევს ფრიად მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებს და უკარგავს აშკარა თუ პოტენციალურ მოკავშირეებს. ამიტომ, მართლაც რომ საეჭვოა, მან ხელი აიღოს კონტინენტალურ პოლიტიკაზე და თავის საკუთარ ციხე-სიმაგრეში ჩაიკეტოს. უფრო დასაჯერებელია რომ ის გადავა პერიფერიების სტრატეგიულ პოზიციაზე—ისპანია, საბერძნეთი, თურქეთი, პაკისტანი, რაც ნიშნავს ფაქტიურად ევროპიდან გასვლას.

ასეთ პირობებში ევროპის დაცვა უნდა მოხდეს დარჩენილი ძალებით. ამავე დროს საფრანგეთმა უნდა იცოდეს, რომ გერმანიის შეიარაღება, ევროპის არმიის ფარგლებში თუ მის გარეშე, მაინც მოხდება. უნდა იცოდეს ისიც რომ სამხრეთი აზია გახდება იმ «ცარიელ ადგილათ», საითკენაც გაეშურება წითლების იმპერიალიზმი და ამის შედეგი არც ისე ძნელი გამოსაცნობია.

ყოველივე ამაების გამო, დასავლეთის დელეგაციის მდგომარეობა ჟენევის კონფერენციაზე არაა ადვილი. მაგრამ, თუ მათ შესძლეს იმის მიხწევა მაინც, რომ, რაიმე დიდი დათმობის გარეშე, შეინარჩუნონ თავის პროგრამმა ევროპის არმიის შექმნისა და ამავე დროს არ გასწირეს თავიანთი მოკავშირენი კორეაში და ფორმოზაზე,—წამხდარ საქმეზე ესეც დიდი გამარჯვება იქნება...

გრ. ურატაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასე იყო, ასე იქნება

(საბჭოთა კავშირის ვითარებ ახალ ეკონომ. პოლიტიკის გამო)

ვინ იტყვის, რომ საბჭოთა კავშირი არ დაწინაურდა საერთაშორისო პოლიტიკაში?

თუ მეორე ომის წინ დიდი სახელმწიფოები მას თითქმის არავითარ ანგარიშს უწევდენ, ახლა უიმისოთ არც ერთი დიდი მნიშვნელობის საქმე არ ეწყობა მსოფლიოში და საბჭოთა კავშირის ყოფაქცევა გადამწყვეტ როლს თამაშობს მრავალ საერთაშორისო საკითხში.

ამ მდგომარეობას საბჭოთა კავშირმა მიაღწია თავის გაიძვერობით, პოლიტიკაში წინათ გაუგონარ ზომებით, თავის მიზნებისთვის ყოველგვარ საშვალებათა გამოყენებით; ხოლო მისი სამხედრო ძლიერების ზრდამ აქ უდიდესი გავლენა იქონია. სპეციალისტების ცნობით, საბჭოთა კავშირი სამხედრო მომზადებით თითქმის ამერიკის შეერთებულ შტატებს უთანასწორდება. თავაშვებულ იმპერიალისტების ხელში ასეთი ძალის დაგროვება კი ძალიან საშიშარია.

დღიდან ხელისუფლების დაპატრონებისა, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელნი სამხედრო შეიარაღებას აქცევდენ უმთავრეს ყურადღებას; ხალხს აშინებდენ «თავს გვესხმიან»-ო, მას უკანასკნელ ლუკმას ართმევდენ და ტანკების დამზადებას და ზარბაზნების ჩამოსხმას აძლიერებდენ.

საბჭოთა კავშირის სწრაფი ინდუსტრიალიზაცია უმთავრესად სამხედრო დანიშნულებას ემსახურებოდა და არა ხალხის კეთილდღეობას. საბჭოთა ხელისუფლებამ კარგათ იცოდა, რომ თანამედროვე ომი ტექნიკაზე არის დამოკიდებული; რომ რკინა, ფოლადი, სათფობი მასალა და სხვა ამ გვარი საგანი, და არა ჯარის რაოდენობა, თამაშობს ახლა უმთავრეს როლს ბრძოლის ველზე. ამისთვის თავი და თავი ყურადღება ინდუსტრიაში ზევით დასახელებულ საგნების დამზადებას ჰქონდა მიქცეული.

გლეხობის დიდი ნაწილი გუთანს მოხსნეს და ქარხანას მიაბეს, ხოლო პოლიტიკურათ არა-საიმედოთ გამოცხადებული მოსახლეობა—მილიონობით ითვლება მათი რაოდენობა—მაღაროებში ჩაყარეს სამუშაოთ. ძალიან ძვირათ უჯდებოდა ხაზინას ასეთი აჩქარებული ინდუსტრიალიზაცია, რადგან თაობები არის საჭირო, რომ სოფლის უბრალო კაცი ქარხნის ცხოვრებას შეეჩვიოს, დახელოვანდეს და ქალაქის სამრეწველო მუშის ადგილზე სასარგებლო გამოდგეს; საბჭოთა კავშირში კი სულ რაღაც ორი ათეული წლის განმავლობაში მოინდომეს უაღრესათ სასოფლო-სამეურნეო ქვეყნის სამრეწველო ქვეყნათ გადაქცევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთში მოგზაური უცხოელები განცვიფრებაში მოდიოდენ, როცა ხედავდენ, თუ როგორ—უცოდინაობისა და მოუვლელობის გამო—ფუჭდებოდა უცხოეთიდან გამოწერილი საუკეთესო მანქანები და რამდენს გამოუდეგარ საგანს, «ბრაკს», უშვებდენ ქარხნებიდან გამოუცდელი მუშები და ტექნიკოსები. ამ მოვლენას საბჭოები თვითონაც ხედავდენ და «თვითკრიტიკას» აწარმოებდენ, ხოლო ნამდვილ მდგომარეობას ანგაოიშს მაინც არ უწევდენ: რათაც უნდა დამჯდარიყო, რუსეთში მძიმე ინდუსტრია უნდა მოწყობილიყო!... სახელმწიფო ბიუჯეტში და ხუთ-წლიან გეგმებში უმთავრესი ადგილი მძიმე ინდუსტრიას ჰქონდა დათმობილი, იმას ხმარდებოდა სახელმწიფოს შემოსავლის დიდი ნაწილი, იმაში იყო ჩაბმული შრომის ასაკში მყოფ მოსახლეობის დიდი ნაწილი.

ამიტომ მძიმე მრეწველობა საბჭოთა კავშირში ძალიან გაიზარდა: ფოლადის დამზადებაში, მაგალითად, მან წინ გაუსწრო ინგლისს, გერმანიას, საფრანგეთს და მსოფლიოში მეორე ადგილი დაიჭირა (პირველი ადგილი ამერიკის შეერთებულ შტატებს უჭირავს) *). მძიმე ინდუსტრიის განვითარების მიხედვით გაიზარდა იქ ზარბაზნების, ტანკების, ჰაეროპლანების რიცხვი. ამათი ნამდვილ რაოდენობას კაცი ვერსად გაიგებს, მაგრამ დრო-და-დრო გამოქვეყნებული ციფრები მაინც შიშს ჰგვრის კაცობრიობას. აი რამ გაზარდა საბჭოთა კავშირის გავლენა საერთაშორისო პოლიტიკაში.

ამავე დროს, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირი თითქოს მართლაც ინდუსტრიალურ ქვეყნათ გადაიქცა. თუ 1913 წელს მრეწველობის ნაწარმოები რუსეთში უდრიდა 42,1 პროცენტს საერთო ნაწარმოებისას, ხოლო სოფლის მეურნეობის ნაწარმოები 57,9 პროცენტს, 1938 წელს სოფლის მეურნეობის ნაწარმოების რაოდენობა 22,6 პროცენტამდის ჩამოვიდა, სამრეწველო კი 77,4 პროცენტამდის ავიდა (საბჭოთა გამოცემების ცნობების თანახმათ).

* * *

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელნი მრეწველობის განვითარების ასეთი შედეგებით ძალიან ამაყობენ. ხოლო მათ დაავიწყდათ ერთი გარემოება: რადგან მძიმე ინდუსტრიაზე გაწეული ხარჯი უმთავრესად სამხედრო სამზადისს ხმარდებოდა, ეს ხარჯი მატერიალურათ უსარგებლოა, უნაყოფო, სიმდიდრის შთანთქმელი და არა მწარმოებელი და ქონების შემქნელი. ასეთი მდგომარეობა სამუდამოთ ვერ გასტანდა.

მძიმე მრეწველობა მაშინ არის სასარგებლო, როცა იგი ხელს უწყობს მრეწველობის სხვა დარგების, და სახელდობ. მსუბუქ მრეწველობის განვითარებას და საზოგადოების ყო-

---

*) სულ სხვა არის, თუ რამდენი უწევს მოსახლეობის ერთ თავზე ეს საგანი სხვადასხვა ქვეყანაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველ დღიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ საგნების წარმოებას. უამისოთ იგი მახინჯი ქმნილებაა, ჯუჯა სხეულზე გამობმულ უზომოთ გაბერილ თავით; ასეთი შეუსაბამობა ვნებს და აავათმყოფებს მთელ სხეულს.

და აი სწორეთ ამ გარემოებამ იჩინა თავი საბჭოთა კავშირში. არც მსუბუქი მრეწველობა, ე. ი. საზოგადოების ფართო ნაწილისთვის საჭირო საგნების დამზადება, და არც სოფლის მეურნეობა აღარ შეეფერება იქაურს, მძიმე მრეწველობის სახით, არა ნორმალურათ «გაბერილ თავს» მთელი სახალხო მეურნეობისას. მძიმე მრეწველობა «გაჩაღდა», მაგრამ აუცილებელ საჭიროების საქონელი ვეღარ აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებას, იგი ძალიან დაბალი ხარისხის არის და საშინელ ძვირათ ფასობს. დამახასიათებელი ის არის, რომ ფასებს მძიმე მრეწველობაში, ე. ი. მრეწველობის იმ დარგში, რომელიც მოსახლეობის მოთხოვნილებას პირდაპირ არ ემსახურება, უფრო ნაკლები ზრდა ეტყობა, ვინემ ფასებს პირველ მოთხოვნილების საგნებისას.

იძულებული ვარ აქ მკითხველისთვის არა-საყვარელ ციფრებს მივმართო, რადგან ისინი ძალიან დამახასიათებელი არიან.

ასე, ფასების ზრდა საკვებ საგნების გაცილებით უფრო დიდია, ვინემ მსხვილ მრეწველობის ნაწარმოების. სახელდობ, საფუძვლათ რომ 1927 წლის ფასები ავიღოთ და იგი გამოვხატოთ 100 პროცენტით, 1950 წლის 1 მარტს ფასები უდრიდა *):

მრეწველობაში:		კვების საგნები (ფასების დაკლების შემდეგ):	
ქვანახშირის	1.038,0	პურის	2.500,0
მაზუთის	738,0	პურის ფქვილის	3.150,0
ბენზინის	339,1	შაქრის	1.841,0
ფოლადის (სააღმშენებლო)	593,6	ხორცის	2.323,9
სპილენძის	529,4	რძის	1.173,9
ცემენტის	656,2	საჭმელი ზეთის	5.172,4
		კვერცხის	2.011,8
და სხვ.		და სხვ.	

გაჰქრა ის მდგომარეობა, როცა რუსეთი პურს აწოდებდა ევროპას და აწოდებდა იაფ ფასათ; ახლა პურით და საზოგადოთ ხორბლეულობით იგი საკუთარ მოსახლეობის მოთხოვნილებასაც ვეღარ აკმაყოფილებს. ამ გარემოებამ ცუდი გავლენა იქონია საერთოდ სოფლის მეურნეობაზე და განსაკუთრებით ცუდი მესაქონლეობაზე, რომელიც სოფლის მეურნეობის ძლიერ თვალსაჩინო დარგს წარმოადგენდა.

---

*) ვსარგებლობ ცნობებით: P. Brière «Salaires et niveau de vie en U.R.S.S.», Paris. გვ. 98—99.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ, როცა მოსახლეობის რაოდენობა საბჭოთა კავშირში ძალიან გაიზარდა, ბ. ხრუშჩევის მიერ მოყვანილ ცნობების მიხედვით, მსხვილფეხა რქიან პირუტყვის რაოდენობა ამ 37 წლის განმავლობაში (1916 წლის შემდეგ) 58,4 მილიონ სულიდან ჩამოსულა 56,6 მილიონ სულამდის; მათ შორის ძროხის რაოდენობა 28,8 მილიონიდან 24,3 მილიონამდის; ცხენის—38,2 მილიონიდან 15 მილიონამდის (იხ. გაზეთი «კომუნისტი» №№ 217 და 218. 13—15 სექტემ. 1953 წ.). პირუტყვს საკვები არ ყოფნის, ხან საკვების უქონლობის და ხან საკვების სიძვირის გამო... საერთოთ სოფლათ დარჩენილ მოსახლეობის შრომა იმ ტექნიკასთან ერთად, რომელიც—მიუხედავათ ბოლშევიკების ტრაბახისა—დაბალ საფეხურზე იმყოფება, არ ყოფნის მთელი მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ადამიანი მაინც დიდი გაჭივრების ამტანი ყოფილა; მესაქონლეობას უფრო დატყობია ეს გასაჭირი, ვინემ ადამიანის რიცხვობრივ გამრავლებას...

უცხოეთის გამოცემებში ხშირად შეხვდებით ცნობებს ფასებისა და ჯამაგირების შესადარებლათ საბჭოთა კავშირში და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ვისარგებლოთ ამ შემთხვევაში ინგლისელ ეკონომისტის Edw. Grankshow-ს ცნობებით. ის ადარებს ფასებს ინგლისში (ძვირი ქვეყანაა) და საბჭოთა კავშირში და ორივე ქვეყნის ფასები შრომის რაოდენობაზედ გადაყავს (1951 წლის) და ისე ადარებს ერთი მეორეს; სახელდობ, რამდენი უნდა იმუშაოს კაცმა ქვემოთ—დასახელებულ საგნების შესაძენათ:

	საბჭოთა კავშირში:			ინგლისში:	
ერთი გირვანქა კარაქის	6 საათი	36	მინუტი.	48	მინუტი.
ხორცის	1 ,,	48	,,	40	,,
შაქრის	2 ,,	24	,,	10	,,
რძის (ბოთლი) . .	0 ,,	30	,,	10	,,
10 ცალი კვერცხის .	4 ,,	20	,,	1 ს. 20	,,

(იხ. Breière-ის წიგნი, გვ. 97).

დიახ, საბჭოთა კავშირის მოსახლეობა დიდ გასაჭირს იტანს და იგი დიდათ მომთმენია; მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი, დამორჩილებულ ხალხის მოთმინებასაც. როგორც ახლა ირკვევა, გასული წლის განმავლობაში მუშათა საპროტესტო გამოსვლებს ადგილი ჰქონია არა მხოლოდ აღმოსავლეთ გერმანიაში (ივნისში), ჩეხო-სლოვაკიაში და სხვა «სატელიტებში», არამედ ბევრ ადგილას თვით საბჭოთა კავშირში. იმ პოლიტიკურ შენძრევასთან ერთად, საბჭოთა კავშირის ოლიმპზე 1953 წელს ადგილი რომ ჰქონდა, იქ შექმნილმა ეკონომიურ მდგომარეობამ ძალიან დააფიქრა საბჭოთა კავშირის მეთაურობა. და აი ეს მეთაურობა ალაპარაკდა.

8 აგვისტოს (1953 წ.) მთავრობის თავმჯდომარემ ბ. მალენკოვმა აუწყა ქვეყნიერებას: ჩვენი საჩქარო ამოცანა ის არის, რომ მომავალ ორ-სამ წელიწადში ბლომათ დავამზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოთ საკვები საგნები მოსახლეობისთვის და ნედლი მასალა ჩვენი მსუბუქ მრეწველობისთვისო.

ბ. ხრუშჩევმა, კომუნისტურ პარტიის მთავარ მდივანმა ხორცი შეასხა ამ განცხადებას (3 სექტემბერს) და საბჭოთა კავშირის სასოფლო მეურნეობის მეტად შემაძრუწუნებელი სურათი დახატა, იმ დამატებით, რასაკვირველია, რომ მომავალ 2—3 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის ყველა დარგებს გავაძლიერებთ და ქვეყანას საკმარისი საჭმელ-სასმელი ექნებაო. ამავე დროს მან დაუმატა—ესეც, რასაკვირველია, იმედის მოსაცემათ—არც მძიმე მრეწველობაზე ზრუნვას გავანელებთო.

დასასრულ, ბ. მიკოიანმა, სავაჭრო საქმეების სულის ჩამდგმელმა, საბჭოთა კავშირის მცხოვრებთ აუწყა (17 ოქტომბერს): ორი-სამი წლის განმავლობაში საქმეს ისე მოვაწყობთ, რომ ყოველ ქალაქში და ყოველ მაზრაში საჭირო საქონელი იშოვებოდესო.

ბევრი ციფრები მოიყვანეს—მათ ძალიან უყვართ თავისი საკუთარი ციფრები—მაგრამ უციფროთ და უდავიდარაბოთ ყველასთვის გასაგები იყო, რომ საბჭოთა კავშირში მოსახლეობა მუდამ დამშეულია, ჩაუცმელ-დაუხურავია და უბინაო. ამას არ შველის მომავლის «ბრწყინვალე პერსპექტივები», თუნდაც საბჭოთა კანცელარიების ციფრებით შელამაზებული. ჩვენზედ ყოველივე ამას არავითარი შთაბეჭდილება მოუხდენია და, ვფიქრობთ, არც საბჭოთა კავშირის მოსახლეობაზე, რადგან ასეთი «თვით კრიტიკა» და დიდი დაპირებები ხშირად გვსმენია იქიდან და ყოველთვის უნაყოფოთ სად არის იმის გარანტია, რომ სულ მალე სხვა ვინმე არ გამოვა საბჭოთა ტრიბუნაზე და ყოველივეს ახლა ნათქვამს და დაპირებულს არ გააკრიტიკებს და არ გააქარწყლებს. ამისთვის, სულ უბრალო თავის შექცევას წარმოადგენს ის ხმაურობა, რომელიც უცხოეთის პრესის ერთმა ნაწილმა, ზემოთ აღნიშნულ საბჭოთა კავშირის მეთაურთა გამოსვლების გამო ასტეხა: «ხედავთ, საბჭოთა კავშირი თავის ეკონომიურ პოლიტიკის შეცვლას პირდება ხალხს, გმობს «კოლხოზებს» მან მთელი თავისი ეკონომიური პოლიტიკის უვარგისობა აღიარა!»-ო. ზოგი ეგრეთ წოდებულ «ნეპ»-ის აღდგენასაც მოელოდა.

სინამდვილეში, რასაკვირველია, არაფერი ამის მზგავსი არ მომხდარა და უცხოეთის პრესის ერთი ნაწილის შარშანდელი ანგარიშები, თუ რამდენი ხორცი, კარაქი, რძე და კვერცხი ექნებათ, ამ ორი-სამი წლის შემდეგ, საჭმელათ საბჭოთა მოსახლეობას, წმინდა ფანტაზიის ნაყოფია. საბჭოთა დიდმა ვაჟ-ბატონებმა გააკრიტიკეს ის, რაც ყველასთვის ადვილი დასანახია, თუ ამის დანახვას ვინმე მოისურვებს; ხოლო ოდნავათ არ შეხებიან თვით სისტემას, ახლანდელ მდგომარეობის წარმომშობ თვით ძირითად მიზეზებს. საბჭოებს არ შეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიათ თავისი ეკონომიური პოლიტიკის შეცვლა ისე, რომ მთელი მათი პოლიტიკური სისტემა, დამყარებული ძალმომრეობაზე და ტოტალიტარულ მართველობაზე, არ შეირყეს და სასიკვდილოთ არ დაზიანდეს. ეს ძალიან კარგად ესმის საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებს. ამიტომ ისინი არავითარ დაპირებას თვით ეკონომიურ სტრუქტურის შეცვლის შესახებ არ იძლევიან, და არც შეეძლოთ ამის მოცემა, რადგან ეს მათი საქმიანობის ძირიანათ უარყოფა იქნებოდა, მათივე მხრით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში, ხრუშჩევის მიერ გაკეთებულ გამანადგურებელ მოხსენების გამო, ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობამ «უდავოთ დაამტკიცა თავისი გადამწყვეტი უპირატესობა წვრილი სასაქონლო გლეხის მეურნეობის წინაშე, აგრეთვე მსხვილი კაპიტალისტური სასოფლო სამეურნეო წარმოების წინაშე... კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობებმა უზრუნველყვეს სოფლის მეურნეობის პროდუქციანობის მნიშვნელოვანი ზრდა და მისი დიდი საქონლიანობა... მსხვილ სოციალისტურ სოფლის მეურნეობის უდიდესი შესაძლებლობანი ჯერ კიდევ ცუდათ არის გამოყენებულიო» და სხვ. (იხ. გაზ. «კომუნისტი» №№ 217 და 218, 13—15 სექტ. 1953 წ.).

მართალია, «ცენტრალური კომიტეტი»-ს ასეთი დასკვნა სოულებით არ ეთანხმება სახალხო მეურნეობის იმ დგომარეობას, სამმა უმთავრეს თანამდებობის პირმა ამ «კომიტეტს» (პლენუმს) ამ რამდენიმე თვის წინათ რომ დაუხატეს; მაგრამ ასეთია ის წინააღმდეგობანი, რომლით სავსე არის საბჭოთა კავშირის სინამდვილე და მათ ჩვენ შევეჩვიეთ. ვერც «კოლოზებზე» და «სოციალისტურ» მეურნეობაზე და ვერც მძიმე მრეწველობის და სამხედრო საგნების წარმოების უპირატესობაზე თავის სახალხო მეურნეობაში საბჭოები უარს ვერ იტყვიან.

უარს ვერ იტყვიან იმიტომ, რომ ეს იქნებოდა მათის მხრით ხელის აღება ადამიანის შრომის უსაზღვრო ექსპლუატაციაზე; ამ ექსპლუატაციაზე კი არის დაფუძნებული მთელი მათი ჯერ ეკონომიური სისტემა და შემდეგ პოლიტიკური საქმიანობა. საბჭოთა პოლიტიკა და მათი აწ არსებული ეკონომიური სტრუქტურა იძლევა საშვალებას საბჭოთა იმპერიალიზმის უსაზღვრო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. აბა, როგორ შეუძლიათ მათ ამ პოლიტიკაზე და ამ ეკონომიურ პოლიტიკაზე ხელი აიღონ?

მოხდა მხოლოდ ის, რომ ეკონომიურმა მდგომარეობამ ეთხელ კიდევ თავში ჩაკრა საბჭოთა კავშირის მმართველებს და იძულებული გახადა ისინი უკანაც მოიხედონ, ხალხისკენ. და ზარბაზნების და ტანკების მაგიერ მათ პურზე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორცზე, ტანსაცმელზე და ფეხსაცმელზე ელაპარაკონ... დაპირება მისცენ!

არსებითად კი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდება, სანამ იქ არსებულ სახალხო მეურნეობის სტრუქტურა ძირიანათ არ შეიცვლება; ეკონომიურ სტრუქტურის შეცვლა საბჭოთა ქვეყნებში კი მათი პოლიტიკის შეცვლას მოასწავებს და უპირველეს ყოვლისა, მათ განიარაღებას და იმპერიალისტურ განზრახვებზე ხელის აღებას. ეს კი არ შედის მოსკოვის ხელისუფლების პროგრამაში.

ამიტომ ის, რაც ამ რამდენიმე თვის წინად ვისმინეთ საბჭოთა მეთაურებისაგან და შემდეგაც დრო-და-დრო გვესმის, და რამაც ნერწყვი მოგვარა ევროპის საქმის კაცებს—«დადგა დრო, როცა საბჭოთა კავშირთან დიდ სავაჭრო და სააღებ-მიცემო საქმეებს მოვაწყობთ»-ო—სიტყვები იყო, ცარიელი სიტყვები, რომლის განხორციელებას არსაიდან და არაფერში ვხედავთ. არაფერი შეცვლილა ა რ ს ე ბ ი თ ა დ არც პოლიტიკაში და არც ეკონომიკაში. ყოველივე «ასე იყო და ასე იქნება» საბჭოთა კავშირში მანამდის, სანამ იქაურ ხელისუფლებას ხალხზე ბატონობის ძალა შერჩება.

ილიუზიებს არ მიეცემა ის, ვინც ბოლშევიზმის ბუნებას იცნობს და ბოლშევიკების საქმიანობას უკვირდებოდა ამ 35 წლის განმავლობაში: თავის თავს ბოლშევიკები ვერ უღალატებენ.

ბ. ბ.

26 მაისი და საქართველოს მუშა ხალხი.

ორი ათას წელზე მეტია, რაც ქართველი ხალხი დაბინავებულა დღევანდელ ჩვენს ქვეყანაში. როგორც ჩვენი ისტორიის მატიანენი მოგვითხრობენ, ამ ხნის განმავლობაში ქართველი ერი უფრო მეტს ხანს ყოფილა უცხოთა ბატონობის ქვეშ, ვიდრე თავის პატრონი და თავისუფალი. შედარებით იმ მოკლე დროშიაც, როცა იგი თავის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას დამოუკიდებლათ განაგებდა, უმრავლეს შემთხვევაში ქვეყანა ყოფილა მრავალ სამეფოებათ და სამთავროებათ დაყოფილი, რომელნიც ხან ყველა ერთად არიან თავისუფალნი ხან ერთი რომ თავისუფალია, მეორე და მესამე სხვის ქვეშევრდომობაში და მორჩილებაშია.

მხოლოდ ჩვენი ისტორიის მოკლე პერიოდში მოსჩანს, როდესაც საქართველოს მთელ ტერიტორიას და მთელ ერს ფარავს ერთი მთლიანი ქართული სახელმწიფო, რასაც ასე სრულად გამოხატავს 26 მაისს დაარსებული საქართველოს რესპუბლიკა, იმ განსხვავებით, რომ წინეთ ჩვენს მეფეებს დასჭირებიათ ხმალი, რომ ქართველ მებატონეთა ცალ-ცალკე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არსებული სამფლობელონი დაემორჩილებინათ ერთი სამეფო ტახტისთვის; რესპუბლიკა კი წარმოიშვა თავიდანვე მთლიანი ტერიტორიით და მთლიანი საქართველოს ერით.

საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკამ დიდხანს არ იარსება; იგი დაანგრია და მოსპო უცხო გარეშე ძალამ, მაგრამ მისი ისტორიული მნიშვნელობა იმდენათ დიდი და მრავალფეროვანია, რომ ეს ამბავი გრძელი დროის მანძილზე დარჩება, როგორც ქართველი ხალხის, ისე უცხო ერთა მეხსიერებაში, რომლის შესწავლა და დაფასება არა ერთი და ორი მომავალი ისტორიკოსისათვის გახდება ძვირფასი შრომის საგნათ.

ჩვენი ქვეყანა მრავალჯერ ყოფილა უცხო ძალთაგან წაქცეული და დამონებული, დიდ ჭირში და გაჭირვებაში მყოფს ქართველს ერს მრავალჯერ გადაუგდია დამპყრობელთა მონობის უღელი, მაგრამ ქართველი ხალხის განვლილ საუკუნეთა ცხოვრებაში 26 მაისი არის სრულიად ახალი მოვლენა, ჯერჯ უცნობი და გაუგონარი.

მეთვრამეტე საუკუნის დამლევამდე საქართველოს ერის ბატონი იყო ფეოდალური არისტოკრატია; იგი აშენებდა სახელმწიფოს, მართავდა მას, აწყობდა შინაურ და საგარეო საქმეებს. აქ ხალხი, ერი და მისი ხმა ანგარიშში არ იყო; მას არავინ ეკითხებოდა, მასთან არავინ ბჭობდა. 26 მაისს კი ძველი გაბატონებული წოდების მაგივრათ საქართველოს მედროშეთ და მისი პოლიტიკური ხომალდის ხელმძღვანელათ გამოვიდა ჩვენი საზოგადოების, ეგრეთ წოდებული, დაბალი კლასი. ამ უკანასკნელმა აიღო თავის თავზე ერის მოვლა-პატრონობა, მისი მეთაურობა, მისი წინამძღოლობა, იგი აშენებს სახელმწიფოს, იგი მართავს მას, იგი განაგებს.

აი, ეს ამბავი არის ახალი, არა მარტო ჩვენი ერის ცხოვრებაში, არამედ ახალია ხალხთა მსოფლიო ისტორიაში.

26 მაისამდე სხვა ერის მუშა ხალხიც მოექცა თავის ქვეყნის სათავეში: ახალი ზელანდია, სკანდინავიის ქვეყნები და სხვა, მაგრამ იქ მუშა ხალხი მოვიდა მთავრობაში მშვიდობიან დროს, ჩაიბარა სახელმწიფო და მისი აპარატები დიდი ხნით დამკვიდრებული და საათივით აწყობილი; ჩვენი რესპუბლიკა კი შენდებოდა მსოფლიო ომის პროცესში, რუსეთის იმპერიაში მძვინვარე საშინელი ანარქიის დროს, გარშემორტყმულ ომში და ცეცხლში, და ამ პირობებში სრულიად ცარიელ ადგილზე აშენდა ასჩვიდმეტი წლის წინეთ დანგრეული ქართული ეროვნული სახელმწიფო.

26 მაისს ქართველი მშრომელი ხალხი გამოვიდა ეროვნული საქმის მეთაურათ მეტად რთულ, აწეწილ დიდ საპასუხისმგებლო ისტორიულ მომენტში, მაგრამ ეს როლი მან უმწიკვლოთ და ღირსეულათ შეასრულა და მით ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთი საუკეთესო ფურცელი კვლავ ჩაიწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მუშა ხალხს არ ყავდა თავის ერში საზოგადოებრივი კლასი, რომელიც მას შეეცილებოდა და ჩვენს ქვეყანაში შექმნილ ახალ ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებაში ერს გასძღოლოდა მის ეროვნულ, სოციალურ, პოლიტიკურ-ეკონომიურ საკითხების მოსაწესრიგებლათ, რაც რომ ახალმა ცხოვრებამ ჩვენ წამოგვიყენა. და ის, რაც ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში მოხდა, ეს იყო ბუნებრივი, ეს იყო აუცილებელი.

ქართველი მუშა ხალხის მეთაურობა ჩვენი ერის საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში იწყება რესპუბლიკის დაარსებამდე. 26 მაისი იყო ლოლიკური დასკვნა საქართველოს უკანასკნელი ხანის ისტორიული განვითარების, მუშა ხალხის პოლიტიკურ ასპარეზზე 25 წლის განვლილი ბრძოლების.

1901 წლის 22 აპრილს ქართველმა მუშებმა პირველათ ამცნეს თავისი თავი ქვეყანას, ამცნეს შინაურ და გარეშე საზოგადოებას. ამ დღეს ასი წლის მიყუჩებული და მიძინებული ქართული საზოგადოებრივი ძალები მოულოდნელათ შეარყიეს და გამოაფხიზლეს.

საქართველოს სატახტო ქალაქში, სადაც თავმოყრილი იყო რუსეთის იმპერიის კავკასიის სამართველო დაწესებულებანი, ჯარით და პოლიციით, მეფის მოადგილის სასახლიდან ასი ნაბიჯის მოშორებით ქართველმა მუშებმა ააფრიალეს დროშა რუსეთის სამეფო ტახტის წინააღმდეგ, მის დასანგრევათ და თავისუფლების მოსაპოებლათ. ამ ისტორიულ ამბავს მთელი საქართველო აღტაცებით და თანაგრძნობით შეხვდა; ვისაც გულში თავისუფლების სიყვარული და წყურვილი ჰქონდა, ყველას მომავლის იმედი გაუცოცხლა და გამბედაობა გაუცხოველა.

ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ საქართველოს მუშათა მოძრაობა არ თავსდება მარტო თავის კლასობრივ-პროფესიონალურ ჩარჩოებში, რომ 22 აპრილის აქტი იყო აგრეთვე საერთო სახალხო მიზნისთვის აშკარა გაბედული ომის გამოცხადება რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რაშიაც დაინტერესებული იყვენ არა მარტო მუშები, არამედ ერის ყველა პროგრესიული კლასები. ქვეყნისათვის აშკარა შეიქნა, რომ თუ არ დაიქცა მეფის რეჟიმი და იმპერიაში არ დამყარდა სახალხო თავისუფლება, არ შეიქნა ლეგალური ასპარეზი საზოგადოებრივ ძალთა თვითმოქმედებისათვის, ისე ყოვლად შეუძლებელია მოქალაქეთა უბრალო ცდაც კი რომელიმე საზოგადოებრივ სამოღვაწეო სარბიელზე. იმპერიაში პოლიციური რეჟიმის მოსპობა და დასავლეთ ევროპის ხალხთა ცხოვრების წესების შემოღება იყო იმ დროს სადღეისო ლოზუნგი.

რომ დასავლეთ ევროპაში ბურჟუაზიამ დაამყარა დემოკრატიული მართველობა და ამ საქმის მეთაურათ კი ჩვენში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვიდა მშრომელი ხალხი,—ეს ამბავი არ ეუცხოვა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას და მუშა ხალხის დროშის ქვეშ და. მის გვერდით დაირაზმა ჩვენი ერის ყველა სასიცოცხლო ძალები. და როცა 1905 წელში ძლიერმა რევოლიუციონურმა მოძრაობამ შეარყია ნიკოლოზ მეორის ტახტი და მეფე აიძულა 17 ოქტომბრის მანიფესტით დაპირებოდა ხალხს რეჟიმის შეცვლა და თავისუფლების დამყარება, ამ ამბით გახარებულმა თბილისის მცხოვრებლებმა 18 ოქტომბერს გამართეს გრანდიოზული მანიფესტაცია და მთელი ქალაქი დაიძრა ნაძალადევისაკენ რევოლიუციისადმი ერთგულობის და მუშათა მეთაურობისადმი ნდობის გამოსაცხადებლათ.

სწორეთ ამ დღეს იქ კრება ჰქონდა მუშათა ხელმძღვანელ ორგანიზაციას. კრების მონაწილენი, გარდა ნოე ჟორდანიასი, ყველანი მუშები იყვნენ. არავინ არა იცოდა რა 17 ოქტომბრის მანიფესტის შესახებ. ეს ამბავი მათ გაიგეს, როცა ქალაქიდან მოსული ზღვა ხალხის მარსელიეზის და მხიარული ყიჟინის ხმა მოისმა გაღებულ კარებიდან.

მუშათა ციტადელში მოსულიყო ყველა: პროლეტარი, ბურჟუა, ვაჭარი, ხელოსანი, ინტელიგენტი, მოხელე. ეს მათი მანიფესტაცია იყო სახე და გამოხატულება მთელი საქართველოს ხალხის, მისი სულისკვეთების. ამით მათ სააშკარაოზე გამოიტანეს თავისი თანაგრძნობა რევოლიუციისადმი. ამ დღიდან ხალხი არ ჩამოშორებია მუშათა დროშას.

1901 წლიდან 1905 წლამდის ეს იყო ხანა საქართველოს მუშათა პოლიტიკური და ორგანიზაციული ზრდის და განვითარების, ხანა მუშათა პრესტიჟის და გავლენის გაფართოების. და ამავე დროს ეს განვლილი გზა იყო მისთვის, გზა უდიდესი პოლიტიკური განცდის და ხიფათისა.

იმ ჟამათ რუსეთიდან შემოიჭრა საქართველოში ჩვენთვის უცხო და უცნობი იდეიური ტალღა საქართველოს მუშათა სულის დასაპყრობათ, მისი საკუთარი ბუდიდან ამოსაგდებათ. ეს იყო ლენინის ახალი მცნება—ბოლშევიზმი.

რა უნდოდა ლენინის იდეებს საქართველოს მუშებში?

ლენინი პირველათ რომ მივიდა რუსის მუშებთან, მან მათ მიუტანა დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობის იდეები. მაგრამ როცა იგი დაუახლოვდა რუსის მუშათა მასას და აქტიურათ ჩაება მათ მოძრაობაში, მას ეჭვი შეეპარა მის მოტანილ მცნებათა სისწორეში. და რამდენათაც ახლო გაეცნო რუსეთის მუშათა მასის ჩამორჩენილობას, მის განუვითარებლობას და უკულტურობას, იმდენათ მეტად დარწმუნდა, რომ დასავლეთ ევროპის მუშათა იდეები ყველა ვერ პოულობს თავის გამართლებას რუსეთის სინამდვილეში. უმთავრესად მასში განმტკიცდა აზრი, რომ რუსის მუშა ხალხს არ შეუძლია თავიანთ განთავისუფლების საქმეს თვითონ მოუაროს, თუ მათ არ გაუჩნდათ პატრონათ გულშემატკივარნი განათლებული პირნი. აი, ეს ახალი იდეა საფუძვლათ დაუდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა განთავისუფლების საქმიანობას; ამაზე ააშენა თავისი ახალი თეორია და გადაწყვიტა რუსეთის მუშათა მოძრაობა ჩააყენოს მის თეორიასთან შეფარდებულ ორგანიზაციულ-იდეიურ ჩარჩოებში, რომ მუშათა ხელმძღვანელი, მისი საქმის ამწყობ-დამწყობი, მისი ბრძოლის საკითხების გადამწყვეტი და გზის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო მისთვის თავდადებული პროფესიონალური რევოლიუციონერები, მუშა ხალხი კი მათი მორჩილი და მათი კარნახის შემსრულებელი.

რუსეთში ამ გეგმის განხორციელება არ წარმოადგენდა სიძნელეს, რადგან იქ მუშათა ორგანიზაციები უკვე იმ ხასიათის და იმ ნიადაგზე იყო აშენებული, რაზედაც ოცნებობდა ლენინი. საჭირო იყო მხოლოდ ამ ფაქტიური მდგომარეობის დაკანონება.

სულ სხვა ამბავი იყო საქართველოში, სადაც მუშათა ორგანიზაციები წარმოიშვა და განვითარდა თვითმოქმედების და თავის საქმის პატრონობის ნიადაგზე. აქ საჭირო იყო არა ფაქტის დაკანონება, არამედ ამ ფაქტის უკანონოთ გამოცხადება, მისი დაშლა და დანგრევა. ეს საქმე აიღეს თავის თავზე ლენინის მოციქულებმა—მათ ვინც 21 წელში აქტიური სულის ჩამდგმელნი გახდენ მოსკოვის ჯარების შემოსევის და ჩვენი ქვეყნის თავისუფლების მოსპობის.

პირველი იერიში მათ მიიტანეს თბილისის მუშებზე, დარწმუნებული იმაში, რომ თუ თბილისს დააყენებდენ თავიანთ გავლენის ქვეშ, ადვილი იქნებოდა მთელ საქართველოში მათი გაბატონება.

ამ მხრივ დრო მათ ხელს უწყობდა, რადგან 1901 წლის 22 აპრილის მუშათა დემონსტრაციის შემდეგ მთავრობამ გააძლიერა რეპრესიები მუშების წინააღმდეგ. 1902 წელში ექვსი თვის განმავლობაში რიგრიგობით თბილისში მუშათა ოთხი კომიტეტი დაიჭირეს მრავალი მოწინავე მუშა და ცნობილი ინტელიგენტები ზოგი ციმბირში და რუსეთში იყვნენ გადასახლებულნი, ზოგი ციხეებში დამწყვდეულნი. არც ნოე ჟორდანია და არც სილ. ჯიბლაძე იქ არ იყვნენ. ნოე ჯერ განჯაში იყო პოლიციის მხედველობის ქვეშ და მერე საზღვარ-გარეთ გაეპარა ჟანდარმერიას, ს. ჯიბლაძე გადაასახლეს რუსეთში. ახლად დაარსებულ კავკასიის უმაღლეს პარტიულ ორგანოში—საკავშირო კომიტეტში კი თავი მოიყარეს ლენინის მიმდევრებმა და სწორეთ ეს კომიტეტი შეუდგა მუშაობას თბილისის მუშების ლენინის შინა ყმათ გადასაქცევათ. პირველ ხანათ ვერ გაბედეს აშკარათ ქადაგება ლენინის ანტიდემოკრატიული იდეიების, ეშინოდათ რომ ეს გამოიწვევდა დიდ წინააღმდეგობას მუშებში, ამიტომ არჩიეს ჩუმათ და მალულათ გაეტარებინათ ცხოვრებაში ის, რასაც ლენინი აშკარათ ქადაგებდა. ამ მხრივ პირველი მათი ცდა დიდი მარცხით დამთავრდა. მათი განზრახვა რომ თბილისის მუშათა არჩეული კომიტეტი ყოფილიყო სადეკორაციოთ—ფიქტიურ ხელმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძღვანელათ, ნამდვილათ კი მის ზურგთ უკან მალულათ მდგარიყო საკავშირო კომიტეტი, რომელიც მუშათა მოძრაობას მისცემდა მისთვის სასურველ ხასიათს და მიმართულებას—დაეჯახა მუშათა ენერგიულ წინააღმდეგობას, მათ შეგნებულ თვითმოქმედებას და მთელი მათი გეგმა ხუხულასავით დაიშალა. ამან დიდი ფორიაქი და აურ-ზაური გამოიწვია. აზრთა ჭიდილი ლენინის აგენტებს და თბილისის მუშებს შორის კარგა ხანს ვერ იქნა გარკვეულათ ჩამოყალიბებული. მუშებმა არ იცოდენ თუ რა ედო საფუძვლათ სტალინის და მახარაძის ლტოლვას მუშათა თვითმოქმედების ჩასაკლავათ. მუშები ამას ხსნიდენ შემთხვევით მოვლენათ, პიროვნული ხასიათით, დირიჟორობის ტრფიალობით, ინტელიგენტების პოლიტიკური ბრძოლის ცალმხრივი გადახრით. ამ დავის საფუძველი მაშინ გახდა აშკარა, როცა მუშების ყურამდინ მოახწია პარტიის ყრილობაზე მომხდარ აზრთა სხვადასხვაობამ—ბოლშევიკ-მენშევიკობის ამბავმა. ეხლა აღარც ბოლშევიკები დაერიდენ აშკარათ ლაპარაკს და დავას პარტიაში მომხდარ იდეურ განხეთქილების შესახებ.

თბილისის მუშების სიხარულს საზღვარი არა ქონდა, როცა გაიგეს, რომ ხოე ჟორდანიაც დასწრებია საზღვარ-გარეთ პარტიულ კონგრესზე და გაულაშქრია ლენინის წინააღმდეგ. ამით გამხნევებულნი უფრო მედგრათ და მხნეთ დახვდენ ბოლშევიკების შემოტევას. ამ იდეოლოგიურმა ბრძოლამ და დავამ გასტანა 1905 წლამდის, თბილისის მუშებს ფეხი ვერ მოაცვლევინეს თავიანთ პოზიციებიდან. კონგრესზე გარჩეული საკითხებიდან უმთავრესათ მუშათა მსჯელობის საგნათ გახდა პარტიულ საქმიანობაში მუშათა და ინტელიგენტთა როლი. გაიძახოდენ: ლენინს სწავლულობის ცენზი შემოაქვს პარტიაშიო. თუ მუშებს არ გვენდობა შინაური ჩვენი პარტიული საქმიანობის პატრონობა და მისი ხელმძღვანელობის და მეთაურობის არჩევა, რა ლოღიკით ვთხოულობთ სახელმწიფოში უფლებას ქვეყნის საქმეების მართველობის ხელმძღვანელთა არჩევნებისას! შთამომავლობის, გვარიშვილობის და ქონების ცენზს, ეხლა სწავლულობის ცენზს უმატებენო. ბოლშევიკური კავკასიის ცენტრი—საკავშირო კომიტეტი—დარჩა მუშებიდან გარიყული: მუშათა კომიტეტი განაგრძობდა ძველებურათ მუშაობას, დაფუძნებულს დემოკრატიულ არჩევნების სისტემაზე, თავის თავის ნდობაზე.

დამარცხდა რა ბოლშევიზმი იდეიურ ბრძოლაში, სტალინმა მიმართა შინაპარტიულ კონსტიტუციურ უფლებას და საკავშირო კომიტეტის სახელით წერილობით მოითხოვა თბილისის მუშათა ურჩი კომიტეტის გადადგომა და მის მაგიერ ზევიდან დანიშნული კომიტეტის ცნობა. ამან მუშები საშინლად ააღელვა, გააბრაზა და ყველანი ფეხზე დააყენა. დაიძახეს: უფლებას გვართმევენო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღესვე მოწვეულ იქნა ყველა რაიონებიდან წარმომადგენლების კრება. სწორედ ამ დროს თბილისში არალეგალურათ ჩამოსულიყო ნოე ჟორდანია და ამ კრებას ისიც დაესწრო.

კრების ამბავს ასე აგვიწერს ბოლშევიკი დ. ს.

«ყრუდ რჩებოდა მსმენელთათვის ბოლშევიკების განმარტება კავშირის კომიტეტის უფლებების, პარტიის ცენტრალური წესების». «ის ბოლშევიკები მუშებიც კი გადაიხარნენ მენშევიკებისაკენ, კრების დაწყებამდის რომ ბოლშევიკებს უჭერდნენ მხარს». «რეზოლიუციაც შესაფერისი გამოიტანეს, ე. ი. თბილისის კომიტეტი არ დაიშლება, ქონებაც მას დარჩება და მოქმედებასაც განაგრძობს» («რევოლიუციის მატიანე» № 3 (20) 1928 წ.).

ამით საბოლოოთ გამოირკვა და აშკარა გახდა, რომ ბოლშევიზმს არა აქვს არავითარი ნიადაგი საქართველოს მუშებში, რომ იგი უცხო ქვეყნის ხილია, ჩვენებური მუშის ფსიქოლოგიას, მის შეგნებას და მის კულტურას იგი არ ეგუება.

ასევე ყოველგან მთელ საქართველოში ქალაქად და სოფლად მშრომელმა ხალხმა თავიდანვე ზურგი შეაქცია ბოლშევიზმს, გაემიჯნა მას და მაგრათ ჩაებღაუჭა დემოკრატიულ პრინციპებს. საქართველოს მუშა ხალხი სრულიად დაცული გამოდგა ბოლშევიკური სენისაგან.

რა იქნებოდა, რომ ქართველი მუშა აყოლოდა ლენინის მოციქულებს და მათ ლაშქარში გარეულიყო?

უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ქვეყნის ამბები სულ სხვანაირათ დატრიალდებოდა. 26 მაისის საფუძველი ადრევე გაქრებოდა და ჩვენი ერის ისტორია დაიწერებოდა როგორც ჩუვაშების. და თუ ეს არ მოხდა, ეს უნდა მიეწეროს საქართველოს მშრომელი ხალხის პოლიტიკურ სიმწიფეს, მის სწორ და საღ აზროვნებას, მის შეგნებას. 26 მაისის ისტორია არ იწყება 1918 წლიდან, მისი ფესვები უკანაა შორს ჩამარხული.

დააკისრა რა საქართველოს ისტორიამ მუშა ხალხს ჩვენი ქვეყნის საქმეთა გაძღოლა, ამის სათანადოთ და ერისთვის სასარგებლოთ წარმართვა დამოკიდებული იყო მის შორსმჭვრეტელობაზე, მის ტაქტზე, თავის და ერის მეობის ღრმა შეგნებაზე. ამ მხრივ ჩვენმა ხალხმა ქვეყანას აჩვენა, რომ ქართველი ერის ორი ათასი წლის კულტურას საქართველოს მშრომელი ხალხის გვერდით არ ჩაუვლია.

გ. ერაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თანამედროვე სოციალდემოკრატია.

ამ 40 წლის წინეთ ევროპის სოციალისტური პარტიები მართალია თვალსაჩინო ძალას წარმოადგენდენ და მეტად მნიშვნელოვან ოპოზიციონურ როლს თამაშობდენ, მაგრამ სახელმწიფოთა მართვა-გამგეობაში პირდაპირ მონაწილეობას ისინი არ იღებდენ. პირველი დიდი ომის და მის მომყოლ რევოლიუციების შემდეგ კი მდგომარეობა სავსებით შეიცვალა. დაინგრა მონარქიები რუსეთში და ავსტრო-უნგრეთში. განთავისუფლდენ საუკუნოებით ჩაგრული ერები. თავისუფლება მოიპოვეს პოლონეთმა, ჩეხოსლოვაკიამ და უნგრეთმა. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ რუსეთში იყო ხანა, როცა იქ ყველა ერები თავისუფალი იყვნენ და თვითოეულ ერს თავის საკუთარი სახელმწიფო ჰქონდა. ამ ახლად განთავისუფლებულ ქვეყნებში ყოველგან დემოკრატიული წესწყობილება შემოიღეს, სოციალისტური პარტიები მთავრობებში მრავალრიცხოვანად იყვნენ წარმოდგენილი და იქ დიდ აქტიურ მუშაობას ეწეოდენ. ჩვენ ვიცით, რომ პატარა საქართველოში სოციალდემოკრატიას ქართველი ერის 83 პროც. მიყვებოდა და პარლამენტში მას დიდი აბსოლუტური უმრავლესობა ყავდა. იმ დროს ევროპაში რწმენა და დიდი იმედი იყო, რომ სოციალიზმის განხორციელებას და ერთა თავისუფლების განმტკიცებას საერთოდ მტკიცე საფუძველი ეყრებოდა. მაგრამ სამწუხაროდ ეს მოლოდინი არ გამართლდა.

ბოლშევიკებმა რუსეთში ძალაუფლება ხელთ იგდეს. თავისუფალი ერნი თანდათანობით ძალით დაიპყრეს და პირველი დიდი ომის და რევოლიუციის შემდეგ დაშლილი რუსეთის იმპერია კვლავ აღადგინეს. იქ საშინელი ტერორი და ტირანია გაამეფეს.

რუსეთში ბოლშევიკების გამარჯვებამ დემოკრატიულ სოციალიზმს საერთოდ დიდი ვნება და ზარალი მიაყენა. მთელ ევროპაში მუშათა მოძრაობა ორგანიზაციულად, პოლიტიკურად და იდეოლოგიურად ორ მტრულ და ერთი მეორის წინააღმდეგ დაპირდაპირებულ ბანაკათ იქნა გაყოფილი. წინად ძლიერი მუშათა პარტიები ასეთი განხეთქილებით ძალზე დასუსტდენ და ევროპის დემოკრატიამ დიდი მარცხი განიცადა.

ჩვენ ვიცით, რომ მოსკოვმა ევროპის კომუნისტური პარტიები საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკის სამსახურში ჩააყენა და უმთავრესად ამ მიმართულებით აამუშავა.

ბოლშევიკების მთავარი მიზანი იყო სოციალიზმის და დემოკრატიის შესუსტება და დამარცხება, მათ ნანგრევებზე კი საბჭოთა ბატონობის დამყარება. ამ მოსაზრებით კომუნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტები ევროპაში სოციალდემოკრატების წინააღმდეგ მემარჯვენეებს უჭერდენ მხარს. იტალიაში და გერმანიაში კომუნისტურ პარტიებმა შეგნებულად შეუწყვეს ხელი მუსოლინის და ჰიტლერის გამარჯვებას. დღეს სულ სხვა მდგომარეობა იქნებოდა ევროპაში, რომ კომუნისტები არ შეცდილიყვენ ძირი გამოეთხარათ დემოკრატიისათვის და ზურგში დანა არ ჩაეცათ სოციალდემოკრატიისათვის. კაცობრიობა დიდად დააზარალა იმ ფაქტმა, რომ 1939 წელს სტალინმა და ჰიტლერმა შეკრეს ურთიერთ შორის პაქტი, რასაც შედეგათ მოყვა მეორე დიდი მსოფლიო ომი და ევროპის მთელ კონტინენტზე, შვეიცის და შვეიცარიის გამოკლებით, ტოტალიტარული რეჟიმის გაბატონება.

თუ მოვიგონებთ, რა პირობებში უხდებოდა არსებობა სოციალისტურ პარტიებს ამ ათი წლის წინეთ, მაგალითად 1943 წელს, გაგვახსენდება, რომ ეს პარტიები იყვნენ იმ დროს სასტიკად დევნილი და მათი მომავალი ბნელეთით მოცული. უბრალო მოქალაქეს, რომელიც კარგად არ იცნობდა სოციალისტური პარტიების არალეგალურ და საიდუმლო მუშაობას, შეეძლო დარწმუნებით ეფიქრა, რომ დემოკრატიული სოციალიზმი ევროპაში სამუდამოდ განადგურებულია. ეს იყო უდიდესი დეპრესიის ხანა ევროპის სოციალდემოკრატიის ცხოვრებაში.

მაგრამ სულ მალე სურათი სავსებით იცვლება. გერმანია დამარცხებულ იქნა და მან უპირობოთ იარაღი დაჰყარა. განთავისუფლების შემდეგ ინგლისის საპარლამენტო არჩევნებში სასტიკად დამარცხდა კონსერვატიული პარტია და მისი ლიდერი—ჩერჩილი, რომელმაც უკანასკნელ დიდ ომში მეტად დინამიური როლი ითამაშა. მთავრობაში მოვიდა უმრავლესობით მუშათა პარტია ატლის, ბევინის და მორისონის ხელმძღვანელობით; საფრანგეთის და იტალიის კოალიციურ მთავრობებში სოციალისტური პარტიები მეტად მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდენ და უმათოდ ქვეყნის მართვა-გამგეობა შეუძლებელი იყო; სკანდინავიის ქვეყნებს სოციალდემოკრატები განაგებდენ, ძლიერი სოციალისტური პარტიები არსებობდენ ბელგიაში, გოლანდიაში და ავსტრიაში, აგრეთვე ცენტრალური ევროპის და ბალკანეთის ქვეყნებში—პოლონეთში, ჩეხო-სლოვაკიაში, უნგრეთში, რუმინიაში და ბულგარეთში. ხელახლად დაიბადა იმედი, რომ დემოკრატიული სოციალიზმი ევროპაში გამარჯვებისაკენ მიდიოდა. მაგრამ დიდი ხანი არ გასულა ამის შემდეგ და ამ კარგ იმედებს და პერსპექტივას კვლავ შავი ღრუბლები გადაეფარა. მოსკოვის დირექტივებით და დახმარებით კომუნისტებმა სოციალდემოკრატებს კიდევ ერთჯერ სასტიკი ომი გამოუცხადეს და ისინი უდიდეს მათ მტრებათ დასახეს. კომუნისტები თვალმაქცურად უმალავდენ მათ მიმდევრებს, რომ, თუ მათი ბატონობის ქვეშ ძველი ბურჟუაზიული წესწყობილება იცვლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა, ადგილი ეთმობოდა ახალ ბიუროკრატიულ კლასიურ სისტემას. კომუნისტები ყოველივე ზომას ხმარობენ და ერიდებიან ყოველგვარ კავშირს დემოკრატიულ ქვეყნებთან; ამიტომაც არის, რომ ყოველგან, სადაც მათ ძალაუფლება ხელთ იგდეს, რკინის ფარდები აღმართეს, რათა ხელი შეუშალონ საქონლის და ადამიანის თავისუფალ მოძრაობას და, რაც მთავარია, თავი დაიცვან და მათ სამფლობელოში არ შემოუშვან მათი საწინააღმდეგო აზრები და იდეები.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და არა, რასაკვირველია, თვით საბჭოთა რუსეთში კომუნისტები ცდილობდენ სოციალდემოკრატებთან მჭიდრო კავშირში ყოფნას და მათთან ორგანიზაციულად გაერთიანებას. ესე იგი სოციალდემოკრატიას თავისი თავი თვით უნდა გაეუქმებია. ისინი თანამშრომლობენ ბურჟუაზიულ პარტიებთან, თუ კი ეს უკანასკნელნი მათ სოციალდემოკრატიის დასანგრევად ხელს შეუწყობენ. ამ მიზნით კომუნისტები ლეგალურად არსებობის საშუალებას აძლევდენ და თავიანთ მოკავშირეებათ იხდიდენ ჩეხოსლოვაკიაში და უნგრეთში წვრილ მესაკუთრეთა პარტიას, აღმოსავლეთ გერმანიაში კი ქრისტიანულ დემოკრატებს. 1947 წელს ცხრა ევროპიული კომუნისტური პარტია გაერთიანდა კომინფორმად წოდებულ ინტერნაციონალურ ორგანიზაციაში. ამ ფაქტის გამო გამოქვეყნებულ დეკლარაციაში ბურჟუაზიულ პარტიებს სრულიად არ ეხებოდენ, სოციალდემოკრატებს კი სასტიკად თავს ესხმოდენ. არც ერთს ბურჟუაზიულ პოლიტიკურ მოღვაწეს აქ ცუდად არ იხსენიებდენ, მაგრამ შეურიგებელ მტრებათ სახავდენ ლეონ ბლუმს საფრანგეთში; ატლის, ბევინს და მორისონს ინგლისში; კარლ რენნერს და ადოლფ შერფერს ავსტრიაში; კარლ შუმახერს გერმანიაში; სარაგას იტალიაში. 1948 წელს კომუნიზმის გავლენა თვალსაჩინო გახდა და ამ გავლენამ საგრძნობლად ავნო და შეასუსტა სოციალისტური პარტიები საფრანგეთში და იტალიაში.

მოსკოვი და მისი მეხუთე კოლონები ცდილობდენ სატელიტ ქვეყნების რუსეთის ორბიტაში შეყვანას და მისდამი მათ დამორჩილებას. რუსეთის ძველი იმპერიალისტური პოლიტიკა დღესაც სავსებით ძალაში რჩება,

ინგლისის მუშათა პარტიამ, წინააღმდეგ, მთავრობაში მისი ყოფნის დროს მიიღო ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება და ბრიტანეთის ბატონობისაგან გაანთავისუფლა უდიდესი ტერიტორიები. ინდოეთს, პაკისტანს და ცეილონს მან მიაკუთვნა ეროვნული დამოუკიდებლობა. თუმცა ეს დამოუკიდებელი სახელმწიფონი მათივე სურვილით დარჩენ ბრიტანეთის კავშირში (Commonwealth). ბირმანია გახდა დამოუკიდებელი და რჩება დღემდე ასეთივე, თუმცა ის კავშირის გარეშე იმყოფება. ამავე დროს იმპერიაში მობინადრე სხვადასხვა რასის ხალხებს მიეცათ ადგილობრივი თვით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართველობები. თვით ინგლისში კი მუშათა პარტიამ მშვიდობიანი გზით ჩაატარა ფართე ხასიათის სოციალური რეფორმები. დღეს კონსერვატორებიც ველარ ბედავენ ამ რეფორმების უკან წაღებას და წარმოების ძველ წესებისაკენ სავსებით უკან დაბრუნებას.

საფრანგეთში ლეონ ბლუმის მთავრობაში ყოფნის დროს გატარებულ იქნა მნიშვნელოვანი ხასიათის წარმოებათა ნაციონალიზაცია და ფართე სოციალური კანონმდებლობა. დასავლეთ გერმანიაში ოპოზიციაში მყოფ სოციალდემოკრატიის ცდით და ინიციატივით შემოღებულ იქნა მეტად პროგრესიული სოციალური კანონმდებლობა; განსაკუთრებით აღსანიშნავია ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მუშაობა ბინების აღმშენებლობის საკითხში. შვეიცარიაში, დანიაში, ნორვეგიაში და ფინლიანდიაში სოციალდემოკრატიის მუშაობა ისეთი ნაყოფიერია, სოციალური უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი ფორმის და ხასიათის საკუთრება იმდენად წინ არის წაწეული, რომ ძველი კაპიტალისტური წესისაკენ უკან დაბრუნება ყოვლად წარმოუდგენელია. ყველა ამ ქვეყნებში სოციალდემოკრატები გლეხთა კეთილდღეობისათვის იბრძვიან და მათთან მკვიდრ კავშირში არიან.

დემოკრატიული სოციალიზმის ძლიერება ნათლად გამოჩნდა ახლად აღდგენილ სოციალისტურ ინტერნაციონალის კონგრესზე ფრანკფორტში 1951 წელს, სადაც სხვადასხვა სოციალისტური პარტიები შეთანხმდენ მათი პრინციპების და მიზნების ცხოვრებაში გასატარებლად და გვაჩვენეს მათი ფართე ხასიათის აზროვნება. ამ კონგრესზე მიღებულ პრინციპების მთავარი დებულებები შემდეგია:

«სოციალიზმის მიზანია გაანთავისუფლოს საზოგადოება უმცირესობის ბატონობისაგან და მოსპოს ამ უმცირესობის საკუთრება და კონტროლი წარმოების საშუალებებზე. ის იღწვის ეკონომიური ძლიერება ეკუთვნოდეს ხალხს, როგორც მთლიან ერთეულს და შექმნას საზოგადოება, სადაც თავისუფალი ადამიანები მუშაობენ, როგორც თანაბარნი.

«სოციალიზმი გახდა მთავარი ძალა მსოფლიოს საქმიანობაში. პროპაგანდის სფეროდან ის გადავიდა პრაქტიკულ მოღვაწეობაში და ზოგ ქვეყნებში სოციალისტურ საზოგადოებას უკვე ჩაუყარა საფუძველი. სოციალისტები მუშაობენ ზავის და მშვიდობიანობის დასამყარებლად, შესაქმნელად ისეთი მდგომარეობისა, სადაც უცნობია ადამიანთა ერთი მეორის მიერ ექსპლოატაცია და დამონავება და სადაც ინდივიდუალური განვითარება არის ბაზა კაცობრიობის ნაყოფიერ განვითარებისა».

ამ დეკლარაციიდან არა სჩანს, თუ ზემოდ აღნიშნული პრინციპები რა ფილოსოფიურ და იდეოლოგიურ საფუძველზე ეყრდნობა. მარქსისტებს და არამარქსისტთა შორის ბრძოლას დღეს ინტერნაციონალში ადგილი აღარ აქვს. წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულში სასტიკი ფორმით წარმოებული ეს ბრძოლა ისტორიას ჩაბარდა. ამ მხრივ საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ გასული წლის გაზაფხულზე სოციალისტურ ინტერნაციონალმა მოაწყო სპეციალური კონფერენცია, სადაც ირჩეოდა საკითხი სოციალიზმის და რელიგიის შესახებ. მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც გადაეგზავნა ინტერნაციონალში შემავალ ყველა სოციალისტურ პარტიებს. ეს რეზოლიუცია ასეთია:

«სოციალიზმი სცნობს იმ დიდ როლს, რომელიც უთამაშნია, როგორც რელიგიას, ისე ჰუმანიზმს მსოფლიოს ცივილიზაციების და ეთიკის სისტემების შექმნაში. ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ევროპაში ქრისტიანული მოძღვრება არის სოციალისტური აზროვნების გონებრივი და მორალური ერთი წყაროთაგანი. ის ესალმება ქრისტიანთა შორის იმ შეგნების ზრდას, რომ ქრისტიანული მოძღვრება მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალისტურ საკითხებთან».

დღეს არ არსებობს მეორე მსოფლმხედველობა, რომელიც ისე ნაკლებად იყოს დამოკიდებული ყოველგვარ ტრადიციის და დოქტრინისაგან და რომელიც უფრო მეტად სარგებლობდეს და ხელმძღვანელობდეს მეცნიერული კვლევაძიებით, როგორც ამას დემოკრატიული სოციალიზმი შვრება. დემოკრატია, თავისუფლება და სოციალური სამართლიანობა არის მისი მთავარი სახელმძღვანელო და სამოქმედო ხაზი.

1951 წლის ზაფხულის შემდეგ, როცა სოციალისტური ინტერნაციონალი აღდგენილ იქნა, მრავალ საყურადღებო მოვლენებს ქონდა ადგილი. ინგლისის მუშათა პარტია, მართალია, მმართველი პარტიის როლში აღარ არის და ის დღეს ოპოზიციაში იმყოფება, მაგრამ მან შეინარჩუნა მისი ძლიერება, ახლო მომავალში ის მოელის მმართველ პარტიათ გახდომას. საფრანგეთშიაც სოციალისტები ოპოზიციაში არიან. აქ არ არის მოსალოდნელი, რომ ამ ხანად ისინი მთავრობაში მოხვდებიან, მაგრამ, როგორც მთავრობა, ისე პარლამენტი სოციალისტური პარტიის საერთო გავლენას დიდ ანგარიშს უწევენ და მისი ხმა უყურადღებოთ არსად არ რჩება. იტალიის სოციალდემოკრატიული პარტია სარაგას მეთაურობით ქრისტიანულ დემოკრატებთან ერთად კოალიციონურ მთავრობაში შედის და დემოკრატიული რეჟიმის გასამტკიცებლად და ფართე სოციალური რეფორმების ცხოვრებაში გასატარებლად დიდის ენერგიით საქმიანობს. სკანდინავიის ქვეყნებში გრძელდება სოციალდემოკრატების მმართველობა. ავსტრიაში და გოლანდიაში სოციალისტები მონაწილეობას იღებენ მთავრობებში, სადაც მათი გავლენა მეტად თვალსაჩინოა. ორივე ამ ქვეყნის, აგრეთვე დანიის და ნორვეგიის უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში სოციალისტების წარმატება ფრიად მნიშვნელოვანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იქნება სწორი, თუ ვიფიქრებთ, რომ, დამარცხდა რა დროებით სოციალდემოკრატია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, დემოკრატიული სოციალიზმის გავლენა განისაზღვრება მხოლოდ დასავლეთ ევროპის ზოგი ქვეყნებით. სინამდვილეში კი მისი გავლენა უფრო ფართე და დიდია.

თვით სატელიტ ქვეყნებში, სადაც კომუნისტები დიდად ცდილობენ სოციალდემოკრატების განადგურებას, ეს უკანასკნელნი იქ სრულიადაც მომსპარნი არ არიან. ამას მოწმობს ის, რომ ამ ქვეყნებში კომუნისტები მათ მთავარ მტრათ სოციალდემოკრატებს აცხადებენ. უკანასკნელი მოვლენები უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში და, განსაკუთრებით, ივნისის დღეები აღმოსავლეთ გერმანიაში ნათლად მოწმობენ, რომ სოციალდემოკრატიის გავლენა ყოველგან იქ მეტად საგრძნობია და თავისუფლებისადმი მისი თავდადება ყველას ამოძრავებს კომუნისტების ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ.

რასაც კიდევ მეტი მნიშვნელობა აქვს და რაც იძლევა უდიდესი იმედების საფუძველს, არის მასიური სოციალისტური პარტიების ჩამოყალიბება შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებში: იაპონიაში, ინდოეთში, ბირმანიაში, ინდონეზიაში და მალაიაში. თუ კომუნისტებმა მოსკოვის წაქეზებით და დახმარებით ჩინეთი ხელში ჩაიგდეს ცეცხლის და მახვილის საშუალებით, ამ შორეულ ქვეყნებში კი სოციალისტური პარტიები მომაგრდენ და ორგანიზაციულად დაირაზმენ პროპაგანდის და დემოკრატიული არჩევნების მეოხებით. ეს აზიური სოციალისტური პარტიები დღეს მკვიდრ კავშირში არიან ევროპიულ სოციალისტებთან და მათთან თანამშრომლობენ. მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ აგრეთვე სოციალისტური პარტიები ავსტრალიაში, აფრიკაში და ამერიკაში.

საერთოდ, თანამედროვე სოციალდემოკრატია წარმოადგენს დიდ საერთაშორისო ძალას. ეს სჩანს იმ ფაქტიდან, რომ გასული წლის დამლევს სოციალისტურ ინტერნაციონალში შემავალ პარტიების რიგებში ითვლებოდა 10 მილიონი წევრი და არჩევნებში მათ ხმას აძლევდა 64 მილიონამდი ამრჩეველი—37 მილიონი ევროპაში და 27 მილიონი კი აზიაში.

სოციალდემოკრატია წინეთ არასოდეს ყოფილა ისე ძლიერი, როგორც ის დღეს არის.

ბ. ბ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაცადი გზით!

სტალინის გაქრობამ კრემლის ახალი ტაქტიკა წარმოშვა, რომლის მიზანია შინ უკმაყოფილების შენელება, გარეთ ზოგიერთ გულუბრყვილო უცხოელთა თვალის ახვევა; მაგიდაზე მუშტის დაკვრა ღიმილმა შესცვალა, მუქარა და უშვერი სიტყვა რამოდენიმეთ ზრდილობიან ფრაზებმა, უცხოელ დიპლომატებს კილომეტრები მოუმატეს მოსკოვიდან გასასვლელად, უცხოელზე გათხოვილი რამოდენიმე რუსის დედაკაცი უცხოეთში გამოისტუმრეს, ხრუშევის სამეურნეო გეგმის გადმოშლით გლეხებში ილიუზიების შექმნას შეეცადენ; ყველა ამ სათვალმაქცო რეფორმებს ეხლა ილია ერენბურგის გამოსვლა მიემატა, სადაც ის წარსულზე კრიტიკით ამათრახებს მწერლობას და თითქოს ახალ მითითებებს აძლევს. ირკვევა, რომ მკითხველი გაურბის საბჭოთა მწერლობის ნაყოფს, სამკითხველოს თაროებზე უამრავი წიგნები მტვერში იფლება, ამავე დროს მოთხოვნილება ძველ კლასიკოსებზე მატულობს, მათ ხარბად ეწაფება საზოგადოება. ტოლსტოის, დოსტოევსკის, პუშკინის, ჩეხოვის თუ სხვების ნაწარმოები ხელიდან ხელში გადადის; მკითხველი მათში ეძებს მიმდინარე ცხოვრების დუხჭირ და მძიმე პირობების გამხსნელ კვანძებს, შემამსუბუქებელ იმედის ნაპერწკლებს.

რატომ ვერ დაიმსახურა საზოგადოების ნდობა საბჭოთა მწერლობამ? განა 35 წლის მანძილზე არ გამოჩენილა ნიჭით სავსე პიროვნებები, რომელთაც დიდი ოსტატობით და მხატვრული ფორმებით ააფერადეს საბჭოთა მიღწევანი? ნამდვილი მიზეზი საბჭოთა მწერლობის დაძაბუნებისა, რომელზედაც დღეს ერენბურგი სჩივის მდგომარეობს ხელისუფლებისგან შექმნილ პირობებში, რომლის გამო ლიტერატურაში ასახული ტიპები არ წარმოადგენენ საზოგადოებრივ ცხოვრების რეალობას, გადამუშავებული თემა არ ხატავს და არ აწვდის მკითხველს მას, რასაც ეს უკანასკნელი ხედავს, გრძნობს, განიცდის, მაგრამ ვერ გამოუთქვამს. დიქტატურის სალტებით შეკრულ მწერლობას არ ძალუძს მხატვრული გაქანებით ააღელვოს მისი სული, დაიბყროს მისი გონება, ჩაუნერგოს მას მომავლის იმედები, შეუმსუბუქოს ყოველ დღიური ჭაპან-წყვეტა; მას არ ძალუძს იმოქმედოს მკითხველის მისწრაფებაზე, სურვილზე, გამოიწვიოს მასში აღტყინება, რადგან იგი ხედავს,—მწერლის კალამი, როგორ აქებს და ადიდებს იმას, ვინც მას ჩაგრავს, ავიწროებს, ადამიანურ ცხოვრების პირობებს უსპობს და მონობაში აგდებს. მწერალი გადააქციეს სახელმწიფო მოხელეთ, რომელმაც მხატვრულ ტილოზე უნდა მექანიკურად გადაიტანოს ხელისუფლების თითეული პოლიტიკური, ეკონომიური და საალმშენებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო მიღწევანი, განადიდოს ცალკეული შემთხვევა და ფერადებში ჩამოასხას. იგი სწერს არა მკითხველისათვის, არა საზოგადოებისთვის არამედ იმ უწყებისთვის, რომელმაც დანაკვეთი მისცა.

საბჭოთა მწერლობის თემატიკიდან გამორიცხულია ადამიანის პიროვნება, მისი სულიერი ვითარებისა და მოთხოვნილების დახატვა. ადამიანში კეთილშობლიურ გრძნობათა და კაცთაშორის დაახლოვების იდეათა გაღვივება, ადამიანის პიროვნება დაჩრდილულია, მისი ღირსება მიწასთან გასწორებულია. მხატვრული ტიპი რკინის გულისაა, დაუნდობელი, მიუკარებელი, მასში არ არსებობს ნატამალი შებრალების, ადამიანური მოპყრობის, რადგან იგი უნდა იყვეს საბჭოთა სამშობლოს დიდებისთვის თავდადებული და არა საკუთარი მოძმის, უკეთეს საზოგადოებრივ ცხოვრების შექმნისთვის მებრძოლი.

ე. წ. «პროლეტარული მწერლობა»-ს პროზაში წარმოდგენილია სოფლის და ქარხნის ცხოვრება, სადაც ერთი გამოყვანილი ტიპი არ ჩივის საკუთარ ცხოვრების პირობებზე. დიალოგი, აღწერა, ისეა ყველაფერი შეზავებული, რომ მშრომელი გრძნობს თავს სამოთხეში, ისინი აღტაცებულნი, თავდადებულნი, გიგანტიურ აღმშენებლობაში ჩაბმულნი, თითქოს საკუთარ კუჭზე, საკუთარ ოჯახურ მდგომარეობაზე აღარ ფიქრობენ.

მკითხველი ხედავს საბჭოთა რომანის ამ სიყალბეს, სიცრუეს და მას ზურგს აქცევს. ერენბურგი ფარისევლური მეტყველებით აკრიტიკებს მწერლობას, აღნიშნავს მის მორალურ დაკნინებას, მას სვამს საბრალდებულო სკამზე, ხოლო მის ბატონსა და პატრონს—ხელისუფლებას განზე სტოვებს. მას არ შეუძლია მებატონის გამათრახება, მაგრამ ურჩევს მწერლობას მიბაძონ კლასიკოსებს, განდევნონ ფლიდობა, გაიძვერობა, ეგოიზმი და სიყალბე. დაიცვან ადამიანის პიროვნება. დახეთ! ეხლა აღმოაჩინა ერენბურგმა, რომ მწერლობის დანიშნულება ადამიანის დაცვა ყოფილა. მაგრამ ვისგან უნდა იქნას იგი დაცული? ცხადია ხელისუფლებისგან. მის მიერ შექმნილ ცხოვრების პირობებისგან. მაშინ ხომ მწერლობა კონფლიქტში შედის ხელისუფლებასთან. და აი ახალი მახე. თუ ერენბურგის მიერ ნაჩვენებ გზაზე შედგა რომელიმე მწერალი,—წარსულის მაგალითები წინ გვაქვს—გადახრებისთვის რისხვა და მეხი თავს დაატყდება, სამწერლო ასპარეზიდან გაქრება. იყო დრო, როცა საბჭოთა კრიტიკოსები ურჩევდენ მწერლობას ძველთა მიმბაძველობას, ხოლო ვიხილეთ ამ გზაზე შემდგართა ფიზიკური განადგურება.

კლასიკოსთა რომანი იყო ოჯახური, პიროვნული, ძიება ცხოვრების ახსნისა და გაგების. სწერდენ მწერლის უწმინდესი მოწოდებით, რეალური ცხოვრების დახატვით. საზოგადოების სიმახინჯის გარეთ გამოტანით. თვითმპყრობელობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროსაც არავის გაუბედავს ტოლსტოისთვის «ანნა-კარენინა» ისე დაეწერა როგორც ეს ხელისუფლებას სურდა, ან კიდევ ილიას—ლუარსაბ თათქარიძე ან ყაზბეგს თავის მებრძოლი გმირები. თუ დღეს სტალინ-ეყოვის მემკვიდრეობა კოლექტიურ დიქტატურამ ჩაიბარა,—ამით უკვე მწერლობის მიმართ დაწესებული წესები არ გამქრალა. კრემლის დიქტატურა თავის ადგილზე დარჩა. ილია ერენბურგი ძველი ნაცადი გზით მწერლობას ამათრახებს, მახეს აგებს ახალი მსხვერპლის შესაძენათ. კრემლის კედლების დანგრევას შეუძლია მხოლოდ შემოქმედებითი ნიჭს თავისუფალი გასაქანი მისცეს და დაუბრუნოს იგი თავის დანიშნულებას.

რამდენი ერთი მწერალი მოიგონებს თავის გულში ჩვენი მგოსნის აკაკის სიტყვებს:

«თუ, რომ გული წმინდა გაქვს
თუ, რომ არ გრძნობ რაღაც შიშს
მომავალთან, ვინა გთხოვს
ან რჩევას ან ანგარიშს.

. . . . . .

რად სწუხდებით რჩევისთვის
ჩვენ ვპოებთ ჩვენს გზას და კვალს».

ლეისპირელი.

ინტელიგენციის დრამა „სახალხო დემოკრატიაში".

ჩესლავ მილოსზი კიდევ ახალგაზდა თანამედროვე ცნობილი პოლონელი პოეტია და ითვლება ახალი სკოლის «კატასტროფის პოეტები»-ს მეთაურათ. ის არის ამასთანავე გამოჩენილი კრიტიკოსი და უცხო ავტორთა და კერძოთ შექსპირის მთარგმნელია.

გერმანელების ოკუპაციის დროს ის იბრძოდა ვარშავაში არალეგალურ სოციალისტურ და ინტერნაციონალურ ორგანიზაციებში. პოლონეთის «განთავისუფლების» შემდეგ მან, როგორც მწერლამა დაიჭირა რუსის ოკუპაციისა და სტალინის რეჟიმში პრივილეგიური ადგილი. შემდეგ ის იყო «ატაშე» და კულტურის წარმომადგენელი პოლონეთის საელჩოში ვაშინგტონში; ბოლო ხანებში კი ის დაინიშნა იმავე თანამდებობაზე პარიზში. მიუხედავათ მისი მდგომარეობისა, მან გასწყვიტა კავშირი თავის სამშობლოსთან, ირჩია—როგორც ეხლა ამბობენ—თავისუფლება და გახდა ემიგრანტი.

მან ვერ შესძლო—მისი ინტიმური ბუნება ასეთი იყო, როგორც თვითონ ამბობს—ერთი რამ ჩაედინა: სავალდებულოთ გუნდრუკი ეკმია ახალ კერპ სტალინისათვის და ექადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გა სტალინური ვერსიის დიალექტიკა და «სოციალისტური რეალიზმი».

«მე მივატოვე პოლონეთი არა სიხარულით, მარა სხვა გამოსავალი ვერ ვიპოვეო, ამბობს ის: მე პირადათ არავითარი საშიშროება არ მომელოდა, ვიყავი პრივილეგიურ მდგომარეობაში, აფასებდენ ჩემ შრომას; როგორც მწერლების უმრავლესობა, მე არ ვიყავი პარტიის წევრი და არც მთვლიდენ მე სტალინელათ. მე ვიყავი მაშ «კეთილი წარმართი», ე. ი. ადამიანი, რომელიც არ არის რეაქციონერი. ბოლო ხანებში მე დავრწმუნდი, რომ აღარ შემეძლო წერა არაფრის, საპროპაგანდო წერილების გარდა. ამის გამო მე გადავწყვიტე აღარ დავბრუნებულიყავ სამშობლოში», დაასკვნის ავტორი.

1951 წელს ჩესლავ მილოსზიმ წაიკითხა მოხსენება კულტურისა და თავისუფლების კონგრესის მიერ მოწყობილ შეხვედრაზე აქ, საფრანგეთში *).

პოეტი ემიგრანტი მოგვითხრობს აქ, თუ რას განიცდის ინტელიგენცია პოლონეთში და აგრეთვე სხვა «სახ. დემოკრატიაში», როგორ იმორჩილებს მათ რუსის «კომუნისტური» რეჟიმი.

«სახ. დემოკრატიის» მთავარ ქალაქებში—პრაღაში, ბუხარესტში, სოფიაში, ბუდაპესტში და ვარშავაში არსებობს ცენტრი, სადაც თავს იყრის სპეციალური წრე და რომელიც შეიცავს მწერალთა სახლს, დიამატის (დიალ. მატერიალიზმის) ინსტიტუტს და საკონცერტო და საექსპოზიციო დარბაზებს, ოფიციალურ გამომცემლობას. აქ ატარებს ცხოვრებას ხალხი წიგნების კითხვაში, პიროვნულ ბრძოლაში, განუწყვეტელ რეზოლიუციების ხელის მოწერაში. ისინი არიან, ასე ვსთქვათ, გამოკიდული ჰაერში, ღრუბლებში, უბრალო მცხოვრებლების მაღლა...

სტალინელი სისტემა არის ფილოსოფიური დიქტატურა და ეს «ჰაერის ხალხი» ბატონობს ყოველივეზე. ინტელიგენციის შრომის შედეგით იქმნება ბავშვების «მანტალიტე» სკოლებში და აგრეთვე წიგნებისა და გაზეთების მკითხველისაც. მისი ეს შრომა ეყრდნობა მოცემულ კონცეპციაზე, რაც უნდა მიღებულ იქმნას უსიტყვოთ. ინტელექტს აქ უყურებენ არა როგორც შემოქმედების ორგანოს, არამედ როგორც აღმასრულებელ იარაღს. ის უნდა იყოს სარგებლიანი და ნაყოფიერი მთავრობის სასარგებლოთ და მისი ბატონობის გასამაგრებლათ, ვისაც ეს არ შეუძლია იმას ინტელექტათ არ სთვლიან.

1945 წელში თითოულ არტისტს ან მეცნიერს ედგა დილემა: წასვლის, გაქცევის ან თავის ქვეყანაში მუშაობის. ყველამ იცოდა, თუ რას მოითხოვდა მისგან მოსკოვი. მიუხედა-

---

*) ეს მოხსენება გამოიცა ბროშიურათ, სათაურით: «La Grande Tentation».

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვათ ამისა საერთო აზრი იყო დარჩენა, ვინაიდან გაქცევა სისუსტის ნიშანი იქნებოდა. ყველა ფიქრობდა ესარგებლნა იმ შედარებითი თავისუფლებით, რომელიც პირველ ხანებში არსებობდა და მოეგვარებიათ კულტურული ცხოვრება, შეექმნათ კარგი მუსიკა, გამოექვეყნებიათ კარგი შინაარსიანი წიგნები და ყოველივე საშუალებით წინააღმდეგობა გაეწიათ რუსის მოთხოვნილებაზე.

მას შემდეგ რაც მოხდა ეს ისეთი რთული რამ არის, რომ თავისუფალ დასავლეთისათვის ძნელი გასაგებია. ამიტომაც არის, აქ გონიათ, რომ ყოველი მომქმედი მწერალი, არტისტი და მეცნიერი არის რწმენით სტალინელი. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის. უცხოეთში გაქცევა მათთვის ნიშნავს სოციალურ ფუნქციებზე ხელის აღებას. რა უნდა ქნან მათ სამშობლოს გარედ? მეცნიერს კიდევ შეუძლია სადმე ლაბორატორიაში იშოვოს სამუშაო, მარა ის ხომ თავის ქვეყნისთვის არ იმუშავებს. ცნობილმა მსახიობმა ჭურჭლები უნდა რეცხოს სადმე სასტუმროში, კომპოზიტორმა სულ ახლათ უნდა დაიწყოს თავისი კარიერა. რაც შეეხება მწერალს, მას აღარ ეყოლება საკმაო მკითხველი, რომ შესძლოს ნაშრომის გამოქვეყნება.

მარა ინტელიგენტს რა შეუძლია უცხოეთში სტალინიზმის წინააღმდეგ ან და მის სამშობლოს გასანთავისუფლებლათ? რა განმავლობას მოუპოვებს ის მის სამშობლოს სასარგებლოთ? ამას გარდა ხელისუფლება ყველას და ყველგან ეჭვის თვალით უყურებს რკინის ფარდის იქიდან მოსულს და მისთვის ძნელათ გასაგებია, თუ ვისთან აქვს საქმე. და თვით ემიგრანტი კი განიცდის მორალურ დამცირებას. ამიტომ რჩება თითქმის ყველა. ბევრი მათგანი მოდის უცხოეთში, მარა თითქმის ყველა უკან ბრუნდება. ერთ მეგობარს უთქვამს ავტორისთვის: ვბრუნდები ჩემს კანცლაგერშიო, და ყველანი ასე მსჯელობენ, მარა მაინც ბრუნდებიან. «მე პირადათ დავრჩი თავის თავთან დიდის ბრძოლის შემდეგ—ამბობს მილოსზი, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დამეწერა ოდა «ხალხთა მამის» სადიდებლათ—ან და პოემა ფელიქს დზერჟინსკის შესახებ. ეს კი მე ვერ შევძელი».

მწერალი და მეცნიერი თუ ქედს მოიხრის რუსის წინაშე და დამორჩილებას გამოუცხადებს მას, გახდება ახალი არისტოკრატიის წევრი. ვინაიდან ეს ინტელიგენცია აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ბოლშევიზმისთვის. მოსკოვს გადაწყვეტილი აქვს ყოველი ღონე იხმაროს და რაც არ უნდა დაუჯდეს ის მიიმხროს და მოიხმაროს. მას სჭირია მათი სახელი, ცოდნა და სხვ.

რა ტაქტიკას ადგია მტერი, რომ მან მიზანს მიაღწიოს და გაიმარჯვოს?

ბოლშევიზმი არ მოქმედობს აქ ამ მხრით ისე ხეპრულათ და მხეცურათ, როგორც ეს მოხდა რუსეთში. აქ ტაქტიკა უფ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო მოქნილია. ის იწყებს ასე: აძლევს რაც შეიძლება ბევრს და ჯერჯერობით მათგან სამაგიეროს არ მოითხოვს. ისე, როგორც მათ მიწა მისცეს გლეხებს და თავში მათგან არაფერი მოუთხოვიათ, ასევე მწერალს მისცეს შესაძლებლობა ებეჭდათ მათი წიგნები, მუსიკოსებს დაუთმეს საკონცერტო დარბაზები, მეცნიერებს გაუღეს ლაბორატორიის კარები; საზოგადოებას კი ამდენი ხნის ომის შემდეგ სწყუროდა წიგნები, წარმოდგენები და კონცერტები. დაბეჭდილი მასალების გაყიდვა მატულობდა დღითი დღე. ინტელიგენცია სარგებლობდა შემთხვევით, რომელიც მათ ხელში იყო რამოდენიმე წლების განმავლობაში და აქვეყნებდენ, რაც მათ ეწერათ ომის დროს; მსჯელობდენ ესტეტიკაზე, სოციალურ საკითხებზე, თარგმნიდენ დასავლეთის ავტორებს და ამნაირათ ავსებდენ ომის მიერ შექმნილ დანაკლისს.

ამის შემდეგ მატულობს მოთხოვნილება, მარა ნელა ნელა ისე, რომ არ გამოიწვიოს ფსიქიური წინააღმდეგობა. ასეთი ტაქტიკა ძლიერ მნიშვნელოვანია. არ უნდა შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, როცა პაციენტს შეუძლია იყვიროს: «არა ეს არ შემიძლია»-ო. ქმნიან რა შესაფერ ატმოსფერას პაციენტი მიდის დათმობაზე: «ეს არაფერია—ამბობს ის—რატომ არ უნდა დავსწერო ეს სტატია, თუ ამის გამო შემეძლება ვსწერო ჩემი რომანი, რომელიც სრულებით არ იქნება მტრის «ხაზში». როცა ეს უკანასკნელი ამ შედეგს მიაღწევს, შემდეგ ისევ შეუმჩნევლათ უმატებს სხვა მოთხოვნილებებს. მწერალი ამბობს: «ერთხელ უკვე დავსწერე ასეთი წერილი და რა საჭიროა ასეთი საქმისთვის ავსტეხო დავიდარაბა და ისტორია»-ო. ასე და ამ გვარათ პაციენტს უმატებენ დოზას შეუმჩნევლათ, ისე, რომ ერთ დღეს მას აყლაპიებენ ვეებერთელა დოზას და ბოლოს ის—ვერც თითონ ატყობს—იწამლება, ეგება დაგებულ მახეში და გადადის... «ორტოდოქსალურ ხაზზე». ზოგმა, როცა შეამჩნია ეს მახე, თავს უშველა და გაიქცა, მარა უმრავლესობამ შესტოპა უნებურათ ბოლშევიზმის მყრალ მორევში!..

* * *

ოკუპანტი რაც შეიძლება ერიდება პირდაპირ «დაწოლას» და სარგებლობს მდგომარეობით. თქვენ არ იფიქროთ, რომ «სახალხო დემოკრატიაში» ვინმე აშკარათ უბრძანებს ინტელიგენტს დასწეროს, დახატოს ან და სამეცნიერო დარგში ამა თუ იმ გზას და მეთოდს დაადგეს. წინააღმდეგ, ყოველ წამს უმეორებენ მათ, რომ არავინ არავის ძალას არ ატანს, ყოველივე ნების ყოფითია. ამ პრინციპს იშველიებენ ბოლშევიკები არა მარტო ინტელიგენციის მიმართ. არავინ არ უბრძანებს გლეხებს კოლხოზის შედგენას, არა!... მას აღრჩობენ გადასახადებით, სტაცებენ პურს, აწვალებენ ბრიგადების საშუალებით და ქმნიან ისეთ მდგომარეობას, რომ გლეხი, გა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოტრებული, დაშინებული იძულებულია კოლხოზის კარებს მიადგეს. ასევე ინტელიგენტი ერთ დროს ამჩნევს და რწმუნდება, რომ მან უნდა დასწეროს პოემა განსაზღვრულ საგანზე; ეს პოემა თითქოს იქნება დაწერილი თავის ნებით, სინამდვილეში კი ავტორი იძულებული ხდება ის დასწეროს. არა და ყველამ იცის, თუ რა მოელის ურჩს.

რა თქმა უნდა გაიძვერათა ასეთ ტაქტიკას მტრისთვის მოაქვს საუკეთესო შედეგები.

* * *

აი, ასე იმორჩილებენ ინტელიგენციას.

მაშ, გამოდის, რომ ნელა ნელა, შეპარებით, ცულლუტობით შეიძლება ითქვას, გამოგაცლიან ყველაფერს: ჯერ გაგხდიან ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, შემდეგ საცვლებს, გაგატიტვლებენ. მერე გამოგწუწვნიან თუ კი რამე იპოვება ტვინში, გრძნობაში, იქ—რითაც ადამიანს ადამიანი ეწოდება. ხშირათ გაიძახიან (კომუნისტები)—ახალი ტიპის ადამიანი იქმნებაო და ეს სავსებით მართალია: ის აღარ გავს ადამიანს თავისუფალს, მოაზროვნეს, მგრძნობიარეს, ერთგულს, მოყვარულს; ჰქრება მცნება სიყვარულის, მამაშვილობის, ძმობის, მეგობრობის, რაიმე იდეალის—ადამიანი, თუ კიდევ ეს ადამიანია—სავსებით გამოფუტურულია. იქცევა ის ავტომატათ, «რობოტათ» და ეს ხდება ისე, რომ თვითონაც ვერ ამჩნევენ ცვლილებას. ხდება მისი დეზენტეგრაცია, დაშლა, როცა ნებისყოფა დაბშულია და კაცი მორალურათ და სულიერათ გაპარტახებული. და მართლაც «ახალი ტიპის» არსება იქმნება; მარა ტიპი მახინჯის, რომელიც ჯერ კაცობრიობას არ უნახავს და არ მოსწრებია, უსულო არსების, უგულოს, აზროვნებას მოკლებული. და შენში რომ არ გაიღვიძოს რაიმე ცნობისმოყვარეობამ მოგათავსებენ ჭურში, რომელსაც დღეს რკინის ფარდას ეძახიან და წარმოდგენაც არ გექნება იმაზე, თუ რა ხდება სხვაგან. ჩაგინერგვენ თავში სიტყვით, პრესით, ძალით, ხიშტით, ციხით და გადასახლებით, კატორღით,—რომ მხოლოდ შენ ცხოვრობ ედემში, გარედ კი მეფობს რაღაც ჯოჯოხეთური არსებობა, რომელსაც კაპიტალიზმი ძალმომრეობით ქმნის.

ამის შემდეგ—კიდევ მოიპოვება ინტელიგენტები თავისუფალ ქვეყნებში—განსაკუთრებით საფრანგეთსა და იტალიაში, რომელნიც ასეთ «დოქტრინას» იზიარებენ, ასეთ სახემწიფოს, ასეთ რეჟიმს ხელს უწყობენ და ილტვიან აქაც დაწესდეს იგივე «სამოთხე».....

რა არის ამის მიზეზი? ეს საკითხი მოითხოვს ცალკე განხილვას.

ა. ჟ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საკოორდინაციო გურუსში *)

«თქვენ და ჩვენ, ჩვენ და თქვენ»... იმეორებდა ა. ფ. კერენსკი პირველი შეხვედრიდანვე ჩვენთან ტეგერნზეეში. ყველაფრიდან სჩანდა რომ ეს დაპირისპირების იდეა სავსებით იპყრობდა მის არსებას. არ იყო საჭირო დიდი ინტუიციის ქონა მივმხდარიყავით თუ რა იმალებოდა ამ აკვიატებული (თუ თავზე მოხვეული) იდეიის ქვეშ. არა მშვიდობიანი განწყობილებით გვეწვია ის ამერიკიდან; გვეწვია დასანგრევად თავის გამოცდილი ხელით და ეს სავსებით დაადასტურა ამბავთა შემდეგმა მსვლელობამ.

მართლადაც—ვინ ანგრევდა, ან ვინ აშენებდა? ვინ იღვწოდა გულწრფელად რომ რუსი და არარუსი ემიგრაციის თვალსაჩინო ძალების მომხრობა-მონაწილეობით, მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა საერთო მოქმედების შესაძლებლობისათვის? და ვინ იყო რომ ყოველივე ცდას ამ მხრით მუდამ ახალ-ახალ დაბრკოლებებს და სიძნელებს უქმნიდა? ანდა, ერთხელ დამკვიდრებული ულტიმატუმების მეთოდით—საოცარი სიმტკიცით რომ აყენებდა საკითხებს ახალი, od hoc შექმნილი, საეჭვო ღირებულების ჯგუფების მისაღებათ, რითაც ასუსტებდა და ამცირებდა მთელი წამოწყების მორალურ და ღირებულებითი წონას? ვინ სუბიექტიურათ და ობიექტიურად, ზოგჯერ შეგნებულათაც, არ მისცა საშვალება «შექმნილიყო» ცოცხალი და დიდი საქმე? ერთი სიტყვით—ვინ აშენებდა და ვინ ანგრევდა? პასუხი თითქო თავისთავად იგულისხმება, მაგრამ მივმართოთ მაინც ისტორიას და ფაქტებს ილიუსტრაციისათვის.

ვისბადენი... თათბირი გაიხსნა ბანკეტით. ამერიკული კომიტეტის ევროპის დირექტორის მისალმების შემდეგ, სიტყვა ეძლევა ა. ფ. კერენსკის, რომელმაც მისთვის ჩვეული პათოსით—თუმცა არაშესაფერი რეზონანსით ჩემის აზრით—წარმოსთქვა სპეციფიური სიტყვა «ერთიანი და მთლიანი» იდეის განსავითარებლად, ცოტათი შეფერადებული ფედერალიზმით.

---

*) ეს წერილი ეკუთვნის ნ. ცინცაძეს, დაბეჭდილი იყო «მაკაცის» ბილიუტენის მესამე ნომერში. ამაზე წინეთ კი ის მიიღო დასაბეჭდათ პარიზის რუსულმა გაზეთმა «რუსკაია მისლ» მა. წერილი აიწყო კიდეც რედაქციის შენიშვნით, მაგრამ გაზეთის შეკვრის დროს ჩამოერია ვიღაც «უცხო და შინაური ძალები» და აიძულეს რედაქცია დასაბეჭდათ გამზადებული წერილი მოეხსნა. ჩვენს გაზეთში ეს წერილი იბეჭდება შემოკლებით. რ ე დ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საპასუხო სიტყვაში მე აღვნიშნე თუ როგორ არ შეეფერება მისი სიტყვა თანამედროვე ხანის სულსა და გულს, რომ ნაციონალური თავისუფლების იდეა ერთი მხრით და თანამედროვე საზოგადოებაში ჩაქსოვილი ტენდენცია ერთობისაკენ ლტოლვის მსოფლიო მასშტაბით მეორეს მხრით,—უნდა დასრულდეს სინტეზით: თავისუფალი და სუვერენული ხალხი უნდა გახდეს საფუძვლათ ხალხთა თავისუფალი ასოციაციისა.

ამ პირველი შეხვედრიდან დარჩა შთაბეჭდილება, რომ კერენსკი შეეცადა გავეხადეთ მონაწილე მისი «პრედრეშენული» კონცეპციისა. მიუხედავად ამისა, ვისბადენი მაინც შეიქნა რუს და არარუს დემოკრატიის მოთანხმების ეტაპათ, თუმცა იქ შეთანხმებით არჩეული ერთაშორისო კომისია გახდა მსხვერპლი ნამდვილი საბოტაჟისა დღევანდელი ჩვენი განმქიქებლებისაგან. ვისბადენი ანაფემას მისცა ერთი მხრით ს.პ.მელგუნოვმა «რუს. დემ.»-ში, ხოლო მეორე მხრით კერენსკიმ «ნოვ. რ. სლოვ.»-ში. ერთიც და მეორეც სხვადასხვა სიტყვებით ფიცავდენ, რომ აღარ გაიმეორებდენ ექსპერიმენტებს ე. წ. «სეპერატისტებთან». ახალი თათბირის მოწვევის შესახებ კერენსკი პირდაპირ აცხადებდა რომ «ამ თათბირს არ დაესწრება არც ერთი რუსი-დელეგატი, რომელიც აფასებს თავის კეთილ სახელს და რუსეთის პატივს»-ო.

ამ სტრიქონების ავტორს, როგორც ვისბადენის ყოფილ თავმჯდომარეს, ამერიკული კომიტეტის ეფექტიური და ავტორიტეტული მხარის დაჭერით, წილად ხვდა აეღო თავისთავზე მძიმე მოვალეობა ერთჯერ კიდევ დაეჯდინა ერთ მაგიდაზე «დეზერტირები» და «სეპარატისტები».

მიზანი თითქოს მიულწეველი,—მაგრამ ცდა მაინც უნდა გაკეთებულიყო. სოლიდარისტები, რომელთანაც იმ დროს დიდხანს ვაწარმოებდი მოლაპარაკებას—უკანასკნელ წუთებში განზე გადგენ. მელგუნოვი კი პიროობათ აყენებდა, რომ შტარნებერგი ყოფილიყო მის მიერვე «შეჩვენებული» ვისბადენის გაგრძელება. მრისხანება გამიზეზებული «ბატონისა» სათნოებათ შეიცვალა და ამ «ბეტაფორმოზამ» კი ძლიერ გაგვიადვილა მოსამზადებელი მუშაობა ახალი თათბირის მოსაწვევათ. ამ თათბირის (შტარნებერგის) მოწვევის სამზადისში დიდი აქტიური მონაწილეობა მიიღო ბ.ი. ნიკოლაევსკიმ. მას არ დაუზოგავს ძალა და ენერგია, რომ ჩვენი მუშაობა ნაყოფიერად დამთავრებულიყო.

ჩვენი ურთიერთობის შტარნებერგის «ეტაპზე», თითქოს მტკიცეთ იყო შეგნებული ყველას მიერ, რომ საჭიროა მოთანხმება, მაგრამ მაინც ვარჩიეთ შეგვექნა ერთაშორისო კომისია, რომელიც მომხდარ აზრთა გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე, შეიმუშავებდა პროექტს მომავალი თათბირის მოსაწვევათ. ამ ერთაშორისო კომისიის ხანგრძლივ მუშაობაში არა ერთ და ორ კრიზისს ჰქონდა ადგილი, რომლის ავტორე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი მუდამ და ყოველთვის ჩვენი მომავალი «დომინანტები» იყვენ. დაბოლოს ამ კომისიის მუშაობა დასრულდა მიუნხენის ოქტომბრის შეთანხმებით.

მიუდგომელი მიმომხილველი, რომელიც ყურადღებით გაეცნობა ამ ეკლიანი გზის ყველა ეტაპების საბუთებს და მასალებს—ადვილად დარწმუნდება რომ «ჭეშმარიტად დანის პირზე გვიხდებოდა სიარული»—როგორც იტყვიან. შეიძლება ითქვას, რომ სწორეთ სასწაულმა აგვაშორა იმ დროს საბედისწერო განხეთქილება.

ამ «საკოორდინაციო აღრევის» გამოცანა სულ ადვილად ახსნა შემდეგ თვით ს. პ. მელგუნოვმა: აღმასრ. ბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე, მისდამი მიმართულ შეკითხვაზე, მან, მისთვის ჩვეული გულახდილობით განაცხადა, რომ საგანგრდინაციო ცენტრში მუშაობისათვის საჭიროა «დომინაცია!» ო. აი სწორედ აქ არის დამარხული ძაღლის თავი—როგორც იტყვიან. მართლადაც, სურვილი და მისწრაფება «დომინაციისა» წითელი ზოლით არის გაწოლილი ე. წ. «მელგუნოვის ტროიკა»-ს მთელ საქმიანობაში.

ამ რიგად, რაკი ნახულია ნამდვილი გასაღები შექმნილი მდგომარეობის ასახსნელად—შეგვეძლო ჩვენი თხრობა და ანალიზი დაგვესრულებია ამით... მაგრამ ზოგ რამეზე მოკლე პასუხი მაინც საჭიროდ მიგვაჩნია. (აქ ავტორი უპასუხებს კურგანოვ-მიხაილოვსკის, რომლებიც ამტკიცებენ თითქოს ძველი «კცაბის» ფორმულა ნაციონალურ საკითხში იყოს «არა პრედრეშენული», ხოლო ახალი ორგანო «მაკცის» სათანადო ფორმულას კი «ნამდვილი პრედრეშენული ხასიათი» ჰქონდეს. სათანადო მუხლების დადარებით ავტორი უდაოთ ამტკიცებს, რომ «კცაბის» სტატუტის ფორმულიროვკას რეალურად უფრო «პრედრეშენული» ხასიათი აქვს, ვინემ «მაკცისას»).

დაბოლოს,—განაგრძობს ავტორი—თუ ჩვენი მოწინააღმდეგენი მართლა გულწრფელად იცავენ ხალხების უდაო უფლებას თვით განაგონ თავისი ბედი და სხ. უნდა შეურიგდენ ამა თუ იმ სახით «დაყოფის» შესაძლებლობასაც. მაგრამ მელგუნოვის და კერენსკის გულწრფელობაში იძულებული ვართ იჭვი შევიტანოთ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უკანასკნელი ემუქრებოდა «ნაციონალებს» წითელი ჯარებით, რომელსაც უწოდებდა... «ჩვენს ჯარებს»!.. ხომ არ აჩქარდა ის თავის მისწრაფებათა და გულნადებთა გამომჟღავნებაში? ანდა, ხომ არ ფიქრობს ის ერთაშორის კვანძის განკვეთას იარაღის საშვალებით?

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ მთელი ეს სქოლასტიური ხმაური და ლაყბობა, რომელიც გაჩაღდა «პრედრეშენსტვოს» და «დაყოფის» ირგვლივ, მთელი ეს პოლიტიკური დოგმატიკა, ქვეყანაზე არავისათვის საჭირო არაა დღევანდელ მომენტში, საზიანოა კი ცოცხალი საქმისათვის. ორივე ფორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მულა არსებითად ერთი და იგივეა და ერთნაირად გამოდგება განმათავისუფლებელი ბრძოლის აპარატის შესაქმნელად, თუ კი არსებობს პარტნიორების გულწრფელი და კეთილი ნებისყოფა საქმისადმი.

ვისბადენიდან დაწყებული ყველა საერთო თათბირები სასურველად სთვლიდენ ერთხმად, რომ ჩვენს წამოწყებაში მონაწილეობა მიეღოთ უკრაინის იმ დემოკრატიულ ძალებს, რომლებიც თავს იყრიან უნრადას გარშემო და სომხურ პარტიის, დაშნაკცუტუნის წრმომადგენლებს. სათანადო მისია—მათთან შეთანხმების მოგვარება—მუდამ მე მეკისრებოდა. აღნიშნულ ორგანიზაციებთან ხანგრძლივ მოლაპარაკების პროცესში გავიარეთ რამდენიმე ეტაპი. უკანასკნელი იყო კარლსრუე და პარიზი. ყველა ამ შეხვედრების დროს და, საერთოდ, ყოველგვარი ასეთი წინასწარი მოლაპარაკების «მიხვევ-მოხვევაში», რომლის მიზანი იყო ორივე მხარისათვის მისაღებ ფორმულის გამონახვა—ჩვენ ვხელმძღვანელობდით მხოლოდ ერთად-ერთი მიზნით: დაგვეთანხმებია უკრაინის, ბელორუსიის, სომხების და სხ. კვალიფიციური წარმომადგენლები მიეღოთ მონაწილეობა საერთო ანტიკომუნისტური ცენტრის მუშაობაში.

რა თქმა უნდა, არც ერთჯერ ამ მოლაპარაკების დროს არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო ლაპარაკი, შექმნილიყო რაიმე სახით ანტირუსული ბლოკი თუ გაერთიანება.

ორიოდე სიტყვა «პარიზის მემორანდუმზე». თუ დაუშვებთ რომ ამ დოკუმენტის ფონსა და ტონს ატყვია რამდენიმედ არანორმალური ერთაშორისო სულისკვეთება, ეს აიხსნება იმით რომ მასში გამოძახილი ჰპოვა იმ ბუნებრივმა ფსიქოლოგიურმა განწყობილებამ, რომელიც წარმოიშვა და განვითარდა ერთაშორის დიდი ხნობით სრული განცალკევების ნიადაგზე; მაგრამ როგორც კი შესაძლებელი გახდა ერთმანეთის შეხვედრა საჯარო ფორუმზე და დაკავშირება ცოცხალ საქმესთან—აღნიშნული განწყობილება თანდათან ქრება და მისი დაძლევაც ადვილი ხდება. მაგრამ ბ.ბ. კერენსკების ახლანდელი ტაქტიკა, რომლებიც აყღარუნებენ სხვის თოფიარაღს, ამას ხელს უშლის რასაკვირველია, და, შესაძლებელია, რუსის ხალხის სწორად გაგებული ინტერესებისათვის, ის მეტად მავნებელიც შეიქნას, რადგან ის, უეჭველად, აღრმავებს და აძლიერებს არარუსთა მხარეზე ანტირუსულ განწყობილებას.

მელგუნოვ-კერენსკის პრეტენზია—უმეთაურონ ხალხების საერთო განმათავისუფლებელ ბრძოლას, მეტი რომ არა ვსთქვათ, არაფრით არაა დასაბუთებული. ამიტომ, ძალიან მინდა უთხრა მათ: «მეგობრებო! როგორათაც არ უნდა დაჯდეთ,—ხალხთა განმათავისუფლებლად თქვენ არას გზით არ ვარგიხართ».

და მე დარწმუნებული ვარ, როცა დაჰკრავს საათი გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლებისა, რუსის ხალხი ადვილად გამონახავს საერთო ენას არარუს ხალხებთან. და როცა დაიწყება დრამატიული დღეები იმ «აღრეული დროისა», რომელიც არა ერთჯერ მოუგონებია ჩვენთვის ადმირალ სტივენს, მინდა ვირწმუნო, რომ ისინი ერთმანეთს შესძახებენ: საერო ფრონტით დიქტატურის წინააღმდეგ! სხვაფრივ იქნება უბედურება, დიდი უბედურება, ჩვენთვისაც და თქვენთვისაც, თქვენი თავისუფლებისათვისაც და ჩვენი თავისუფლებისათვისაც.

დაბოლოს ავტორი უკუაგდებს მელგუნოვ-კერენსკის ბრალდებას ოპოზიციაში არარუს წარმომადგენელთა მიმართ, მოჰყავს მთელი რიგი შემთხვევებისა თვით მელგუნოვ-კერენსკის ოპოზიციისა და დაასკვნის:

ჩვენ მოვდიოდით თქვენთან ნდობით, თქვენ გააქარწყლეთ ის... ჩვენ მივიღეთ თქვენგან შესაფერი გაკვეთილი. თქვენ აღმოჩნდით არაშორსმხედველი და სულმოკლენი. «რუბიკონის» გადალახვას თქვენგან არ გამოუწვევია თქვენში დიდი სინანული და გულის ტკივილი! თავისუფლების დროშა, რომლის ტარება თქვენ სცადეთ ვითარცა თავისუფლების მოყვარულ რუსის ინტელიგენციის მემკვიდრეებმა—თქვენი ხელიდან გავარდა...

მწუხარებით აღვნიშნავთ ამ ფაქტს და განვაგრძობთ არჩეულ გზას ხელის-ხელ ჩაკიდებით რუსეთის დემოკრატიის იმ ნაწილთან, როგორც ძველის, ისე ახალის, რომელთაც ბედმა არგუნა გასდოს რეალური და მკვიდრი ხიდი ერთა შორის მშვიდობიანობისა და მეგობრობისა, რაც უდაო გადამწყვეტი ფაქტორია ჩვენი ხალხების განთავისუფლების გზაზე...

პრესის მაგიერი.

ე. წ. «ცენტრი»-ს გაზეთი «საქარ. დამოუკიდ.» ისევ გამოჩნდა. ცხადია ჯერ კიდევ ცოცხალია. მე კი მისი სულის მოსახსენებლად პანაშვიდის გადახდას ვეპირებოდი, რათა შენდობოდა მას ყველა მისი შეცოდებანი, ნებსითი და უნებლიეთი.

შესანდობარი კი მართლაც ბევრი რამ აქვს. მარტო უკანასკნელი ნომერი (8) რად ღირს! ოთხივე გვერდი მთლიანად, სხვადასხვა პირთა ხელისმოწერით, მომართულია მხოლოდ და მხოლოდ ქართული პოლიტიკის ხელმძღვანელობისა და ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. ე. ი. იმათ წინააღმდეგ, ვინც მთავარი ძარღვია ანტი-კომუნისტური ბრძოლისა. არც ერთი წერილი კომუნისტების წინააღმდეგ! და ასე, ანტი კომუნისტური ბრძოლა შეცვლილია სავსებით ანტი-მენშევიკურ ბრძოლათ!

საკვირველია, რატომ უნდა გამოდიოდეს ასეთი გაზეთი უცხოეთში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამათს ამ გაზეთთან ჩვენ მუდამ გაურბოდით, რადგან მასთან კამათი არც სულს არგებს და არც მკითხველს. მარა ზოგი რამის აღნიშვნა კი მაინც საჭიროთ მიგვაჩნია.

პირველ ყოვლისა ბ ნი რ. გაბაშვილი. ის როგორც რედაქტორი არკვევს, რასაკვირველია, დიდ საკითხებს. ამ ჟამათ მისი საგანია კავკასია და გვარწმუნებს, რომ «ქართლოსიდან დაწყებული, 27 საუკუნის განმავლობაში საქართველოს მეფეები იცავდენ კავკასიის მთლიანობასო. ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძეც ამასვე გრძნობდენ და ქადაგებდენ»-ო. იმაზე კი ერთ სიტყვასაც არ ამბობს, რომ რასაც ეს «მეფეები გრძნობდენ და ქადაგებდენ»—ახალმა საქართველომ კიდევაც «იგრძნო» და კიდევაც განახორციელა; რომ ჩვენ უკვე გვქონდა კავკასიის ფედერაცია, მისი მთავრობა და მისი საკანონმდებლო ორგანო—სეიმი; ხოლო როცა ის დაიშალა, იმავე ახალმა საქართველომ, პირველ დღესვე აღიარა აუცილებლობა კავკასიის ფედერაციისა და თუ მისი დამკვიდრება არ დასცალდა დაპყრობის გამო—დაათავა აქ, ემიგრაციაში, მაზე ხელისმოწერით, სამივე რესპუბლიკის უაღრესად პასუხისმგებელ პირებმა, დამუშავებული იქნა მისი საფუძვლები, რის შესახებ საჯარო მსჯელობაც იყო.

იცის თუ არა ყოველივე ეს ბ-ნმა გაბაშვილმა? რასაკვირველია იცის. და თუ იცის რატომ მუდამ წარსულისკენ იხედება და ეს გუშინდელი ამბავი არ მოიხსენია? იმიტომ რომ ყოველივე ამ ახალის მეთაურნი და ხელმძღვანელნი იყვნენ სწორედ ისინი ვისაც დღეს ის და მისი ამალა ასე წაკაპიწებული ებრძვიან. მაგრამ ტყუილი ცდაა. ისტორიის წაშლა ყველა ჯურის გაბაშვილების ცდას აღემატება.

შინაური განყოფილება, როგორც სჩანს, აბარია ბ. ლ. ზურაბიშვილს, რომელიც კი არ კამათობს, არამედ პირდაპირ აცხადებს განაჩენს. «ემიგრაციის გაყოფა გამომდინარეობს ზნეობრივ საზომთა და ავტორიტეტის გაუქმებიდან»-ო, გვიხსნის ის (ალბათ მხედველობაში ყავს თავის წრე. გ. უ.). «ჩვენმა ცენტრმა გაუშუქა ქართულ ემიგრაციას «ვისბადენის» მიმართულების საშიშროება და მიაწოდა ამის შესახებ თავის შეხედულება სათანადო დაწესებულებებს»-ო! (ხაზი ჩვენია). საინტერესოა ვიცოდეთ—რა «დაწესებულებებია» ეს? «შეთანხმებისათვის ჩვენ მოვითხოვეთ მხოლოდ ერთი წინასწარი პირობა, რომ საბჭოს ან წერილობით, ან მოქმედებით დაეგმო «ვისბადენის ხაზი», მათ კი უარი განაცხადეს»-ო და ამიტომ ასკვნის: «აშკარაა ქართული საკითხისათვის უცხოეთში კიდევ ნაადრევია ოცნება ერთ ორგანოში ამ ორი მიმართულების მოთავსება. ამიტომ ნურავინ მოელის რომ ჩვენ რამე «მოსაზრებებს» ვუმსხვერპლებთ ეროვნულ პრიმატს»-ო.

ძალიან «ჩიქორთული» ქართულია, მარა ის მაინც გავიგეთ, რომ ბ. ზურაბიშვილს გაერთიანება და მისთვის მუშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობა მიაჩნია «ოცნებათ» და გვაფრთხილებს კიდეც—«ნურავინ მოელის ამას»-ო და სხ.

დავიხსომოთ ეს და გავეცნოთ მესამე თანამშრომელს. ესაა ვინმე რაე.

ასეთი უპასუხისმგებლო მოკალმე იშვიათად შეგვხვედრია. რას სწერს და რას არ იგონებს! მისი გადმოცემით 1912 წ., კიევში, მომხდარა რაღაც კონფერენცია, სადაც «ს.-დ. იცავდენ რუსეთის მთლიან ინტერესებს და გაუბოძეს: საინგილო ადერბეიჯანს, ახალციხე-ახალქალაქი და ბორჩალოს მაზრა—სომხებს. ჩვენ ვიცავდით მომავალ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიას და ბორჩალოს მაზრას»-ო.

მთელი ეს ამბავი თავიდან ბოლომდე შეთხზული და გამოგონილია რაეს მიერ, ალბათ, იმ იმედით, რომ სიძველით გასაღდებაო.

შემდეგო—განაგრძობს ის—«როცა საქართველო განთავისუფლდა, იგივე (ხაზი მისია) მენშევიკები ერეკებოდენ სომხებს არა მარტო ახალციხე-ახალქალაქიდან, არამედ ბორჩალო-თბილისიდანაც, რაც ხუთი წლის წინად მორალურად (ხაზი მისია) კიევში შეთანხმებით დათმობილი ჰქონდათ. აქედან წარმოიშვა სომეხ-ქართველთა ომიც (არ გაგონილი ას წლობით)»-ო და სხ.

ამითაც არ კმაყოფილდება და უმატებს კიდევ უფრო უცნაურს. მას მოჰყავს ნამესტნიკის მოხსენებიდან ადგილი «ხიზანთა საკითხი»-ის შესახებ და ასკვნის: «როცა ჩვენ ვიცავდით საქართველოს ტერიტორიას პოლიტიკურად, მთელი სოც.-დემოკ. პარტიის მეთაურობამ მხარი დაუჭირა რუსულ პოლიტიკურ ვერაგულ პროექტს იმავე რეალური მოსახლეობის პრინციპის მიხედვით. ამითაც იყო გამოწვეული შემდეგ დამოუკიდებლობის დროს ომი ოსებთან»-ო და სხ.

ქვეყანამ იცის, რომ სომხებთან ომში საქართველოს არავითარი ბრალი არ უდევს და ეს ერთხმად დაადასტურა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ (ამათში თვით ნაციონალ-დემოკრატების დეპუტატებმაც), რომელმაც საგანგებო დადგენილებით მთელი პასუხისმგებლობა სომხეთს დააკისრა. ახლა მაინც სავსებით გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს რომ ეს ომი იყო შედეგი უცხო ელემენტების პროვაკაციისა, გამოწვეული ბნელი ზრახვებით. დღეს სომხებიც კი არ გვაბრალებენ ასეთ რამეს. და ყოველივე ამის შემდეგ ვიღაც რაე წარბშეუხრელად აცხადებს—დამნაშავე საქართველო იყოვო. ამ საზიზღარ ცილისწამებას ბეჭდავს ბ-ნი გაბაშვილი და შენიშვნასაც კი არ უკეთებს!

ის არც «ოსებთან ომის» ამბავს უკეთებს რაიმე შენიშვნას. საინტერესოა—რატომ ეძახის რაე ამას ომს? უდაოთ ცნობილია, რომ ეს იყო არა ომი, არამედ აჯანყება, აჯანყება მოწყობილი მოსკოვის მიერ საქართველოს წინააღმდეგ. ტროცკიმ მთელი წიგნი დასწერა იმის დასამტკიცებლად, რომ ოსების

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჯანყება ჩვენ კი არა, საქართველოს მთავრობამ გამოიწვიაო და ვინ იცის რა არ დააბრალა მას. ყოველივე ამის შემდეგ გამომდგარან რაე და გაბაშვილი და საქვეყნოთ ადასტურებენ ტროცკის ცილისწამებას, ესე იგი ამართლებენ მოსკოვს და ბრალს სდებენ თავის ქვეყანას! ტროცკი რომ ცოცხალი იყოს ასეთი მოწმობისათვის დიდათ დააჯილდოვებდა მათ!

მარა, აქ საკითხავია ერთი რამ: ჩვენში ნაციონალ-დემოკრატიული პარტია თავის რიგებში ბევრ საპატიო და მართლაც პატრიოტ წევრს ითვლიდა, და ნუ თუ ამ პარტიის ემიგრანტულ ნაწილში არ აღმოჩნდა რამდენიმე პირი მაინც, რომ თავის სამშობლო ქვეყანაზე ასეთი ცილისწამების წინააღმდეგ ხმა აიმაღლოს და საჯაროთ მისგან გაიმიჯნოს! როცა ჩვენ გვაგინებენ—ეს კიდევ ჰო, ივარჯიშონ რამდენიც უნდათ, მაგრამ თავის ქვეყნის პატივის და დიდების ასე აგდება და ტალახიანი ფეხით მისი ასე გათელვა—ნუ თუ მათში აღარ იწვევს ელემენტარულ აღშფოთებას მაინც! და თუ არ იწვევს—გვაქვს თუ არა საბუთი, ყოველივე ამის შემდეგ, მათ პატრიოტიზმში ეჭვი შევიტანოთ?

აქვე ორიოდე სიტყვა პირადათ ჩემზე: რაე სწერს, რომ 1920 წ. ხელშეკრულებით მე გადავეცი ბოლშევიკებს საინგილო. არაფერი ამის მსგავსი, რასაკვირველია. საინგილო შედის ზაქათილის ოლქში და ეს ოლქი კი სავსებით შეტანილია საქართველოს საზღვრებში (იხ. ხელშეკრულება*). შემდეგ: «სამი წლის წინათ რუს. «სოც. ვესტ»-ში დასწერა—საქართველოს არასოდეს დამოუკიდებლობა არ უძებნია»-ო. ესეც, რასაკვირველია, სავსებით მისი გამოგონილია. არაფერი ამის მსგავსი იმ წერილში არ არის. საქართველო ნახსენებიც კი არაა, რადგან წერილი სულ სხვა თემას ეხება. კიდევ რაღაცეებს მომაწერს, მაგრამ ისინიც ისეთივე სიმართლეა, როგორც ზევით აღნიშნული. ამიტომ მისი გაკიდება ზედმეტათ მიმაჩნია. სულერთია—არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითაო—ნათქვამია.

გაზეთის ქვედა სართული, თითქმის სავსებით, უჭირავს ბ. ელ. პატარიძის წერილს, მედიდური სათაურით: ამერიკული კომიტეტის საყურადღებოთ. ბ. პატარიძე ყველაფერს უწუნებს ამერიკ. კომიტეტს, აძლევს მრავალ ღრმა აზროვან დარიგებებს და ბოლოს ნიშის მოგებით ათავებს: «ამერიკულ

---

*) «რუსეთი სცნობს საქართველოს სახელმწიფოში აუცილებლად შემავალათ, გარდა შავიზღვის (ჩერნომორსკოი გუბერნიი) იმ ნაწილებისა, რომელიც აღნიშნულია ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში, შემდეგ გუბერნიებს და ოლქებს ყოფილი რუსეთის იმპერიისა: თბილისის, ქუთაისის და ბათუმის ყველა მაზრებით და ოლქებით, რომლებიც შეადგენ აღნიშნულ გუბერნიებს. და აგრეთვე ზაქათალის და სუხუმის ოლქებს». (მუხლი მე-IV).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტის წევრებს საკმაო წარმოდგენა რომ ჰქონოდათ საზღვარ-გარეთ არსებულ ემიგრანტულ ძალებზე, მოსძებნიდენ კომუნისტური რეჟიმისადმი იდეურათ უფრო გარკვეულად მოწინააღმდეგე პოლიტიკურ წრეებს როგორც რუსულ ისევე ეროვნებათა ემიგრანტებში (ე. ი. პატარიძე-კანტიმირებს არა? გ. უ.), მათ გაიხდიდენ ამ ბრძოლებში მთავარ დასაყრდნობ ძალად (აი რა აწუხებთ ამ უებრო პატრიოტებს. გ. უ.) და არა იმ მიმართულებათა წრეებს, რომელნიც კომუნისტებთან ერთად, ერთსა და იმავე იდეურ თესლსა და ძირებზე აღზრდილან, ერთად მოქმედება-ბრძოლაში მომწიფებულან, რუსეთში ჩასახულ კომუნიზმისათვის რბილი აკვანი მოუმზადებიათ და მისდამი ძველი ნათესაური გრძნობა ნაწილობრივ დღემდე შერჩენიათ»-ო და სხ. და სხ.

კომენტარიები, როგორც იტყვიან, ზედმეტია, რადგან ჩვენი მკითხველი უამისოდაც მიხვდება, რომ ეს სტრიქონები სრულიად არაა დაწერილი საზოგადოებისათვის. «კომუნისტებთან ნათესაობაზე» დაყრდნობით, არა ერთხელ უცდიათ ჩვენს მოწინააღმდეგეებს თავის ბედის მოგვარება—მაგრამ ამაოთ. დარწმუნებული ვართ არც ახლა გაუმართლდებათ...

გრ. ურატაძე.

ევროპის გაერთიანება და მოსკოვი.

უკანასკნელ წერილში,—ევროპის მდგომარეობის შესახებ, ჩვენ ვასკვნიდით, რომ იდეა ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანების აქტუალური ხდება. სურვილი კი ასეთი გაერთიანების ძველთა-ძველია. ის რაც დღეს თვალწინ მიმდინარეობს, არა ერთჯერ წამოჭრილა სხვადასხვა ისტორიულ ხანაში. საგარეო საფრთხე თუ შიდა ეკონომიური და ტერიტორიალური მოწყობის საჭიროება იწვევდა სახელმწიფო მოღვაწეთა, თუ ამა თუ იმ პოლიტიკურ ჯგუფთა ცდებს,—ევროპის ქვეყნების ფედერაციის თუ კონფედერაციის საფუძველზე მოსაწყობათ. მე-15 და მე-16 საუკუნეებში თურქების შემოსევის საფრთხემ,—ძალების გაერთიანების არა ერთი პროექტი წარმოშვა. სანიმუშოთ საკმარისია მოვიხსენიოთ უნგრეთის თურქებისგან დაპყრობის შემდეგ ბოგემიის მეფისგან 21 მუხლისგან შემუშავებული პროექტი, რომელსაც თან ახლავს ფრიად სერიოზული დასაბუთებული მოტივები ქრისტიანულ ევროპის მიერ ერთ მთლიან კავშირის დასაარსებლათ. ბოგემიის მეფის ცდას თან მოსდევს პროექტები დესულის, ვილიამ პენის, მღვდლის სან-პიერის, და მე-19 საუკუნის ინდუსტრიალურ განვითარების საფუძველზე აღმოცენებული, კაპიტალური შრომა სან-სიმონის, რომელმაც ევროპის აზროვნებას უდიდესი იმპულსი მისცა. სან-სიმონისტებმა შეიმუშავეს ევროპის კონფედერაციის მოწყობის პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექტი და ამის ირგვლივ დიდი პროპაგანდა გასწიეს. მეორე რესპუბლიკის ხანაში ამავე საკითხზე გაიმართა დიდი კამათი მოაზროვნეთა, მწერალთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის. ცნობილია ამ მხრივ საგანგებოთ მოწვეულ კონგრესზე ვიქტორ ჰიუგოს სიტყვები: «ჩვენ შევქნით ევროპის შეერთებულ შტატებს, მსგავსათ ამერიკისა, რომელიც გააბრწყინებს ძველ ქვეყნებს. სურვილი სხვების დაპყრობის,—გადაიქცევა მისწრაფებათ ახალ ახალ აღმოჩენებისა, იდეა ხორცს შეისხამს და შექმნის უდიდეს სამშობლოს, გარეშე საზღვრებისა. მოისპობა კაცთა მკვლელობა და სიძულვილს შეცვლის სიყვარული, ხოლო ბრძოლას ადამიანური მოპყრობა და დამყარდება ერთა შორის ჰარმონიული ურთიერთობა»-ო *).

სამწუხაროთ, მე-19 საუკუნის მანძილზე წარმოებულ ცდებს პრაქტიკული ნაყოფი არ გამოუღია და არსებული ზღუდეები არ შეურყევია. საჭირო იყო 1914 წლის ომისგან ქვეყნების განადგურება, მძიმე მატერიალური ტკივილების გადატანა, რომ ურთიერთ დაახლოვების საჭიროებაზე ზრუნვა კვლავ განახლებულიყო. ერთა ლიგის ფარგლებში დაარსდა ევროპის ეკონომიური საბჭო, სხვადასხვა რაიონული კავშირები, მაგრამ ამით რაიმე სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ გაერთიანების საქმეს წარმატება არ უხილავს.

მე-16, მე-17 და მე-18 საუკუნეებში ევროპის გაერთიანების მთავარი დანიშნულება იყო გარეშე საფრთხის თავიდან აცილება და შინაური სადაო საკითხების მშვიდობიანი გზით მოგვარება.

1919 წლიდან ვიდრე 1939 წლამდე, პოლიტიკურ საკითხების გარდა უდიდეს ყურადღებას იპყრობს ეკონომიური ურთიერთობის ნორმალურ დამოკიდებულებაში ჩაყენება. მეორე დიდი ომის შედეგებმა და საერთაშორისო ასპარეზზე გამარჯვებულთა შორის საბჭოთა რუსეთის შემოჭრამ შექმნა სრულიად ახალი პირობები, რაც ევროპის გაერთიანებას წინ ეღობება და უქმნის მას მძიმე და განსაკუთრებულ მდგომარეობას... ეს გარემოება ნათელი გახდება თუ გავიხსენებთ, რომ საბჭოთა რუსეთმა მემკვიდრეობით მიიღო პეტრე დიდიდან დატოვებული ანდერძი შესასრულებლათ, სახელდობრ გასვლა და გამაგრება ხმელთაშუა ზღვაზე, დარდანელის ხელში ჩაგდებით. გასვლა და გამაგრება წყნარ ოკეანეზე მიიღო ციმბირის გზით, რომელიც ნიკოლოზ მეორემ მოსინჯა მაგრამ დამარცხდა, გზის გაკაფვა ატლანტიკის ოკეანისკენ ბალტიის და ევროპის გზით. ვერც ერთმა მეფემ ეს ამოცანა ვერ შეასრულა. ამას თან ერთვის ამოცანა სოციალური,—ანდერძი ლენინის, რაც გამოიხატა მის მიერ გათვალისწინებულ, კომუნისტურ რუსეთის და კაპიტალისტურ ქვეყნების დაჯახების აუცილებლობაში. მაშასადამე მოსკოვის საგარეო პო-

*) იხ. Victor Hugo, savie, son œvurs—Fer. Gregh.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტიკა ეწყობა ორ ხაზზე: ნაციონალურ და პოლიტიკურ-სოციალურზე, პეტრე დიდის და ლენინის ანდერძის განსახორციელებლათ. კომუნიზმი გახდა იარაღი რუსეთის გეგემონიის მოსაპოებლათ ევროპაში და მით მთელ მსოფლიოში. საამისო გზა და ხიდი მას ფართეთ აქვს გაშლილი ყოველგან, ყველა სახელმწიფოში, რაც არასოდეს არც ერთ სახელმწიფოს რაიმე მსგავსი არ ქონებია. ესაა მისი ერთგულ თანამოაზრეთა ორგანიზაციები ადგილობრივად, რომლებიც უდიდეს სამსახურს უწევენ მას ზემო-აღნიშნულ ამოცანათა შესასრულებლათ. ჯერ-ჯეროობით მან განიცადა დამარცხება საბერძნეთში, რითაც ხმელთა შუა ზღვაზე გასაღები მისთვის გადაიკეტა. სამაგიეროთ ის გაბატონდა აღმოსავლეთ ევროპაში და მით მოიპოვა მაგრათ დასაყრდნობი ადგილები. აქედან ცხადია მას არ სურს უკან დაიხიოს, მის სფეროში მოქცეულ ერებს თავისუფლება მიანიჭოს, მათ ექსპლოატაციაზე ხელი აიღოს. მას შიშს გვრის დასავლეთისკენ საკუთარ სამხედრო ძლიერების შესუსტება. საბჭოთა იმპერიის გაძლიერებამ კი უდიდესი საფრთხე დაბადა დანარჩენ კაცობრიობისთვის, რომლის წინაშე ფართეთ გადაიშალა ნიმუშები მოსკოვის აგრესიული პოლიტიკისა: 1946 წელს დაპყრობითი ზრახვები ირანზე, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე გაბატონება, ჩეხო-სლოვაკიის ბედი, მარშალის გეგმის წინააღმდეგ გალაშქრება და მით დასავლეთ ქვეყნების ეკონომიური გაუმჯობესებისთვის ხელის შეშლა, «კომინფორმის» დაარსება, პოტსდამის ხელშეკრულების დარღვევა, ერთი წლის განმავლობაში ბერლინის ჩაკეტა, გუშინდელ მეომარ სახელმწიფოთა შორის საზავო ხელშეკრულების დადების სისტემატიური უარისყოფა, «სატელიტებში» სამხედრო ძალების დაბანაკება, ერთა კავშირში—ვეტოს უფლების გამუდმებით გამოყენება, ერთა შორის შეთანხმების ჩასაშლელათ, 1950 წლიდან, დახმარება კომუნისტურ თავდამსხმელთა მიმართ კორეიის რესპუბლიკაზე და სხ.

ბუნებრივი იყო, რომ მოსკოვის შემოტევითი პოლიტიკას და ზემოხსენებულ აგრესიულ ხასიათის ნაბიჯებს მოჰყოლოდა თავისუფალ ქვეყნებისგან თავდაცვითი ზომების მიღება. დაარსდა ატლანტიკის კავშირი ამერიკის აქტიური მონაწილეობით. ეს ორგანიზაცია დღეს წარმოადგენს რეალურ ფაქტორს. თავის მთავარი მხედრული ხელმძღვანელობით, მთავარი საბჭოთი და სხვა სამხედრო და ტექნიკური სექციებით *). მოსკოვს არ დაუყოვნებია ალიაქოთი არ აეტეხა და მისი დაარსება აგრესიული მიზნით არ აეხსნა, ხოლო ევროპის გაერთიანების პაქტისთვის, რომლის რატიფიკაცია გვიანდება, გააფთრებული ბრძოლა არ გამოეცხადებია.

ცივი ომის ჭიდილი გრძელდებოდა, რომ სტალინმა თა-

*) იხ. Organisation du traité de l' atlantique-Nord.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის ბოროტი სული საიქიოს ჩააბარა. საბჭოთა შინაური მდგომარეობა მოითხოვდა მომაგრებას, კრემლის ახალ ბატონებს არ დავიწყებიათ ლენინის რჩევა: «პერმანენტულ ბრძოლაში ხდება შესვენება, სხვადასხვა ფორმულების გამონახვა, ორ ქვეყანათა შორის დროებითი თანაარსებობის წესების დასამყარებლათ, ასჯერ უფრო ძნელია ასეთი ბრძოლის წარმოება, ვიდრე ომი ორ სახელმწიფოთა შორის». მოსკოვიც შეუდგა ამ «დროებითი წესების შემუშავებას» და მისი საგარეო პოლიტიკის სრული დემონსტრაცია მოხდა ბერლინის კონფერენციაზე. მოლოტოვმა წარმოადგინა გეგმა ამ ქვეყნად მშვიდობიანობის ჩამოსაგდებათ; მაგრამ მისდა საუბედუროთ მისი გეგმის ნამდვილი ზრახვები განცხრილულ იქნა და მისი მიზნები გადაშლილ იქნა მთელ კაცობრიობის წინაშე, საიდანაც გამოჩნდა მოსკოვის სურვილი, ევროპის კოლექტიური თავდაცვის მოსაშლელათ, მოკავშირეთა შორის შუღლის ჩამოსაგდებათ; ევროპიდან ამერიკის განდევნა და ევროპის სახელმწიფოთა ცალ-ცალკე ძლიერ მოწინააღმდეგის პირში მიცემა, მათთვის ჩეხო-სლოვაკიის ბედის მომზადება. გერმანიის იზოლიაციაში მოქცევა, მისი ნეიტრალიზაცია და ევროპიდან მისი ჩამოშორება. მოსკოვის გეგმას უმთავრესად ნიშანში ქონდა ამოღებული ატლანტიკის კავშირი. ამ გეგმას დახვდა თავისუფალ ქვეყნების მაგარი ფრონტი, ურყევი ნებისყოფა და შეკავშირებული გამოსვლა. მოურიდებელ კრიტიკის ცეცხლში გატარდა მოსკოვის გეგმა და იგი კატეგორიულად უარყოფილ იქნა. დემოკრატიული ქვეყნების კავშირი ბერლინის კონფერენციიდან გაძლიერებული გამოვიდა. თუ ამ კონფერენციიდან დამარცხებული წავიდა მოლოტოვი, მისმა პოზიციამ უდიდესი ზიანი მიაყენა გერმანია-ავსტრიის სასიცოცხლო ინტერესებს: «რუსის ჯარისკაცი რჩება იქ სადაც არის»-ო განაცხადა მოლოტოვმა და ამ ქვეყნების საკითხიც დარჩა გადაუჭრელი, ისინი დარჩენ საოკუპაციო პიროობებში. დასავლეთ ქვეყნების ცდებმა მოსკოვის აგრესიული მიზნები ამ ქვეყნებზე ვერ მოსტეხეს; ერთხელი კიდევ დამტკიცდა, რომ მოსკოვის მსოფლიოზე გაბატონებისთვის ბრძოლა, რიცხავს თავისუფალ ერთა კავშირის გამაგრებას, მის რიგების განმტკიცებას, ხალხთა ერთი მეორესთან მშვიდობიან დაახლოვებას. სანამ მოსკოვის დიქტატურა იარსებებს მანამდე, არა თუ ევროპის გაერთიანება შესაძლებელი იქნება, შეუძლებელია თვით მთელი კაცობრიობის დაწყნარება.

ბ. სარჯველაძე.

P. S. ეს წერილი უკვე ასაწყობათ იყო მიცემული, რომ მოსკოვმა ამცნო ქვეყნიერებას ატლანტიკის კავშირში მისი შესვლის შესაძლებლობა.

ეს კავშირი დაარსებულია თავდაცვის მიზნით, ერთა და ადამიანთა უფლების დასაცავათ. მისი დაარსება სწორედ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოვის აგრესიულმა ნაბიჯებმა გამოიწვია. ვერ შესძლო რა თავისი გეგმის გატარება ბერლინის კონფერენციაზე, ეხლა ცხვრის ტყავში გახვეული ფიქრობს თავისუფალ ერთა თავდაცვის კავშირში შესვლას. მოსკოვის ამ ნაბიჯმა საერთო განცვიფრება გამოიწვია. მას ყველგან ალმაცერად შეხედეს. დღევანდელ საერთაშორისო პოლიტიკურ ჭიდილში შეუძლებელი არაა, მოსკოვის მოჩვენებითი ფერისცვალება არა ერთჯერ მოხდეს, ამით მისი საგარეო პოლიტიკის შორეული მიზნები არ იცვლება, პირიქით, იგი ემსახურება ამ მიზნების დაახლოვებას. პ. ს.

ნოე ჟორდანიას გარდაცვალების წლის თავი.

პ ა რ ი ზ ი.

კვირას, 17 იანვარს, ოთხის ნახევარზე, ლასკაზის დიდ დარბაზში, გაიხსნა სამგლოვიარო სხდომა ნოე ჟორდანიას გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად.

პრეზიდიუმის მაგიდა იატაკამდის დაფარული იყო ქართული დროშით. მის შუაგულში სამფეროვან ყვავილებში ჩასმული იყო განსვენებულის დიდი სურათი. ქართულმა გუნდმა მშვენივრად იგალობა სახელმწიფო ჰიმნი—დიდება, რის შემდეგ ვრცელი შესავალი სიტყვით მიმართა დამსწრეთ მთავრობის წევრმა ბ-ნმა ევ. გეგეჭკორმა *); რომელიც დაათავა ასე. «გაუმარჯოს საქართველოს და დიადი იყოს ხსოვნა მისი დიდი პრეზიდენტის ნოე ჟორდანიასი».

ევ. გეგეჭკორის სიტყვის შემდეგ ქ-ნი დრაგაძე როიალზე ასრულებს შოპენის სამგლოვიარო მარშს, რასაც დამსწრე საზოგადოება ფეხზე ადგომით ისმენს.

პირველი სიტყვა მოხსენებისათვის ეკუთვნოდა მთავრობის წევრს ბ. კ. კანდელაკს, რომელიც, სამწუხაროთ, ავადმყოფობის გამო ველარ დაესწრო კრებას და მისი ვრცელი მოხსენება: «ნ. ჟორდანია, როგორც პოლიტიკური მოაზროვნე და სახელმწიფო მოღვაწე»—წაიკითხა შემოკლებით ლ. ფაღავამ, სრულად კი დაბეჭდილია იმავე «მებ. საქ.» მე-18 №-ში. ეს მეტად შინაარსიანი და საინტერესო მოხსენება თავდება ასე: «ქართველი ერი გაერთიანდა ეროვნულ თავისუფლების ნიადაგზე და დღესაც, გაერთიანებული საერთო უბედურებაში, იგი ერთსულოვანია ეროვნულ თავისუფლების და ეროვნულ დამოუკიდებლობის მოთხოვნაში. იგი იბრძვის და იბრძოლებს სრულ გამარჯვებამდის იმ იმედით, რომელიც თავიდანვე აღიარა ნ. ჟორდანიამ, როგორც კანონი გარდაუვალი: «კაცობრიობა ვერ აცდება ერთა თავისუფლებას»-ო...

*) ყველა სიტყვები ვრცლად არის დაბეჭდილი «მებრძოლი საქართველო»-ს მე-18 ნომერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის სახელით ღრმა პატივისცემით გამთბარი სიტყვა მიუძღვნა განსვენებულს ბ. შ. კალანდაძემ, რომელმაც დაათავა ასე: «ძაფი, ნერვი არ ყოფილა, მასში არა მებრძოლი, წვეთი სისხლი არ ყოფილა მასში არა ქართველი»-ო.

თეთრი გიორგის მოძრაობის სახელით ილაპარაკა ბ-ნმა კ. სალიამ, რომელმაც თავის სიტყვა დაათავა ასე: «ერთ დღეს ბათუმის ნავთსადგურს მიადგება გემი და გადაასვენებს უცხოეთში მწუხრად ნამყოფ ნოე ჟორდანიას ნეშთს საქართველოს მზით გამთბარ მშობლიურ მიწაზე, რომელიც სიყვარულით მიიღებს მას და დაუმკვიდრებს საუკუნო განსვენებას».

საქ. სოც.-ფედერალისტების სახელით ილაპარაკა ბ. ნ. ურუშაძემ, რომელმაც დაათავა ასე: «შარშან ჩვენმა მოხუცმა ბელადმა ჩაიმუხლა და დროშა ჩვენს ეროვნულ მთავრობას გადასცა... დაგვშორდა დაღლილი, მაგრამ იმედიანი, რადგან იცოდა, რომ ჩვენ ფიცით შეკრულნი, საერთო საქმეს არასოდეს ვუღალატებდით. ჩვენ წინსვლაში დიდი პრეზიდენტის ნათელი სახე კვლავ წინ მიგვიძღვის და გვამხნევებს».

შემდეგ ლევან ფაღავა მოუთხრობს კრებას განსვენებულის ცხოვრების უკანასკნელ დღეებს, თუ რაზე ფიქრობდა და რას განიცდიდა, როგორ ემზადებოდა სიკვდილთან შეხვედრას და სხ. ამ მოთხრობამ, როგორც შინაარსით, ისე გადმოცემით ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე, რომ ბევრს თვალები ცრემლით აევსო.

ბ-ნ გ. კერესელიძემ გააცნო კრებას თავის მოგონებები პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას შესახებ და დაათავა ასე: «მიუხედავად იმისა, რომ მე დიამეტრალურად საწინააღმდეგო ქართულ პოლიტიკურ დაჯგუფებას ვეკუთვნოდი, მაინც უდიდესი პატივისცემა მქონდა ამ დიდი ადამიანის და დარწმუნებული ვიყავი, რომ ყოველ თავის მოქმედებაში ის მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ხალხის ინტერესებით ხელმძღვანელობდა»-ო.

სხდომა დაასრულა ბ. ევ. გეგეჭკორმა მიმართვით: «ბატონებო, კმარა სიტყვები, ეხლა საქმეს შეუდგეთ»-ო. დამსწრენი ფეხზე წამოდგენ და ისევ გაისმა საერთო გუგუნი ეროვნული ჰიმნისა:

... დიდება სამარადისოთ, ქართველ მხნე ერსა.

სასაფლაოზე.

საერთო პანაშვიდის შემდეგ, 4 საათზე, «ნოეს წრე» მთელი თავის შემადგენლობით, ეწვია ნოეს სასაფლაოს ვანვში და საფლავი ყვავილებით შეამკო. აქ მოვიდენ ზოგი ახლობელი ამხანაგებიც. სასაფლაოდან დამსწრენი ამხ. ინამ მიიწვია თავის ბინაზე, სადაც სამგლოვიარო ტრაპეზზე, ამხ. პ. სარჯველაძემ, გრ. მოდებაძემ და ტ. წულაძემ წარმოსთქვეს მოკლე მგრძნობიარე სიტყვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამსწრეთა თხოვნით ამხ. გრ. ურატაძემ უამბო მათ რამდენიმე ეპიზოდი ნოეს კერძო ცხოვრებიდან და მასთან პირადი ურთიერთობიდან. ამხ. ინა მოუყვა დამსწრეთ თუ როგორ გაეცნო ის ნოეს და როგორ შეუღლდენ შემდეგ...

№.

მ ი ბ ე ნ ბ ე ნ ი.

კვირას, 31 იანვარს, «ქართული ეროვნული გაერთიანება»-ს თაოსნობით, შესდგა გერმანიაში მცხოვრებ ქართველთა საერთო კრება, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ნოე ჟორდანიას გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად.

კრებას თავმჯდომარეობდა ბ-ნი დავით ურატაძე, რომელმაც თავის მოკლე, მაგრამ შინაარსიანი შესავალი სიტყვით, მოაგონა დამსწრეთ განსვენებული პრეზიდენტის ამაგი გაწეული 60 წლის განმავლობაში ქართველი ხალხის საკეთილდღეოთ და სთხოვა კრებას ფეხზე ადგომით პატივი ეცათ მისი ხსოვნისათვის.

შემდეგ ის სიტყვას აძლევს ბ-ნ ნიკო იმნაიშვილს, რომელიც ახასიათებს ნოე ჟორდანიას როგორც ეროვნულ მოღვაწეს და სოციალდემოკრატიული პარტიის მეთაურს, როგორც იდეოლოგს და როგორც პოლიტიკოსს.

ნოე ჟორდანიას მეთაურობით—ამბობს ის—ქართველმა ერმა მოიპოვა თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ის იყო დამოუკიდებელი საქართველოს მესაჭე. დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ქართველი ხალხი განაგრძობს თავისუფლებისათვის ბრძოლას იმავე ნოე ჟორდანიას მეთაურობით და მის მიერ ნაჩვენები გზით. ნ. ჟორდანიას მეთაურობით შეიქნა დიდი სოციალური და პოლიტიკური მოძრაობა—საქარ. სოც.-დემოკ. პარტია. მან გადმონერგა საქართველოში საღად გაგებული მარქსიზმი თავისი დემოკრატიულ-სოციალისტური იდეალით. მან თავიდანვე გადაჭრით უარყო ის ბარბაროსული, ანტი-დემოკრატიული გაგება, რომელსაც წარმოადგენს ბოლშევიზმი. ორატორი იხსენიებს 1951 წლის განახლებული ინტერნაციონალის კონფერენციის დეკლარაციას, რომელიც უარყოფს ყოველგვარ დოგმატიზმს და მოუწოდებს სოციალისტურ პარტიებს განამტკიცონ ნამდვილი დემოკრატიულ-სოციალისტური პოლიტიკა და ასკვნის, რომ ნოე ჟორდანიამ სწორედ ასეთ ნიადაგზე ააშენა საქარ. სოც.-დემ. პარტიაო.

შემდეგ მოსმენილ იქნა ბ. მინდია ლაშაურის ვრცელი მოხსენება—«ნოე ჟორდანია, როგორც მამულიშვილი». სამწუხაროთ, უადგილობის გამო, იძულებული ვართ მხოლოდ ზოგიერთი ადგილები მოვიყვანოთ ამ საინტერესო მოხსენებიდან.

«მართალია—ამბობს ის—ნოე ჟორდანია უხვად არის ნაზიარები მარქსისტულ მოძღვრებას, მაგრამ ნოე ჟორდანიას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნება ქართულ სინამდვილეში ტრიალებს და არას დროს არ სცილდება ქართულ სინამდვილეს და ევროპიული მოძრაობა სურს გადაამყნოს ქართულ ნიადაგზეო. საქართველო და მისი სინამდვილეა მთავარი საზრუნავი მისი მწერლობისა, როგორც ქართველი პუბლიცისტისა. ნ. ჟორდანიას მეტად აღელვებს რუსეთის ტლანქი პოლიტიკა ჩვენი ერის მიმართ და სწერს: «ამ საუკუნეში ჩვენ სხვანაირ გარემოებაში ჩავდექით. მართალია, ომს აღარავინ გვიშვრება, მაგრამ მაგიერში უომროდ, უიარაღოდ, ტკბილის სიტყვებით გვიძვრებიან ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებაში.... გვიჩხრეკენ გულს, სულს, ყველაფერს და რად იხარჯება ამდენი შრომა? ეგების ქართველობა უარჰყოსო». მაშასადამე «ნ. ჟორდანიას დროშაზე აწერია ეროვნება და საქართველო»—ასკვნის ბ. ლაშაური.

«სამწუხაროთ—სწერს ნოე—ჩვენი მწერლობა ერთიანად რუსული მწერლობის გავლენის ქვეშ არის, იმ ქვეყნის, რომელიც მოქალაქეობრივად ჩვენსავით უკან ჩამორჩენილია და მაშასადამე გზას მერმისისას ვერ გვიჩვენებს»-ო.

«ამაშიო—ამბობს ბ. ლაშაური—მოცემულია მთელი გაახრება იმისა, თუ როგორ შორს იდგა ნოე ჟორდანია რუსული ნიღილიზმიდან, და გეზი ქართული სინამდვილისაკენ ჰქონდა აღებულიო». შემდეგ ის აღნიშნავს რევოლიუციის მსვლელობას, ამიერ-კავკასიაში მომხდარ ამბებს, ოსმალეთის შემოსევას. მოჰყავს ნოე ჟორდანიას მოწოდება ხალხებისადმი იარაღით თავის დაცვისა და განაგრძობს: «ამ მძიმე ვითარების დროს ყველა პოლიტიკური პარტიების გულისყური ამ ადამიანისადმი არის მიმართული და იგი თავისებური სიდინჯით, საკითხის აწონ-დაწონით შეუდგა დამოუკიდებლობის განხორციელებისათვის მზადებას და კიდეც განახორციელაო»..... «აწ უკვე არა ბაგრატიონმა, არამედ სოციალისტმა ნოე ჟორდანიამ გადაფურცლა ერის ისტორია და ის მეფური დიდებით აღიმართა თავისუფალ საქართველოს სათავეზე... ალბად, «ქართლის ცხოვრების» მომავალი მემატიანე ამ უკვდავ ძეგლის ფურცელს შემდეგი სიტყვებით გააგრძელებს:

«გიორგი მეთორმეტედან საქართველო, როგორც სახელმწიფო მსოფლიო რუქიდან ამოიშალა. მაგრამ 1918 წელს, 26 მაისს იგი კვლავ აღსდგა და მისი პრეზიდენტი იყო ნოე ჟორდანია»-ო.

«1921 წელს, თებერვლის შავბნელ დღეს რუსეთი თავს დაგვესხა, იპყრობს საქართველოს. ბოლშევიკურ რუსეთს სურდა არა მარტო საქართველოს დაპყრობა, არამედ ნოე ჟორდანიას ხელში ჩაგდება, რადგან მან იცოდა თუ ნ. ჟორდანიას სახით ვისთან ჰქონდა საქმე და მართლაც, ნ. ჟორდანია დიდი ქართველი იყო, დიდი მამულისშვილი, და დიდი პიროვნება, რომელმაც თავის ერს შეუქნა სახელი. ნ. ჟორდანია ერის დიდების მწვერვალზე ავიდა როგორც უგვირგვინო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვირგვინოსანი. ქართულმა პოეზიამ კი მას ნოე აღმაშენებელი უწოდა».

«დამარცხდა საქართველო..... ქართველი პრეზიდენტი ისევ ევროპას ევლინება. აქ, ემიგრაციაში, მან კვლავ ეროვნული დროშა ააფრიალა და არა პარტიული. ქართული, რადგან რა დღესაც მას ქართველმა ერმა თავისი ბედი ჩააბარა, იმ დღიდან იგი ერის კუთვნილებაა. იგი აქაც ერის ტრუბადურია, რომელიც რაზმავს მას და რწმენას უნერგავს».....

«ჩვენი მოხუცი წავიდა, მეტს ველარ ვიხილავთ მის ბიბლიურ სახეს, მაგრამ სამოქმედო პროგრამათ გვრჩება მისი უკვდავი სიტყვები: «დაგვმარხეს, მარა ავდექით და სიცოცხლის ველზე დავდექით. რით? მხოლოდ ერთი იარაღით: ამაყი სულით და ძლიერი ნებისყოფით. ჩვენ გვსურს თავი ჩვენვე გვეკუთვნოდეს და გვეკუთვნება... საქართველოს აქვს თავის საკუთარი პოლიტიკა, საკუთარი კულტურა და ზნეობა. ამ სიმაგრეში ის ჩაჯდა».

«შინაურ უთანხმოებათა თანხმობით მოგვარება, მთელის შეგუება და მორიგება ნაწილთან». აი ის დიდი შენობა, რომლის მშენებელი იყო ნოე ჟორდანია. ამიტომ უყვარდა იგი და დღესაც უყვარს ყველა ქართველს... ნოე ჟორდანია არავის ჩამოუგდია საქართველოში... დაპყრობილი საქართველო, მთაში თუ ბარში, ქუჩებში თუ სარდაფებში ასე დამღეროდა თავის პირველ პრეზიდენტს:

«გავალ მინდვრათ გაზაფხულზე
მოვკრეფ ვარდსა იასაო,
ტკბილი კოცნა შეუთვალოთ
ნოე ჟორდანიასაო».

«ერთი ეპოქა დამთავრდა, მაგრამ მშვენიერი ეპოქა! ნოე ჟორდანიას სახელი საუკუნოდ დარჩება ქართველი ერის გულში. დიდება ჩვენს პრეზიდენტს!»

«ვაშა მამულიშვილს!»

დაბოლოს საქართველოს მთავრობის იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა, რაჟდენ არსენიძემ გადასცა დამსწრეთ და გააცხოველა ის განცდები, რომლითაც ქართველი ხალხი გაიმსჭვალა 26 მაისის აქტის გამოცხადებით. მან მოიგონა ის დაუვიწყარი, ნეტარი დღეები, რომელიც განიცადა ერმა დამოუკიდებლობის აღდგენით, ეს იყო—სთქვა მან—ქართველი ერის ხელ-ახალი აღდგომა, 117წლის შეწყვეტილი ისტორიის გაგრძელებაო და სხ.

ამის შემდეგ გაისმა მშვენიერი ხმებით გუგუნი ქართული ჰიმნისა, რომელნიც დამსწრენმა ფეხზე ადგომით და დუმილით მოისმინეს.

მოსმენილ იქნა აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ქართული სიმღერები, რომელიც რადიოსადგურის ქართულ სექციას მოუხერხებია ჩაწერა უშუალოდ თბილისის სადგურის მოსმენით. ეს სიმღერები, რაღაც იდუმალი ძაფე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით აკავშირებდა დამსწრეთ თავის საყვარელ სამშობლოსთან და ერთი წუთით მაინც ავიწყებდა იმ დუხჭირ ცხოვრებას, რომელსაც აქ განიცდიან.

დაბოლოს მოსმენილ იქნა «შაგნეტეფონზე» რადიოსადგურ «განთავისუფლება»-ს გადაცემები—«საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის, ნოე ჟორდანიას გარდაცვალება» და «26 მაისის 36 წლის თავი».

აღსანიშნავია, რომ ამ საღამოზე ზოგი ისეთი ქართველი შეხვდა ერთი-მეორეს, რომელსაც ქუჩაში შეხვედრისას გვერდს აუვლიდა. ყველა დიდათ კმაყოფილი იყო და თუმცა საღამო დამთავრდა, მაგრამ კიდევ დიდხანს არ დაშლილა...

დამსწრე.

P. S. ნოე ჟორდანიას გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად გადახდილ იქნა აგრეთვე პანაშვიდი ბერძნების ეკლესიაში. დ ა მ.

ნ ი უ ი ო ტ რ კ ი.

7 თებერვალს, ნიუიორკში, «საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკ. საბჭოს» მეთაურობით გაიმართა ნოე ჟორდანიას გარდაცვალების წლისთავის აღსანიშნავათ მოგონების დღე.

კრებაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ბ-ნი ლ. არველაძე. მოხსენება მთლიანად დაბეჭდილია ნიუორკის ქართულ გაზეთ «ჩვენი გზა»-ში (№ 3).

სამწუხაროო, ადგილის სიმცირის გამო, იძულებული ვართ მოვიყვანოთ მხოლოდ ზოგიერთი ადგილები ამ მეტად საინტერესო მოხსენებიდან.

«ერთი წლის წინედ—იწყებს მომხსენებელი—უცხო მიწაზე სული დალია ჩვენი საუკუნის უდიდესმა ქართველმა ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიამ, რომელიც ქართველ მატიანეში «დიდი ნოე» ს სახელით შევა. ბედითი სვემ, ჩვენ ასე გვარგუნა. ყოველ ეპოქას უნდა ავეფორიაქებინეთ. უკუღმართ დროს უნდა მოეშალა ჩვენი ცხოვრების ჩარხი და ბევრი ღირსეული შვილი ჩვენი ქვეყნისა უცხო მიწას უნდა შეეჭამა. ამ უბედურებას, ერთხელ დაკანონებულს ჩვენს თავზე, ვერც მეოცე საუკუნეს საქართველო გადაურჩა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, თუ წინად ქართველთა სხეულით აზიის ქვეყნების მიწა პოხიერდებოდა, ეხლა—ევროპის და ამერიკის მიწაც პოხიერდება»..... «ჩვენი მთლიანობის სიმბოლო, საქართველოს ეროვნული და პოლიტიკური მეურვე, მისი თავისუფლების პატრიარქი ერთი წლის წინ მოგვშორდა ხორციელად, ხოლო სულიერად იგი მუდამ ჩვენთან იქნება, სანამ ქართველი ერი იარსებებს. განახლებული საქართველო და ნოე ჟორდანიას სახელი ისე გადაეჯაჭვა ერთმანეთს, რომ მას ვერც დრო და ვერც ქამი ვერ განაცალკევებს. ახალი საქართველო და დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოე ორივე ერთად შევიდა საქართველოს ისტორიაში. შარავანდედით გაბრწყინვებული და ძვირფასი დიადემით თავმოართული».

შემდეგ ავტორი ეხება საქართველოს მდგომარეობას რევოლიუციის ხანაში, აღნიშნავს სიძნელეებს დამოუკიდებლობის ხანისას და ასკვნის: «ღვაწლი ნ. ჟორდანიას მიერ გაწეული იმდენად დიდია, რომ მისი აწონა და აწევა არ შეიძლება». და თავის ვრცელ მოხსენებას ბ-ნი არველაძე ათავებს ასე: «როცა გაივლის ათი საუკუნე და ქართველი ხალხი იდღესასწაულებს 26 მაისის ათასი წლის თავს, დაფნის გვირგვინით შემკობა ნოე ჟორდანიას შეხვდება, მის ქანდაკს, რომ ერგება წილად. ბედმა მას არგუნა პირველი პრეზიდენტის როლი. მაგრამ იგი იყო არა მარტო პირველი პრეზიდენტი, არამედ როგორც დიდი ქართველი მამულიშვილი, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის პუბლიცისტი და მოაზროვნე. ქართველი ხალხი ჩვენ შემოგვნატრებს მაშინ, რომ მომსწრენი ვიყავით დიდებული 26 მაისისა და ჩვენი პირველი პრეზიდენტისა. რომლის მოღვაწეობის ხანაში მოგვიხდა ცხოვრება და რომლის დიდებული ხსოვნის წინაშე მოწიწებით ვიხრით დღეს თავს!»

ჩ ი ნ ა ე ფ.

17 იანვარს, უკრაინელების ეკლესიაში, გადახდილ იქნა პანაშვიდი საქართველოს პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას გარდაცვალების წლის თავზე.

�итри гунія.

ნოე ჟორდანიას ერთი ნეკროლოგი *).

ჟურნალისტიკაში მიღებული არ არის საკუთარი ნაწარმოების რეცენზიის წერა. მაგრამ უნდა გავაკეთო გამონაკლისი, ვინაიდან საქმე ეხება ჩვენი დაუვიწყარი მასწავლებლის ნეკროლოგს, რომელიც მოთავსებული იყო ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ჟურნალში. ეს გახლავთ ავსტრიის სოციალისტური პარტიის ყოველთვიური თეორეტიულ-პოლიტიკური ორგანო «დი ცუკუნფტ», რომელიც გამოდის ვენაში და რომელსაც ბევრი სთვლის—ჩემის აზრით სამართლიანად—საუკეთესო სოციალისტურ ჟურნალად, რომელიც დღეს დედამიწაზე გამოდის. ის ცენტრალურ ხელმძღვანელ ორგანოს როლს ასრულებს არა მარტო ავსტრიის სოციალისტური პარტიისთვის, არამედ აგრეთვე გერმანიის სოციალდემოკრა-

---

*) სამწუხაროთ ეს ნეკროლოგი ავტორისგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო იბეჭდება დაგვიანებით.

რ ე დ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიისთვის, რომელსაც ნაციზმის და მეორე მსოფლიო ომის კატასტროფების შემდეგ—განსაკუთრებული პირობების გამო —ჯერ კიდევ არა აქვს ჯეროვანად ჩამოყალიბებული პარტიული პრესა.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ ავსტრიის სოციალისტური პარტია დღეს უაღრესად ანტიბოლშევიკური პარტია არის. ის გულახდილათ აღიარებს რომ მისი წინანდელი ილიუზიები ბოლშევიზმის შესახებ უსაფუძვლო გამოდგენ და თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვან საკითხებში გადაჭრით თავისუფალ დემოკრატიულ დასავლეთის მხარეზე დგას.

«დი ცუკუნფტ»-ის გამომცემელია ცნობილი სოციალიტი ჟურნალისტი ოსკარ პოლაკი, ერთ დროს ოტო ბაუერის და ფრიდრიხ ადლერის მარჯვენა ხელი. საგარეო-პოლიტიკური რედაქტორი არის ბენედიქტ კაუცკი, საერთაშორისო სოციალდემოკრატიის დიდი მასწავლებლის კარლ კაუცკის შვილი.

ავსტრიის პრესა დღეს მეტად დატვირთულია თვით ავსტრიის საკითხებით, როგორც მთავრობის პარტიისა; ამას გარდა ავსტრიის პოლიტიკა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ —თვით მოკავშირეთა რჩევით—მოსკოვის მიმართ შედარებით ფრთხილი არის, რომ იქნებ ეღირსოს სახელმწიფო ხელშეკრულება. ყველა ამის გამო, ჟურნალი «დი ცუკუნფტ» საერთაშორისო სოციალიზმის ლიდერებიდან მხოლოდ უუდიდეს პიროვნებებს უძღვნის თავის ფურცლებს; განსაკუთრებით, ფრთხილობს როცა საქმე ეხება აღმოსავლეთის პოლიტიკოსებს, რომელთა სახელის გაგონება მოსკოვის განსაკუთრებულ განრისხებას იწვევს.

მიუხედავათ ყოველივე ამისა «დი ცუკუნფტ»-მა დიდი სიამოვნებით მიიღო და მოათავსა ჩემ მიერ მოწოდებული ვრცელი ნეკროლოგი ნოე ჟორდანიასი.

ნეკროლოგი გამოვიდა სათაურით: «დიდი ქართველის ხსოვნას». გამოვიდა გასული 1953 წლის აპრილის ნომერში, როცა სტალინიც უკვე მკვდარი იყო. ბევრი ცნობილი ჟურნალისტი სტალინს უწოდებდა უდიდეს ქართველს, მაგრამ სოციალისტურმა ჟურნალმა ამ სენსაციის მოყვარულ მწერლებს ყურიც არ ათხოვა და ჩემი წერილის გამოქვეყნებით აუხსნა მათ, თუ ვინ იყო დიდი ქართველი.

შინაარსის შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებ. მკითხველი თავისთავადაც მიხვდება, რომ ნეკროლოგში მოთხრობილია ნოეს მთელი მოღვაწეობის შესახებ. მოთხრობილია იმ ბედნიერი დღეების შესახებაც, როცა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ და სოციალდემოკრატიული პარტიის მეთაურმა მიიღო ევროპის სოციალისტების დელეგაცია და უჩვენა მას თავისი ტურფა, თავისუფალი სამშობლო და მისი ხელმძღვანელობით შექმნილი დემოკრატიული და სოცია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური რესპუბლიკა. რასაკვირველია განსაკუთრებული ხაზგასმით არის აღნიშნული საქართველოს ტრაგედია, დაწყებული 1921 წლის თებერვლით, და ნოე ჟორდანიას დაუღალავი მუშაობა უცხოეთში, როგორც თავის ერის უფლებების დასაცავათ, ისე ბოლშევიზმის რეაქციონური და იმპერიალისტური არსების ფარდის ასახდელათ.

წერილი თავდება შემდეგი სიტყვებით:

«საქართველოს უგვირგვინო მეფე, «დიდი ნოე», როგორც მას თავისი ერი სიყვარულით უწოდებს, გარდაიცვალა მწარე დევნილობაში, შორს თავისი მშვენიერი, საყვარელი სამშობლოდან. ნოე ჟორდანიას დევნილობაში გარდაცვალება ხელახლა მოაგონებს მსოფლიოს ქართველი ერის ტრაგედიას, რომელიც უკვე 32 წელი გრძელდება, და რასაკვირველია არა მარტო ქართველი ერის ტრაგედიაა. ის მძიმე ბრალდებაა კრემლის დიქტატორების წინააღმდეგ და სერიოზული გაბრთხილება მსოფლიოს მიმართ».

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ იგივე ნეკროლოგი მოთავსებულ იქნა კლაგენფურტის ყოველდღიურ სოციალისტურ გაზეთ «ნოიე ცაიტ»-ში.

ნიკო იმნაიშვილი.

საით მიდის რუსეთი,
მაგრამ საით მიდის სოციალიზმი? *)

ამ სათაურით «Revue Socialiste»-ის ორ ნომერში (1953 წ.) დაბეჭდილია ორი საინტერესო წერილი. ერთი ეკუთვნის პიერ რიმბერს: «საით მიდის რუსეთი», მეორე, როგორც პასუხი—მარსო პიეერის:—«მაგრამ საით მიდის სოციალიზმი».

რიმბერი ფართე ანალიზს უკეთებს, 1917 წლის რევოლიუციამდე არსებულ რუსეთის ეკონომიურ მოდგომარეობას და ამბობს: რუსეთის დრამა 1917 წ. მდგომარეობდა იმაში, რომ შეუძლებელი იყო 24 საათის განმავლობაში აგრარული ქვეყანა გადაქცეულიყო ინდუსტრიალურ ქვეყანად და მიწაზე მომუშავე მცხოვრებნი—ინდუსტრიალურ მუშებათ.

იმ მომენტიდან, როცა რუსეთი, როგორც ეკონომიური ფაქტორი, გახდა თანაბარი სხვა ქვეყნებთან—ბრძოლა მისი არსებობისათვის იღებს სულ სხვა ხასიათს: ის ხდება აგრესიული და ეს აგრესიობა თანდათან გაძლიერდება მის ეკონომიურ განვითარებასთან ერთად. ამიტომ მისმა მთავრობამ

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს იმ მიზნით, რათა ჩვენს მკითხველს გავაცნოთ უცხოელ სოციალისტების აზრი ჩვენი დროის ზოგ საჭირბოროტო საკითხებზე.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა მისცეს ხალხს მიზანი—ბრძოლა იმ სახელმწიფოებთან, რომელიც მას გარს არტყია.

ყველაზე უმთავრესი საკითხი, რიმბერის აზრით არის—შესძლებს თუ არა საბჭოთა ხელისუფლება უარჰყოს აგრესიული ნაციონალიზმის პოლიტიკა ინტერნაციონალურ სფეროში და აწარმოვოს სხვა პოლიტიკა და იქვე უპასუხებს: რომ ეს შესაძლებელი იქნეს, მან უნდა ძირიანად შესცვალოს თავის ეკონომიური პოლიტიკა და შინაური რეჟიმი, მაგრამ ამავე დროს დასავლეთმაც უნდა შესცვალოს მის მიმართ თავის პოლიტიკაო.

შემდეგ ავტორი გადადის რუსეთის ინდუსტრიალურ და აგრარულ განვითარების ანალიზზე და სწერს: უკვე 1939 წლიდან რუსეთს აღარ ჰყოლია აგრარულ მცხოვრებთა უმრავლესობა, ის უკვე ინდუსტრიალური სახელმწიფო იყო. ამიტომ მიწის მუშაობას აღარ შეეძლო ერჩინა მცხოვრებნი. 1928 წლიდან—1939 წლამდე ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი 27,6 მილიონიდან გაიზარდა—55,9 მილიონამდე, ე. ი. გაიზარდა მეტი ვინემ 100 პროცენტით. ცხადია, მიწათმოქმედების პროდუქციას აღარ შეეძლო დასწოდა არამიწათმომქმედ მცხოვრებთა რიცხვის სწრაფ გადიდებას. ამაშია რიმბერის აზრით, საბჭოთა ტოტალიტარიზმის უმთავრესი მიზეზი. ის ისწრაფვის დააჩქაროს მიწათმოქმედების ინდუსტრიალიზაცია, რათა მან შესძლოს თავის დანიშნულების შესრულება. აქედან გამომდინარეობს იქ გამეფებული რკინის დიქტატურაც. მიწათმოქმედებას არ შეუძლია ჰქონდეს ისეთი სწრაფი შედეგი, როგორც ინდუსტრიას. ამით აიხსნება სატელიტებთან საბჭოების დამოკიდებულებაც. მას არ შეუძლია გაუშვას ისინი თავის გავლენიდან, რადგან მას ესაჭიროება მიწათმოქმედების რესურსები. მეორე მხრით—ქალაქის მცხოვრებთა რიცხვის გიგანტური გადიდება სხვა პრობლემებსაც აყენებს საბჭოთა ხელისუფლების წინაშე. მეტი, ვინემ პროპორციონალური განვითარება ინდუსტრიისა, შეუძლებელია საშინელი დისციპლინის გარეშე. სწორედ ამან გამოიწვია ხუთწლედების შემოღება.

საბჭოთა ხელისუფლების წინაშე იდგა ორი დილემა: ან შესულიყო მსოფლიო ეკონომიკაში და მოეწვია უცხო კაპიტალი, ანდა გაეძლიერებია საკუთარი ინდუსტრიალიზაცია. მან აირჩია მეორე გზა. ამან გამოიწვია შინაგანი ბრძოლა, რომელიც დამთავრდა სტალინის გამარჯვებით. ამ პოლიტიკის შედეგი საბჭოებისათვის აღმოჩნდა ნაყოფიერი. მისი ინდუსტრია ვითარდება გიგანტური ნაბიჯით, მაგრამ ეს კიდევ არაა საკმარისი. მას კიდევ დიდხანს დასჭირდება გაჰყვეს ამ რითმს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეუძლებელია რკინის დისციპლინის გარეშე. რამდენად ვითარდება ინდუსტრია, იმდენად იზრდება მისი მოთხოვნილებანიც და საბჭოებს არ შეუძლიათ იცხოვრონ მუდამ განკერძოებულად. მაგრამ ჩვენს პირობებში—როგორ შეიძლება ამის განხორციელება? პასუხი ამაზე ეკუთვნის, რიმბერის აზრით, არა მხოლოდ რუსეთს, არამედ დასავლეთსაც.

რა პირობებში შეუძლია საბჭოთა რუსეთს არ აწარმოვოს ინტერნაციონალური მასშტაბით არა-აგრესიული პოლიტიკა—კითხულობს და უპასუხებს იქვე: მან უნდა შეანელოს ინდუსტრიალური განვითარება და შეაჩეროს მეტად სწრაფი ზრდა ქალაქის მცხოვრებთა, დაეხმაროს კიდეც მათ სოფლად დაბრუნებაში, გაავითაროს მოხმარების საქონელთა პროდუქცია და შეზღუდოს შეიარაღების გაძლიერება. შეუძლია კი წავიდეს ის ამ გზით? დადებითი პასუხი ამ საკითხზე არის დასავლეთის მუშათა კლასის ხელში—უპასუხებს ის. რუსის ხალხს სურს რეჟიმის შეცვლა, მაგრამ ეშინია ძველის დაბრუნების. ამიტომ მას უნდა გარანტია, რომ ეს არ მოხდება და ასეთი გარანტიის მიცემა კი შეუძლია მხოლოდ დასავლეთის მუშათა კლასის მოძრაობასო და სხ. და სხ.

რიმბერის საპასუხო წერილში მორსო პირველი ამბობს: რიმბერის ყველა დებულებანი, მისი ახსნა რკინის დისციპლინის აუცილებლობისა და ტოტალიტარიზმისა ამართლებს სტალინის დანაშაულს. და თუ მართლა ამ რუსეთმა შექნა სტალინი—ჩვენი ჩარევა სრულიად შეუძლებელია. მაგრამ ჩვენ არ ვართ პესიმისტები. 1917 წ. რუსეთი არ ყოფილა მარტო, მაგრამ პროლეტარიატის ინტერნაციონალური პოლიტიკა იმ დროს არ იყო თავის სიმაღლეზე; დასავლეთის პროლეტარიატის იმ დროის არა აქტიური რევოლიუციონური სოლიდარობა—უმთავრესი მიზეზი იყო სტალინის კონტრ-რევოლიუციისა. ჩვენ უნდა ვიჩქაროთ გვექნეს კავშირი დამორჩილებულ მასებთან, როგორც რუსეთის, ისე სხვა ქვეყნების. ჩვენ უნდა გავგლიჯოთ, რაც არ უნდა დაგვიჯდეს, რკინის ფარდა, რადგან ჩვენ მარტო მეთვალყურე კი არა ვართ, არამედ მონაწილენი ამ დრამისა. სტალინიზმი ეს არის ჩვენი დასჯა. მაგრამ საით მიდის რუსეთი და საით მიდის სოციალიზმი? ამის პასუხს მორსო იძლევა მეორე კითხვით—საით მიდის რუსის ხალხი—ომისკენ თუ სოციალიზმისაკენ. რუსეთის ხალხებს არ უთქვამთ უკანასკნელი სიტყვა და ეს სიტყვა—ასკვნის ის—დიდათ არის დამოკიდებული პროლეტარიატის ინტერნაციონალური სოლიდარობისაგან და სხვ.

ი. ვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ცნობის ფურცელი".

მივიღეთ «საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო»-ს საინფორმაციო რვეული «ცნობის ფურცელი» № 4.

რვეულში მოთავსებულია ვრცელი წერილი ბ-ნ გ. ჯობ—ძე-ს ხელის მოწერით სადღეისო თემაზე: «საერთო ხელმძღვანელობა». ავტორი გაბედულათ ებრძვის იმ ყალბ აზრს, რომელიც უარყოფს ჩვენი ქვეყნის იურიდიული უფლებების მატარებელ ორგანოებს და პირებს და ცდილობს შექმნას ისეთი სხვა რამ, რომელიც დიდათ საზიანო იქნება ჩვენი ქვეყნის ინტერესებისათვის და მისი განთავისუფლების ბრძოლისათვის. საბუთი რომ დღევანდელი ხელმძღვანელობა სოც.-დ. პარტიის წევრებიდან შესდგება და ამიტომ მიუღებელიაო —ავტორს მიაჩნია არა სერიოზულად. მას მოჰყავს მთელი რიგი მაგალითებისა, სადაც ეროვნულ ცხოვრებას ხელმძღვანელობდენ თუ ხელმძღვანელობენ სოციალდემოკრატები, მაგრამ არსად არამც თუ რაიმე ზიანი მოუტანიათ თავის ქვეყნისათვის, პირიქით, დიდათ აუმაღლებიათ და სასახელოთ დაუცავთ ეროვნული ინტერესებიო. სოციალდემოკრატები იყვენ ფინეთის სათავეში, მაგრამ როცა ამ პატარა ერს ვეებერთელა საბჭოთა კავშირი დაეტაკა—განა ვაქკაცურად არ დაიცვეს ერი და თავიანთი სისხლით არ მორწყეს სამშობლოს მიწაო—ეტყვის ის მოწინააღმდეგეთ. მას მოჰყავს არა ერთი ასეთი მაგალითი, მოჰყავს გერმანიის სოც.-დემ. პარ. მეთაურის შუმახერის საჯარო განცხადება: «ჩვენ ჯერ გერმანელები ვართ და შემდეგ სოციალდემოკრატებიო». მოჰყავს საქ. სოც.-დემ. პარ. მოღვაწეობიდან მთელი რიგი სერიოზული მაგალითები მათი ერისა და ქვეყნის წინაშე დამსახურებისა და ერდგულებისა და გაკვირვებით კითხულობს: «განა ამის დავიწყება თუ უარყოფა შეიძლება იმ მოტივით რომ ჩვენი ქვეყანა საბჭოებთან ბრძოლაში—დამარცხდა!» ის აღნიშნავს მთელ რიგ ობიექტიურ მიზეზებს ამ დამარცხებისას და ასკვნის: «ყველას არ ძალუძს ჭეშმარიტი ისტორიის დაწერა ახლო წარსულისა! ამ წარსულის აღმწერელი უნდა იყოს მიუდგომელი, სინიდისიერი, არავის მოძულე და პატიოსანი. ასეთი პიროვნების მიერ დაწერილი ისტორია დაიჯერებაო».

სრული სიმართლე და ხალასი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ჩვენი ავტორი შეცდება თუ ასეთი პიროვნების ძებნას დაიწყებს ემიგრაციის იმ წრეში, რომელიც ყოველივე იმას, რაც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დროს მოხდა, უდგება ჭეშმარიტების აღდგენის მიზნით და არა მეთაურთა სიძულვილით და შურისძიებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილის მეორე ნახევარი ეხება იმ ორგანიზაციული ფორმის ძიებას, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს ყველა. მის სხემაში ამის შესახებ საჭიროა ზოგიერთი შესწორების შეტანა, რაც ჩვენ წინეთაც აღგვინიშნავს, მაგრამ ეს არაა ძნელი დასაძლევი; როცა თანამშრომლობის და საერთო მუშაობის გულწრფელი სურვილია—საერთო ფორმის გამონახვა სულ ადვილია და ამ ნიადაგზე აზრთა სხვაობის დაახლოვება და შეთავსება დიდ შრომას არ მოითხოვს...

რვეულში მოთავსებულია მრავალი საინტერესო ცნობები ადგილობრივი ცხოვრებიდან.

ბ-ნი გრ. დიასამიძის თავმჯდომარეობით შემდგარა «საბჭოს» წლიური კრება, რომელსაც განუხილავს თავის გამგეობის წლიური მოქმედება—მუშაობა, მოუსმენია მოხსენებები, დაუმტკიცებია წარდგენილი ანგარიში და აურჩევია ერთხმად ისევ ძველი გამგეობა, ბ-ნი ლადო არველაძის დამატებით. გამგეობაში შედიან: აბაშიძე ვახტანგ, არველაძე ლადი, გაყონია ისიდორე, კობახიძე გივი, ნანუაშვილი ვანო, სულხანიშვილი ალექსანდრე და ღოღობერიძე გიორგი. სარედაქციო კოლეგიაში: ალავიძე ნესტორ, არველაძე ლადო, დიასამიძე გრიგოლ, გოლდმანი ილია, ნანუაშვილი ვანო და კობახიძე გივი.

კრებამ დაადასტურა აგრეთვე სია ახალი წევრებისა.

გ. უ.

გ ე რ მ ა ნ ი ა.

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

7 იანვარს ამერიკულ კომიტეტმა მიუნხენის ერთ-ერთ დარბაზში მოაწყო ბანკეტი რადიოსადგურის «განთავისუფლება»-ს არსებობის ერთი წლის აღსანიშნავათ. ბანკეტს დაესწრენ ამერიკულ კომიტეტის რწმუნებული მრ. კეილი რადიოსადგურის დირექტორი Mr. ვილიამსი და მთელი სადგურის შემადგენლობა.

სადგურზე მომუშავე ყველა რედაქციების სახელით ამერიკული კომიტეტისადმი მისასალმებელი და სამადლობელი სიტყვის წარმოთქმა დაევალა ქართული რედაქციის მთავარ რედაქტორს რაჟდენ არსენიძეს. მისი სიტყვა იქნა დაჯილდოებული მხურვალე ტა'ძით.

ბ. ბ. კეილიმ და ვილიამსმა განსაკუთრებით მადლობა გამოუცხადეს ბ. არსენიძეს მისი სიტყვისათვის.

ბ. კეილიმ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ შესაძლებელია ახლო მომავალში რადიოსადგურის პოლიტიკური ხელმძღვანელობა კვლავ პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებს გადაეცესო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან დაკავშირებით ქართული ემიგრაციის საყურადღებოთ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი რედაქციის მუშაობა იპყრობს ჯეროვან ყურადღებას, როგორც ადგილობრივათ სადგურის ხელმძღვანელებისა, ისე ამერიკულ კომიტეტის ცენტრალურ სამართველოს პასუხისმგებელ პირების მიერ. სწორეთ ამ დღეებში მოვიდა დასკვნები და დაფასება ამერიკიდან რადიოსადგურზე არსებულ რედაქციების მუშაობის შესახებ. კომიტეტს ყავს ნიუორკში სპეციალური მეთვალყურე ამ მიზნისთვის. და სწორეთ ამ პირის დასკვნის თანახმათ ქართულ რედაქციას პირველი ადგილი უჭირავს სხვა რედაქციებთა შორის—განსაკუთრებით კი საერთაშორისო პოლიტიკურ მოვლენების დაფასებებში... ხშირად ჩვენი რერაქციის სკრიპტებს დირექცია უგზავნის სხვა რედაქციებს სახელმძღვანელოთ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის ავტორიტეტი და პატივისცემა, რომლითაც სარგებლობს ამ ჟამათ ჩვენი რედაქციის შემადგენლობა და განსაკუთრებით კი მისი მთავარი რედაქტორი რაჟდენ არსენიძე მომავალშიდაც შენარჩუნებული იქნება...

——

2 იანვარს მიუნხენის «ვალდფრიედჰოფ»-ის სასაფლაოზე დასაფლავებულ იქნა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ერთი მეთაურთაგანი ალექსანდრე ასათიანი. განსვენებულის დასაფლავებას ქართველების გარდა დაესწრენ: უკრაინული ნაციონალური რადის წარმომადგენლობა, ჩრდილო-კავკასიელები, აზერბაიდჟანლები, კაზაკები და იდელ-ურალელი თათრები. სხვადასხვა ორგანიზაციებისგან და პირებისგან იყო წარმოგზავნილი გვირგვინები და მათ შორის: პარიზის ქართველთა ასოციაციიდან, სოც.-დემოკრატებისგან, სოც.-ფედერალისტებისაგან და «ქართველთა ეროვნულ მთლიანობის» ორგანიზაციიდან.

სიტყვები წარმოსთქვეს: ბ. ბ. გ. მაღალაშვილმა, ჩრდილო-კავკასიელებისაგან ა. კანტემირმა, აზერბაიდჟანლებისგან დრ. ოროისმა, უკრაინელმა დრ. იურჩენკომ, პარიზის ქართველთა ასოციაციის დავალებით რაჟდენ არსენიძემ და სოც.-დემოკრატების სახელით ალ. კორძაიამ.

აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ბ. გ. მაღალაშვილის მიერ იყო ყოველგვარი ზომები მიღებული განსვენებულისთვის სიცოცხლის შესანარჩუნებლათ, მაგრამ საცოდავის ორგანიზმი ისე დასნეულებული აღმოჩნდა განუკურნებელი სენით, რომ გერმანიაში ცნობილ ქირურგ პროფ. ფრეის ცდამაც კი სასურველ შედეგს ვერ მიახწია. ამ სამწუხარო შემთხვევის გამო სპეციალურად პარიზიდან ჩამოსულ პატივცემულ ქართველ მოძღვრის მამა ილია მელიას წირვა-ლოცვამ

061/41

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მიცვალებულისთვის წესის აგებამ მშობლიურ ენაზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დამწრე საზოგადოებაზე.

——

21 იანვარს მიუნხენში დაასაფლავეს უკრაინის პრეზიდენტი ანდრეი ლევიცკი. მიუხედავათ ცუდი ამინდისა, დასაფლავებას დაესწრო დიდძალი საზოგადოება. დამსწრეთა შორის მრავლათ იყვნენ წარმოდგენილნი, როგორც საბჭოთა კავშირიდან (რუსებიც), ისე სატელიტ ქვეყნებიდან გამოხიზნულნი ემიგრანტული წრეები. წარმოდგენილი იყვნენ აგრეთვე ბავარიის მთავრობა და ამერიკული კომიტეტი...

გერმანულ პრესას და რადიო სადგურსაც წარმოეგზავნათ თავისი კორესპოდენტები. ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდანაც ჩამოსულან უკრაინული დელეგაციები, რომ უკანასკნელი გამოსათხოვარი სალამი მიუძღვნან თავის პრეზიდენტს...

განსვენებულის კუბოს ამშვენებენ მრავალი გვირგვინები და მათ შორის ქართველი ემიგრაციიდანაც. საეკლესიო ცერემონიას და წესის აგებას ასრულებს ადგილობრივი უკრაინული სამღვდელოება მიტროპოლიტ ნიკონორის მეთაურობით. თანახმათ ეროვნული რადის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებისა, განსვენებულ პრეზიდენტის ხსოვნის პატივსაცემლად დაშვებული იყო სასაფლაოზე მხოლოთ ორი სიტყვა: უკრაინულ მთავრობის თავმჯდომარის ბ. დრ. ვიტვიცკის და პარიზის ბლოკის რწმუნებულის. პარიზის ბლოკის სახელით კი სიტყვის წარმოთქმა დაევალა ჩვენს თანამემამულეს ალ. კორძაიას. ქართულმა რედაქციამ კი ტყვეობაში მყოფ ქართველ ერს რადიოსადგური «განთავისუფლება»-ს საშუალებით გადასცა ცნობა უკრაინის პრეზიდენტის ანდრეი ლევიცკის გარდაცვალების შესახებ.

სტ. ვიტვიცკის წერილი.

ჩვენმა ამხანაგებმა რაჟ. არსენიძემ და ალ. კორძაიამ მიიღეს ემიგრაციაში ახალად არჩეულ უკრაინის პრეზიდენტის სტეფანე ვიტვიცკისაგან შემდეგი წერილი:

«დიდათ პატივცემულნო ბატონებო, მეტად გმადლობთ თქვენი თბილი გრძნობიერი მოლოცვის და იმ კეთილი სურვილების გამო. რომელიც მე გამომიცხადეთ თქვენი პარტიული ორგანიზაციის და პირადათ თქვენი სახელით. ჩემი მისწრაფება იქნება. რომ კეთილი განწყობილება უკრაინელ და ქართველ ხალხს შორის უფრო მეტად იქნეს განმტკიცებული და განუყრელი.

გთხოვთ მიიღოთ ჩემი თქვენდამი ღრმა პატივისცემა».

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველობა უცხოეთში.

სამგლოვიარო სხდომა.

კვირას, 14 მარტს, მიუნხენში, «ქართულ ეროვნულ გაერთიანებამ» გამართა სამგლოვიარო სხდომა, საქართველოს დაპყრობის 33 წლის შესრულების გამო. სხდომაზე წაკითხულ იქნა მოხსენებები: 1) 25 თებერვალი—დავით ურატაძე, 2) მოგონება 25 თებერვალზე—დ. საღირაშვილი, 3) დასკვნები 25 თებერვლის შესახებ—რაჟდენ არსენიძე. მოხსენებების შემდეგ მოსმენილ იქნა «მაგნეტოფონის» საშვალებით რადიოსადგურ «განთავისუფლება»-ს სამგლოვიარო გადაცემები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობიდან 33 წლის შესრულების გამო.

ხიმღეს სათვისტომში.

ამა წლის 31 იანვარს, შესდგა სოშოს ქართული სათვისტომოს საზოგადო წლიური კრება. მოსმენილ იქნა გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება საანგარიშო წლის ჩატარებული მუშაობის შესახებ. მადლობა გამოუცხადა გამგეობას და აირჩია გამგეობის ახალი შემადგენლობა: ი. სალუქვაძე, ვ. რიჟამაძე, გრ. კვარცხავა. მ. ჯინჭარაძე და ი. ზედგინიძე.

ვ. ჩუბინიძის «ძეგლნება».

დაიბეჭდა და გამოვიდა ვალიკო ჩუბინიძის «მოგონება». წიგნი მშვენივრად არის გამოცემული, შეიცავს მრავალ ცნობებს ანტიკომუნისტურ ბრძოლის, როგორც ლეგალური, ისე არალეგალური ისტორიიდან და შეიცავს 450 გვერდს. რეცენზია დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

ექიმ ვ. ხოჭოლავას მოხსენება.

11 აპრილს, ექ. კ. ხოჭოლავამ წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე: «ადამიანის ადგილი ბუნებაში—მოხუცებულობა და გაახალზდავება». მომხსენებელმა ადვილად გასაგები მაგალითებით ფრიად დააინტერესა საზოგადოება.

პ ა ნ ა მ ვ ი ფ ი.

ამხანაგი ნიკო იმნაიშვილი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ კვირას, 23 მაისს, ქართულ ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მისი უდროოდ დაკარგული ძმის ნიკიტა პავლეს ძე იმნაიშვილის გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად.

მისამართის გამოცვლა.

ყოველგვარი მიმოწერა ქართულ ეროვნულ საბჭოს და მისი ორგანოს «მებრძოლი საქართველო»-ს რედაქციის მიმართ უნდა გაიგზავნოს დროებით შემდეგი მისამართით:

M-r N. Ourouchadzé

13, rue Edgar-Quinet à Montronge, Seine, France.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი რედაქციის მიმართ!

სიამოვნებით გადავიკითხე «ჩვენი დროშა»-ს ნომრები. ის უსათუოდ გამოხატავს ქართველი ერის მისწრაფებებს უცხო უღლისგან გასანთავისუფლებლად და საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენათ. უსურვებ რედაქციას მხნეთ მუშაობას. მიიღეთ ჩემი წვლილი ჟურნალის ფონდისთვის ორი დოლარი.

ესე მანწკავა.

ჰანოვერი.

«ჩვენი დროშა»-ს ფონდი.

ბიუროს მიერ არჩეულ კომისიის წევრებმა ქალბატონ არიანა ურატაძისამ და ქალბატონ მათიკო სტურუასამ გადმოგვცეს შემომწირველთა მეორე სია: სტამბოლიდან ი. ბიბინეიშვილი, ვ. როკვუა და ს. მ.—თითომ 50 ლირა; პ. სარჯველაძე, ქ-ნი დუმ. ელიგულაშვილი, ვ. ღლონტი, გრ. კერესელიძე—თითომ 2.000 ფრ.; რუსუდან სტურუა, ტ. წულაძე —თითომ 1.000 ფრ.

სულ 150 ლირა და 10.000 ფრანკი.

სოშოდან: გრ. კვარცხავა, დ. კვერღელიძე, ი. სალუქვაძე —თითომ 1000 ფრ.; დ. ქიმერიძე, დ. უიშვილი—თითომ 500 ფრ.; ი. ზედგინიძე—400 ფრ.; ს. ჭირაქაძე, ვ. სალუქვაძე, მ. ქღენტი, შავდია—თითომ 300 ფრ.; გ. შავდია, მ. ჯინჭარაძე—თითომ 250 ფრ.; გრ. ივერიელი, ე. აბულაძე, შ. ქურციკიძე—თითომ 200 ფრ.; ვარ. სალუქვაძე, გ. სალუქვაძე, ლ. სალუქვაძე—თითომ 100 ფრ.

სულ 7.000 ფრანკი.

ჰანოვერიდან: ესე მანწკავა 2 დოლარი, ჩიკაგოდან 5 დოლარი, სპარსეთიდან გრ. მოდებაძის სახელზე—5 დოლარი, ანტონ ყორყოლიანისაგან 1.000 ფრ., ამერიკიდან პ. კვარაცხელიასაგან 1.000 ფრ.

სულ 12 დოლარი და 2.000 ფრანკი.

შემოწირულების შეკრება გრძელდება. რედაქცია მადლობას უცხადებს შემომწირველთ და კვლავ მოუწოდებს ჩვენი ჟურნალის მკითხველებს გაიღონ თავიანთი წვლილი.

ფული და დასაბეჭდი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

P. Sardjveladzé.
35, rue de l'Aude 35. Paris (14)

Imprimerie Coopérative Arpajonaise, Arpajon.